

საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი

გამოცემა №1 / 2018

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2017 წლის განმავლობაში
კონსტიტუციური მართლმსაჯულების სფეროში მიღებული მნიშვნელოვანი
გადაწყვეტილებები

ჯონი ხეცურიანი

საკონსტიტუციო რეფორმა საქართველოში (2017 წ.) და საკონსტიტუციო
სასამართლო

ანა ფირცხალაშვილი

ეროვნული სამართლის ინტერნაციონალიზაციიდან საქართველოს სამართლის
კონსტიტუციონალიზაციამდე

სასამართლოს საქმიანობის სტატისტიკური მიმოხილვა

სპეციალური გამოცემა

საქართველოს
საკონსტიტუციო
სასამართლო

გრიგოლ რობაქიძის
სახელობის
უნივერსიტეტი

უპ (UDC) 34

ISSN-1987-9962



**საქართველოს საკონსტიტუციო
სასამართლო**



**გრიგოლ რობაქიძის სახელობის
უნივერსიტეტი**

სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე:

ზაზა თავაძე

სარედაქციო საბჭოს წევრები:

**თეიმურაზ ტულუში
ანა ფირცხალაშვილი
ირინე ურუშაძე
ბესიკ ლოლაძე
ვახუშტი მენაბდე
გიორგი ჩხეიძე**

**რედაქტირება და თარგმნა – ირინე ურუშაძე
ყდის დიზაინი და დაკაბადონება – მიხეილ სარიშვილი**



ჟურნალში ნაშრომები განთავსებულია Creative Commons Attribution (CC BY) 2.0 ლიცენზიით.
სალიცენზიო პირობები ხელმისაწვდომია აქ: <https://creativecommons.org/licenses/by/2.0/legalcode>

კ. გამსახურდიას ქუჩა 8/10 | მ. აბაშიძის ქუჩა 16/18 ბათუმი, 6010

ელ. ფოსტა: jcl@constcourt.ge

წინასიტყვაობა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს როლი და საზოგადოების მხრიდან მისი ცნობადობა ყოველწლიურად იზრდება, რასაც მოწმობს გასული წლის განმავლობაში რეგისტრირებული კონსტიტუციური სარჩელების რაოდენობა. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, საზოგადოება მაქსიმალურად იყოს ინფორმირებული არა მხოლოდ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის, არამედ, ზოგადად, საკონსტიტუციო სამართლის შესახებ. სწორედ, საკონსტიტუციო სამართლის პოპულარიზაციისა და ამ სფეროში აკადემიური საქმიანობის განვითარების ხელშეწყობის მიზანს ემსახურება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გამოცემული „საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი“.



საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის, და, ზოგადად, კონსტიტუციური სამართლის დარგის განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ამ სფეროში მიმდინარე სხვადასხვა აკადემიურ აქტივობაზე, აქტიურ სამართლებრივ დისკუსიაზე.

„საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი“ წინა გამოცემებთან შედარებით მნიშვნელოვნად შეიცვალა, კერძოდ, დაიხვეწა გამოსაქვეყნებელი ნაშრომების შერჩევის კრიტერიუმები და ნაშრომისადმი წაყენებული მოთხოვნები, ჟურნალი საერთაშორისო რეფერირებადი გამოცემაა და მასში გამოქვეყნებული ნაშრომები ასევე განთავსდება სამართლებრივი სტატიების სხვადასხვა საერთაშორისო საძიებო სისტემაში. ჟურნალის საერთაშორისო დონეზე ხელმისაწვდომობა კიდევ უფრო გაზრდის მის პოპულარობას და ხელს შეუწყობს საკონსტიტუციო სამართლის დარგის ირგვლივ აქტიური აკადემიური დისკუსიის წარმართვას. „საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალის“ წინამდებარე ნომერი სპეციალური გამოცემაა, რომელიც ეძღვნება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2018 წლის 14 მარტს გამოქვეყნებულ ინფორმაციას საქართველოში კონსტიტუციური კანონიერების თაობაზე. დასახელებული დოკუმენტი შეიცავდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის საქმიანობის შეჯამებასა და ანალიზს, მასში ასახულია სასამართლოს მიერ მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, კონსტიტუციური კონტროლის განხორციელებისას გამოკვეთილი ტენდენციები და სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემი. აღნიშნული ინფორმაციის აკადემიური წრეებისთვის უკეთ გასაცნობად გადაწყდა, ჟურნალის განახლებულ გამოცემაში მოკლედ იყოს გადმოცემული სასამართლოს ანგარიში.

ვფიქრობ, „საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი“ მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ქართული საკონსტიტუციო სამართლის განვითარებაში, ხელს შეუწყობს ამ დარგში არსებული სამართლებრივი პრობლემების იდენტიფიცირებას და შექმნის ახალ, მასშტაბურ პლატფორმას აკადემიური დისკუსიების წარმართვისათვის.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე

ზაზა თავაძე

სარჩევი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2017 წლის განმავლობაში კონსტიტუციური მართლმსაჯულების სფეროში მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები	7
შესავალი	8
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვა	9
I. განჩინებები – გადაწყვეტილების დამძლავრი ნორმები	9
II. გადაწყვეტილებები	12
კონსტიტუციური კანონიერების განმტკიცების მნიშვნელოვანი მიმართულებები	23
 <u>ჯონი ხეცურიანი</u>	
საკონსტიტუციო რეფორმა საქართველოში (2017 წ.) და საკონსტიტუციო სასამართლო	27
შესავალი	27
საკონსტიტუციო სასამართლოს ადგილი ხელისუფლების დანაწილების სისტემაში	30
საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობა და ფორმირების წესი	32
საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება და საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის სუბიექტები	36
დასკვნა	42
 <u>ანა ფირცხალაშვილი</u>	
ეროვნული სამართლის ინტერნაციონალიზაციიდან საერთაშორისო სამართლის კონსტიტუციონალიზაციამდე	43
შესავალი	43
1. საერთაშორისო სამართლის პოლიტიკის სტრუქტურული ცვლილებადობა	44
2. ეროვნულიდან გლობალურისკენ – კონსტიტუციონალიზაცია	45
3. გლობალურიდან ეროვნულამდე – კონსტიტუციის ეროვნული იდენტობა	49
დასკვნა	53
 სასამართლოს საქმიანობის სტატისტიკური მიმოხილვა	55

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2017 წლის განმავლობაში კონსტიტუციური მართლმსაჯულების სფეროში მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები

*დოკუმენტი ეფუძნება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ „საქართველოს
საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-12 მუხლის მე-2
პუნქტის თანახმად მომზადებულ ინფორმაციას საქართველოში კონსტიტუციური კანონიერების
შესახებ¹*

აბსტრაქტი

საქართველოს ორგანული კანონის, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს აქვს ვალდებულება, წელიწადში ერთხელ საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტსა და საქართველოს უზენაეს სასამართლოს წარუდგინოს ინფორმაცია საქართველოში კონსტიტუციური კანონიერების შესახებ. ბოლო წლებში 2018 წელს სასამართლოს თავმჯდომარემ ეს ვალდებულება პირველად შეასრულა და შესაბამის ორგანოებს წარუდგინა, ასევე, საჯაროდ გამოაქვეყნა დოკუმენტი, რომელიც აფასებს 2017 წლის განმავლობაში საქართველოში კონსტიტუციური კანონიერების მდგომარეობას. წინამდებარე მიმოხილვა სწორედ ამ ვრცელტანიანი ანგარიშის მიხედვით არის შედგენილი და მოკლედ გადმოსცემს სასამართლოს მიერ წარდგენილ ინფორმაციას.

საკონსტიტუციო სასამართლო უზრუნველყოფს კონსტიტუციის უზენაესობისა და ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას. ქვეყანაში კონსტიტუციური კანონიერების შეფასებისათვის მნიშვნელოვანია სწორედ სასამართლოს მიერ განხილული საქმეების მიმოხილვა და გაანალიზება. წინამდებარე დოკუმენტი მიზნად ისახავს შეაჯამოს სასამართლოს მიერ 2017 წლის მანძილზე გამოცემული ყველაზე მნიშვნელოვანი აქტები და შეაფასოს მათი მნიშვნელობა კონსტიტუციური მართლმსაჯულების განვითარებისათვის. სტატიაში მიმოხილულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წელს მიღებულ რამდენიმე გადაწყვეტილებაში მოცემული მნიშვნელოვანი განმარტებები, რომლებიც არსებით გავლენას ახდენს ქვეყანაში სამართლის განვითარებაზე და მიზანშეწონილია, მათზე ფართო დისკუსიის წარმართვა. გარდა ამისა, 2017 წლის მანძილზე სასამართლომ რამდენიმე განჩინება გამოიტანა მისი გადაწყვეტილებების დამძლველი ნორმების გასაუქმებლად, რაც ხაზს უსვამს სასამართლოს პრაქტიკის კანონმდებლობაში ასახვის აუცილებლობას. სტატია განსაკუთრებით ყურადღებას ამახვილებს აღნიშნულ განჩინებებზე, რათა მიაწოდოს ინფორმაცია დაინტერესებული პირებსა და შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებით დადგენილი სტანდარტების პრაქტიკაში განხორციელების პრობლემებისა და გამოწვევების შესახებ.

¹ მოცემული სტატია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ შედგენილი დოკუმენტის დამუშავებით შეიქმნა და არ წარმოადგენს ავტორის ან ჟურნალის ხედვას. სტატიაზე იმუშავა ჟურნალის რედაქტორმა, ირინე ურუშაძემ. სასამართლოს მიერ შედგენილი დოკუმენტი სრული სახით ხელმისაწვდომია აქ: <http://www.constcourt.ge/ge/ajax/downloadFile/3590> [უკანასკნელად გადამოწმდა 2018 წლის 1 ივნისს].

შესავალი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო უზრუნველყოფს კონსტიტუციის უზენაესობის, ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას, შესაბამისად ადამიანის ფუნდამენტური უფლებების აღიარებასა და დაცვაზე ორიენტირებული, დემოკრატიული სახელმწიფოს ყოველდღიურ ცხოვრებაში მას უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია. ხელისუფლების განხორციელებისას ადამიანის ძირითად უფლებებში ჩარევა და მათი შეზღუდვა ხშირ შემთხვევაში აუცდენელი, გარდაუვალი მოცემულობაა, თუმცა ფუნდამენტურ უფლებებში ჩარევა უნდა განხორციელდეს მხოლოდ კონსტიტუციით დადგენილი ფორმითა და სათანადო სტანდარტების შესაბამისად. ხელისუფლების თითოეული შტოს მიერ საქართველოს კონსტიტუციის პატივისცემა და დაცვა წარმოადგენს ვალდებულებას, რომლის ჯეროვანი შესრულებაც მნიშვნელოვნად განაპირობებს ქვეყნის დემოკრატიული, სწორი ღირებულებებით განვითარებას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო იცავს კონსტიტუციურ ღირებულებათა სისტემას, განმარტავს კონსტიტუციის პრინციპებსა და დებულებებს, რათა მუდმივად ცვალებადი და განვითარებადი სამართლებრივი პროცესები მოექცეს კონსტიტუციურ წესრიგში და დაცული იყოს ადამიანის უფლებები.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქართველოს კონსტიტუციის განმარტების დინამიური პროცესი სხვადასხვა სამართლებრივი გამოწვევით ხასიათდება, წლიდან წლამდე ვითარდება საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა, ხდება ფუნდამენტური უფლებების შინაარსისა და ფარგლების ახლებური გააზრება და მნიშვნელოვანი კონსტიტუციური სტანდარტების დადგენა, რათა შესაძლებელი იყოს ადამიანის უფლებების ყოველმხრივი და შეუქცევადი დაცვა. კონსტიტუციის უზენაესობის დაცვა მოითხოვს ხელისუფლების ყველა შტოს კოორდინირებულ მოქმედებას.

წინამდებარე დოკუმენტი მოიცავს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2017 წელს განმავლობაში მიღებული სასამართლოს პრაქტიკისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიმოხილვასა და ანალიზს. მასში ასევე ასახულია საკონსტიტუციო სამართალწარმოების პროცესში გამოვლენილი კონსტიტუციური კანონიერების განმტკიცების მნიშვნელოვანი მიმართულებები. დოკუმენტს თან ერთვის სასამართლოს საქმიანობის სტატისტიკური მიმოხილვა.²

გასული 2017 წელი მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი იყო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის, როგორც მისი ძირითადი საქმიანობის, კონსტიტუციური მართლმსაჯულების განხორციელების კუთხით, ასევე საერთაშორისო ასპარეზზე განხორციელებული აქტივობების გამო. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ გასული წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა საკონსტიტუციო სასამართლოში წარდგენილი კონსტიტუციური სარჩელების რაოდენობა, რაც, გარკვეულწილად, მიანიშნებს კონსტიტუციური მართლმსაჯულების მიმართ საზოგადოების ცნობიერებისა და ნდობის ამაღლებაზე. 2017 წლის განმავლობაში საკონსტიტუციო სასამართლოში დარეგისტრირდა 423 კონსტიტუციური სარჩელი და წარდგინება, რაც მნიშვნელოვნად აღემატება წინა წლების მაჩვენებელს. სარჩელების რაოდენობის ზრდის ტენდენციის პარალელურად, განსაკუთრებით აქტუალურია, საკონსტიტუციო სასამართლომ შეძლოს დროული და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელება.

2017 წლის განმავლობაში საკონსტიტუციო სასამართლომ 115 კონსტიტუციურ სარჩელზე დაასრულა წარმოება. დასრულებული საქმეების და მიღებული გადაწყვეტილებების რაოდენობის მიხედვით, 2017 წელი უპრეცედენტოა, თუმცა წლის დასასრულს საკონსტიტუციო სასამართლოს წარმოებაში კვლავ რჩება 471 კონსტიტუციური სარჩელი, რომელთა სწრაფი და კვალიფიციური გადაწყვეტა სასამართლოს წინაშე არსებულ მნიშვნელოვან გამოწვევას

² მიმოხილვა მოცემულია ჟურნალში წარმოდგენილი ნაშრომების შემდეგ, დანართის სახით.

წარმოადგენს. კონსტიტუციური მართლმსაჯულების როლისა და ფუნქციის გათვალისწინებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ორიენტირს წარმოადგენს მაქსიმალურად სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელება, რაც დადებითად აისახება ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვის ხარისხზე.

დადებითად უნდა აღინიშნოს გასული წლის განმავლობაში განხორციელებული საერთაშორისო აქტივობები, მათ შორის ბათუმში გამართული ევროპის საკონსტიტუციო სასამართლოების XVII კონგრესი თემაზე „საკონსტიტუციო სასამართლოების როლი კონსტიტუციური პრინციპების დაცვასა და გამოყენებაში“. აღნიშნულ კონგრესს მასპინძლობდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც ევროპის საკონსტიტუციო სასამართლოების კონფერენციის თავმჯდომარე ქვეყანა. კონგრესში მონაწილეობდნენ 40-ზე მეტი ქვეყნის საკონსტიტუციო სასამართლოებისა და რელევანტური ინსტიტუტების დელეგატები, მოწვეული იყვნენ საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების წევრები და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები. აღნიშნული კონგრესი წარმოადგენდა მნიშვნელოვან მოვლენას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის, კონგრესის ფარგლებში შედგა ნაყოფიერი თანამშრომლობა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებსა და ევროპის სხვადასხვა ქვეყნის საკონსტიტუციო სასამართლოების წარმომადგენლებს შორის, ამასთან კიდევ უფრო გაიზარდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ცნობადობა და როლი საერთაშორისო ასპარეზზე.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვა

1. განჩინებები - გადაწყვეტილების დამძლევი ნორმები

საკონსტიტუციო სასამართლო წარმოადგენს საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანოს, რომლის გადაწყვეტილებაც შესასრულებლად სავალდებულოა ხელისუფლების ყველა შტოსთვის. გარკვეული თვალსაზრისით, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება თვითაღსრულებადია, რადგან საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმა იურიდიულ ძალას კარგავს დამატებითი საიმპლემენტაციო ღონისძიებების გარეშე. ამასთანავე, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სრულყოფილი აღსრულება ასევე გულისხმობს მასში ასახული სამართლებრივი სტანდარტების რეალურ განხორციელებას და ასახვას კანონმდებლობაში. ამ თვალსაზრისით, ხელისუფლების ნებისმიერი შტო ვალდებულია, პრაქტიკულად განახორციელოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით განმარტებული ამა თუ იმ დებულების კონსტიტუციური მოთხოვნები. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება რიგ შემთხვევებში შეიძლება დამოკიდებული იყოს ამა თუ იმ სამართლებრივი აქტის შემუშავებაზე, რომელმაც ახლებურად უნდა მოაწესრიგოს ურთიერთობები. კანონშემოქმედებით პროცესში სამართლებრივი ურთიერთობის ხელახალი, კონსტიტუციური პრინციპების შესაბამისად დარეგულირებისათვის უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომელიც შეიცავს როგორც ზოგადად კონსტიტუციის, ისე მისი ცალკეული ნორმებისა და პრინციპების ავტორიტეტულ განმარტებას.

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, არ შეიძლება ისეთი სამართლებრივი აქტის გამოცემა, რომელიც შეიცავს იმავე შინაარსის ნორმებს, რომლებიც არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი. მიუხედავად აღნიშნული ჩანაწერისა, ხშირია შემთხვევები, როდესაც აქტის გამომცემი ორგანო სრულად არ/ვერ ითვალისწინებს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში ასახულ სტანდარტებს და სამართლებრივი ურთიერთობის რეგულირება არ ხდება სასამართლოს მიერ განმარტებული კონსტიტუციური დებულებების მოთხოვნების შესაბამისად ან, მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა სადავო ნორმა, კანონმდებლობაში კვლავ რჩება

ანალოგიური შინაარსის შემცველი ქცევის წესი, რომელიც ქმნის ანალოგიურ სამართლებრივ პრობლემას.

ამავდროულად, საკონსტიტუციო სასამართლოს გააჩნია უფლებამოსილება, გამარტივებული წესით, არსებითი განხილვის გარეშე ძალადაკარგულად ცნოს მისი გადაწყვეტილების დამძლევი ნორმა. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის 4¹ პუნქტის თანახმად: „თუ საკონსტიტუციო სასამართლო განმწესრიგებელ სხდომაზე დაადგენს, რომ სადავო ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი შეიცავს იმავე შინაარსის ნორმებს, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლომ უკვე ცნო არაკონსტიტუციურად, [...] მას გამოაქვს განჩინება საქმის არსებითად განსახილველად მიუღებლობისა და სადავო აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ“.

2017 წლის მანძილზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დაახლოებით ათი საქმე განიხილა, სადაც საკითხი გულისხმობდა დამძლევი ნორმების ძალადაკარგულად ცნობის მოთხოვნას. ექვს საქმეში სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმატიული აქტები ან მათი ნორმატიული შინაარსი შეიცავდა სასამართლოს მიერ უკვე გამოტანილი გადაწყვეტილების დამძლევ შინაარსს.

ასეთი საქმე იყო ბოლნისის რაიონული სასამართლოს №855 კონსტიტუციური წარდგინებაზე, სადაც საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა მიიჩნია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილი შეიცავდა ისეთ ნორმატიულ შინაარსს, რაც ემთხვეოდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს N1/4/592 გადაწყვეტილებით საქმეზე „ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმების შინაარსს, კერძოდ ითვალისწინებდა სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას ნარკოტიკული საშუალება - ნედლი მარიხუანის პირადი მოხმარების მიზნით შეძენისა და შენახვის გამო.

2017 წლის 13 ივლისს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ დააკმაყოფილა საქართველოს მოქალაქეების გოჩა გაბოძისა და ლევან ბერიანძის (კონსტიტუციური სარჩელი №878) მოთხოვნა და ძალადაკარგულად ცნო „სისხლის და მისი კომპონენტების დონორობის წინააღმდეგ ჩვენებების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2000 წლის 5 დეკემბერის №241/6 ბრძანების №1 დანართის 24-ე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, რომელიც კრძალავდა მამაკაცთან სქესობრივ კავშირის მქონე მამაკაცის მიერ სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობას, რაც დონაციის უფლებას მუდმივად, მთელი სიცოცხლის განმავლობაში უკრძალავდა იმ მამაკაცებს, რომლებსაც ერთხელ მაინც ჰქონდათ სქესობრივი კავშირი მამაკაცთან, იმის მიუხედავად, შეიცავდა თუ არა აღნიშნული კავშირი სისხლის გზით გადამდები დაავადებების შეძენის მაღალ რისკს. საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმები 2014 წლის 4 თებერვლის №2/1/536 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის მსგავსი შინაარსის იყო და იწვევდა ანალოგიურ სამართლებრივ შედეგს.

2017 წლის 13 ოქტომბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ემზარ პაქსაძე და თამარ სადრაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელები №1219 და №1236) და საქმის არსებითი განხილვის გარეშე ძალადაკარგულად ცნო სადავო აქტის ნაწილი, რადგან იგი შეიცავდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 27 თებერვლის №2/2/558 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმების დამძლევ ნორმებს, კერძოდ, როდესაც სამართლიანი სასამართლოს უფლების შეზღუდვა უკავშირდება გარკვეული დისციპლინური გადაცდომისათვის, სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის დაკისრებას, მოსამართლის მხრიდან თვითნებობისა და შეცდომის პრევენციისა თუ შემდგომი აღმოფხვრის მიზნით, აუცილებელია, პირს, რომელსაც პასუხისმგებლობა დაეკისრა, გააჩნდეს

სამართლიანი სასამართლოს უფლებით დაცული მინიმალური საპროცესო გარანტიები, რაც, მათ შორის, გასაჩივრების უფლებასაც გულისხმობს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2017 წლის 13 ოქტომბერს მიიღო განჩინება საქმეზე „ა(ა)იპ „ადამიანის უფლებების სწავლების და მონიტორინგის ცენტრი (EMC)“ და ა(ა)იპ „ერთობა 2013“ საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი №1241), სადაც სასამართლომ იმსჯელა საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ რეგულაციებზე, რომელთა თანახმად, 2015, 2016 და 2017 წლის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში შრომის პირობების ინსპექტირების შედეგად მომზადებული ანგარიშები/დასკვნები და რეკომენდაციები წარმოადგენს არასაჯარო ინფორმაციას. აღნიშნულ საქმეზე საკონსტიტუციო სასამართლომ, პირველ რიგში, განმარტა, რომ შრომის პირობების ინსპექტირების შედეგად მომზადებული დოკუმენტაცია წარმოადგენს სახელმწიფო დაწესებულებაში დაცულ საჯარო ინფორმაციას საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის მიზნებისთვის. საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 მარტის №1/4/757 გადაწყვეტილებით დადგენილი სტანდარტები და მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაშიც, ისევე როგორც მიმდინარე დავაში სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობა განპირობებული იყო საჯარო ინფორმაციაზე წვდომის ფორმალური კრიტერიუმის დარღვევით. კერძოდ, საჯარო ინფორმაციაზე წვდომის შესაძლებლობა იზღუდებოდა არა კანონით, არამედ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით, ამასთან, იმგვარად, რომ არ ხდებოდა ამ უფლებამოსილების მთავრობაზე დელეგირება კანონით, შესაბამისად, სადავო ნორმები მიჩნეულ იქნა დამძლევად და ძალადაკარგულად გამოცხადდა საქმის არსებითი განხილვის გარეშე.

2017 წლის 16 ნოემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიამ მიიღო განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ივანე პეტრიაშვილი და ირაკლი ულუმბელაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი №1218), რომლითაც არსებითი განხილვის გარეშე ძალადაკარგულად გამოაცხადა „სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის სიტყვები, რამდენადაც ისინი საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის №2/3/630 გადაწყვეტილებაში არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმების ანალოგიურად ზღუდავდა სპეციალური პენიტენციური სამსახურიდან, რომელიც საჯარო სამსახურს წარმოადგენს, უკანონოდ გათავისუფლებული მოხელისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლებას.

2017 წლის 16 ნოემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო განჩინება საქმეზე „ააიპ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი №1214), სადაც სადავო ნორმების თანახმად, სასამართლოში რიგი სამართლებრივი პროცედურების განხორციელებისთვის იურიდული პირებისთვის დადგენილი იყო სახელმწიფო ბაჟის გაზრდილი ოდენობა ფიზიკურ პირებთან შედარებით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული წარმოადგენდა 2016 წლის 29 დეკემბრის №2/6/623 გადაწყვეტილებით, საქმეზე „შპს 'სადაზღვევო კომპანია უნისონი' საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმების დამძლევ ნორმებს და განსხვავებული სამართალწარმოებების არსებობა არ ჩათვალა იმგვარ არსებით განსხვავებად, რის გამოც აუცილებელი იქნებოდა სადავო ნორმის კონსტიტუციურობის საქმის არსებითი განხილვის ფორმატში დამატებით შესწავლა.

აღსანიშნავია, რომ რამდენიმე საქმეში სასამართლო არ დაეთანხმა მოსარჩელებს, დამძლევ ნორმების არსებობაში და საქმე არსებითად განსახილველად მიიღო. მაგალითად, 2017 წლის 29 დეკემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები - ავთანდილ ბარამიძე, გივი მითაიშვილი, ნუგზარ სოლომონიძე და სხვები (სულ 326 კონსტიტუციური სარჩელი)

საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, სადაც სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოსარჩელეთა მოთხოვნა, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის 4¹ პუნქტის საფუძველზე ნორმების არსებითი განხილვის გარეშე ძალადაკარგულად ცნობის შესახებ. მოსარჩელები არაკონსტიტუციურად მიიჩნევენ ფარული მეთვალყურეობის ღონისძიებების მარეგულირებელ მთელ რიგ ნორმებს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა 2017 წლის 29 დეკემბრის საოქმო ჩანაწერში განმარტა 2016 წლის 14 აპრილის N1/1/625,640 გადაწყვეტილებით დადგენილი სტანდარტები და მიუთითა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილების მიხედვით, სადავო ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობა ერთობლივად განაპირობა რიგმა პირობებმა და მოქმედი კანონმდებლობის შედარებით მიიჩნია, რომ დამძლევი ნორმები არ იყო სახეზე, რის გამოც, დავა მიღებულ იქნა განსახილველად მისი არსებითი განხილვის ფორმატში შეფასების მიზნით.

II. გადაწყვეტილებები

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების რაოდენობისა და მოცულობის თვალსაზრისით 2017 წელი უპრეცედენტოა. ამ წელს სასამართლოს გადაწყვეტილებები შეეხო საქართველოს კონსტიტუციის განმარტებისა და გამოყენების მრავალ ასპექტს. განიმარტა და დადგინდა ახალი კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტანდარტები. ქვემოთ მოცემულია წლის განმავლობაში მიღებული რამდენიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა, რომელთაც შესაძლოა განსაკუთრებული გავლენა ჰქონდეთ საკონსტიტუციო სამართლის განვითარებაზე საქართველოში.

საქართველოს მოქალაქე კახა კუკავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (კონსტიტუციური სარჩელი N600)

2017 წლის 17 მაისს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე კახა კუკავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, სადაც სადავო იყო საქართველოს საარჩევნო კოდექსის 134-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, აგრეთვე 143-ე მუხლის მე-8 პუნქტის და 167-ე მუხლის პირველი პუნქტის სიტყვები საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველ წინადადებასთან და 29-ე მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებთან მიმართებით. სადავო ნორმების თანახმად, პირი ვერ მიიღებდა მონაწილეობას საკრებულოს წევრის, მერის/გამგებლის თანამდებობის დასაკავებლად ჩასატარებელ არჩევნებში, თუ არჩევნების დანიშვნამდე ბოლო ორი წლის განმავლობაში მუდმივად არ ცხოვრობდა საქართველოს ტერიტორიაზე.

საკონსტიტუციო სასამართლომ, უპირველესად, იმსჯელა საქართველოს კონსტიტუციის 28-ე და 29-ე მუხლებით დაცული სფეროების გამიჯვნის თაობაზე. სასამართლოს განმარტებით, თუ არჩევნების ჩატარება, როგორც თანამდებობის დაკავების ფორმა, დადგენილია საქართველოს კონსტიტუციით, შესაბამისი თანამდებობის დაკავების უფლება დაცულია კონსტიტუციის 28-ე მუხლით, ხოლო, თუ თანამდებობის დაკავებისთვის არჩევნები არ წარმოადგენს კონსტიტუციის მოთხოვნას და იგი განსაზღვრულია მიმდინარე კანონმდებლობით, ამ თანამდებობის დაკავების კონსტიტუციურობის საკითხი უნდა შეფასდეს სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლებასთან მიმართებით. ამგვარი განმარტებით, საკონსტიტუციო სასამართლომ დაძლია მის მიერ საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - სალომე ქინქლაძე, ნინო კვეტენაძე, ნინო ოდიშარია, დიჩი ჯანელიძე, თამარ ხითარიშვილი და სალომე სებისკვერაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებული პრაქტიკა, რომლის თანახმადაც, მერების/გამგებლების სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლება, მათ შორის, დანახულ იქნა კონსტიტუციის 28-ე მუხლით დაცულ სფეროში. საკრებულოს წევრობის კანდიდატისთვის დადგენილი მოთხოვნების კონსტიტუციურობის შემოწმებისას საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ არჩევითი თანამდებობის

დასაკავებლად ცენზის/მოთხოვნის დაწესება არ არის შეუთავსებელი დემოკრატიულ მმართველობასთან. იმავდროულად, სასამართლომ მიიჩნია, რომ კონსტიტუციით გათვალისწინებულ არჩევნებზე დაუშვებელია კონსტიტუციით გაუთვალისწინებელი მოთხოვნის დაწესება და ამ უფლების შეზღუდვის ლეგიტიმური მიზანი ვერ იქნება საუკეთესო კანდიდატის ან/და ასარჩევ თანამდებობასთან ობიექტურად ყველაზე მეტად შესაფერისი კანდიდატის შერჩევის უზრუნველყოფა. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, გამონაკლისი შეიძლება დაწესდეს მაშინ, როდესაც კანონით დადგენილი მოთხოვნის მიზანია იმ საფრთხეების პრევენცია, რომლებიც გამომდინარეობს ამა თუ იმ პირის თანამდებობაზე არჩევიდან. საკრებულოს არჩევნები გათვალისწინებულია საქართველოს კონსტიტუციით, თუმცა კონსტიტუცია არ ადგენს სადავო ნორმებით განსაზღვრულ სპეციალურ მოთხოვნებს/ცენზებს საკრებულოს წევრთან მიმართებით. ამასთან, მოპასუხე მხარეს არ მიუთითებია რაიმე საფრთხეზე, რომლის პრევენციასაც სადავო ნორმები ემსახურება და ეს არც სადავო რეგულირების არსიდან გამომდინარეობს. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმები ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლით გარანტირებულ საარჩევნო უფლებას.

მერობის/გამგებლობის კანდიდატისთვის წარდგენილი მოთხოვნების კონსტიტუციურობის შეფასებისას, საკონსტიტუციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ სადავო ნორმები კანდიდატს უდგენდა არა კონკრეტული თვითმმართველი ერთეულის, არამედ ზოგადად საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრების მოთხოვნას. სასამართლომ აღნიშნა, რომ გასაჩივრებული დებულებებით დადგენილი ცენზი ვერ იქნება პირის სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობის გარანტია, ამ გარემოების განმსაზღვრელი უპირობო ან უალტერნატივო საშუალება. პირის მიერ სადავო ნორმებით განსაზღვრული ცენზის დაკმაყოფილება თავისთავად ვერ უზრუნველყოფს პირის ჩართულობას სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამასთან, შეზღუდვა არ არის მიმართული კონკრეტული თვითმმართველი ერთეულის საჭიროებების ცოდნისკენ. აქედან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმები არ შეესაბამებოდა საქართველოს კონსტიტუციით დაცულ სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლებას.

შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და შპს „ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (კონსტიტუციური სარჩელი N679)

2017 წლის 29 დეკემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე „შპს ‘სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2’ და შპს ‘ტელეკომპანია საქართველო’ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, სადაც დავის საგანს წარმოადგენდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე და 55-ე მუხლების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლთან და 21-ე მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებთან მიმართებით. მოსარჩელე მხარე მიუთითებდა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს „ზნეობის ნორმების“ და „საჯარო წესრიგის“ საწინააღმდეგო გარიგებების ბათილობას, ეწინააღმდეგება საკუთრებისა და პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებებს.

მოპასუხე მხარის განმარტებით, ზნეობის ნორმების მსგავსი განუსაზღვრელი სამართლებრივი ტერმინების გამოყენებას სამოქალაქო სამართალში ობიექტური საფუძვლები გააჩნია. გარიგებით გათვალისწინებული ფასის დისპროპორციულობა სადავო ნორმების მიხედვით, არ არის გარიგების ბათილობის დამოუკიდებელი პირობა და საჭიროებს სხვა პირობების არსებობასაც.

მოცემული დავის ფარგლებში საკონსტიტუციო სასამართლომ, უპირველეს ყოვლისა, მოახდინა სასარჩელო მოთხოვნის იდენტიფიცირება და მიუთითა, რომ მოსარჩელე არაკონსტიტუციურად

მიიჩნევდა, მათ შორის, საკუთრების უფლების შინაარსისა და ფარგლების განსაზღვრას ზოგადი ხასიათის ნორმების საფუძველზე და აპელირებდა მსგავსი ტიპის რეგულაციის შეუსაბამობაზე სამართლებრივი უსაფრთხოებისა და განსაზღვრულობის პრინციპებთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემული გადაწყვეტილება მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც სასამართლომ იმსჯელა და შეაფასა, რამდენად იძლევა კონსტიტუცია ზოგადი ნორმების საფუძველზე სახელშეკრულებო ურთიერთობის მოწესრიგების შესაძლებლობას. ასევე, საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმების განსაზღვრულობის სტანდარტთან მიმართებით.

სადავო ნორმის განსაზღვრულობის საკითხზე მსჯელობისას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ერთმანეთისაგან გამიჯნა პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმების, საჯარო-სამართლებრივი ნორმებისა და სამოქალაქო სამართლის მომწესრიგებელი ნორმების მიმართ წაყენებული განჭვრეტადობის სტანდარტები. სასამართლომ მიუთითა, რომ ხელშეკრულების ბათილობის საფუძვლის განსაზღვრით სახელმწიფო არ ადგენს რაიმე ტიპის პასუხისმგებლობას ან აკრძალვას, რომლის დარღვევასაც სანქცია მოჰყვება. ამის საპირისპიროდ, ხელშეკრულების ბათილობის დამდგენი ნორმები განსაზღვრავს შემთხვევებს, რომლის ფარგლებშიც სახელმწიფო უარს ამბობს კერძო პირებს შორის არსებულ ურთიერთობებში ჩარევაზე და ერთი პირის იძულებაზე, მეორის სასარგებლოდ განახორციელოს გარკვეული ქმედება. შესაბამისად, სამოქალაქო სამართლის მომწესრიგებელი ნორმებისადმი წაყენებული განჭვრეტადობის ხარისხის მოთხოვნა ვერ იქნება ისეთივე მკაცრი, როგორიც სამართლებრივი პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმებისადმი წაყენებული კრიტერიუმებია. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე მიუთითა სამოქალაქო სამართლის ნორმების მოქნილობის მნიშვნელობაზე და ამ დარგში ხისტი კანონმდებლობის დადგენიდან გამომდინარე საფრთხეებზე.

საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ სახელშეკრულებო სამართალი მოიცავს ურთიერთობათა ფართო სპექტრს, რომელთა ფარგლები და შინაარსიც მთლიანად დამოკიდებულია კერძო პირების ქმედებასა და ნებაზე. მუდმივად განვითარებადი სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების კვალდაკვალ წინასწარ შეუძლებელია იმის განსაზღვრა, თუ რა ხელშეკრულებას დადებენ მხარეები, ასევე შეუძლებელია იმ ხელშეკრულებების წინასწარ, ამომწურავად იდენტიფიცირება, რომელთა აღსრულებაც საჯარო ინტერესებს ეწინააღმდეგება. სასამართლომ განმარტა, რომ ზოგადი ნორმების მიზანს წარმოადგენს, შეძლებისდაგვარად სრულყოფილად მოწესრიგდეს სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობები და ჩამოყალიბდეს სამოქალაქო ბრუნვის ფუძემდებლური პრინციპები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება თითოეული სახელშეკრულებო ურთიერთობის სამართლებრივი გადაწყვეტა. რამდენადაც, გარკვეულ შემთხვევებში სახელშეკრულებო ურთიერთობის პირდაპირი, კონკრეტული მოწესრიგების გარეშე გადაწყვეტა გარდაუვალ აუცილებლობას წარმოადგენს, საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ ზოგადი ნორმების არარსებობის პირობებში აუცილებელი გახდებოდა ან ნებისმიერი სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის მაქსიმალური დეტალურობით მოწესრიგება, რაც შეაფერხებდა დინამიკურად განვითარებადი სამოქალაქო ბრუნვის სრულყოფილად ფუნქციონირებას ან აუცილებელი იქნებოდა კანონის ან/და სამართლის ანალოგიის გამოყენება, რითაც კიდევ უფრო შემცირდებოდა სამართლებრივი განსაზღვრულობის ხარისხი. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ სადავო ნორმის შინაარსის ზოგადი ხასიათი და ბუნდოვანება წარმოადგენდა მისი არაკონსტიტუციურად ცნობის თვითკმარ საფუძველს.

საკონსტიტუციო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელეთა არგუმენტაცია, რომლის თანახმადაც, სადავო ნორმა მოსამართლეს უკონტროლო დისკრეციას ანიჭებს და მას შეუძლია სადავო ნორმას ნებისმიერი, მისთვის სასურველი შინაარსი შესძინოს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სადავო ნორმის გამოყენებისას მოსამართლის

შეფასების საზომი ვერ იქნება მისი პირადი შეხედულება ქცევის სისწორესთან დაკავშირებით ან/და ის, თუ როგორ მოიქცეოდა თავად მოსამართლე ამა თუ იმ შემთხვევაში. მოსამართლემ უნდა შეაფასოს თავად გარიგება, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, არის თუ არა მისაღები საზოგადოებაში დამკვიდრებული ზნეობისა და საჯარო წესრიგის ზოგად მოთხოვნებთან. სასამართლოს მითითებით, სადავო ნორმა განმარტებადია არა მოსამართლის სუბიექტური შეფასების მიხედვით, არამედ სისტემურად, სხვა ნორმებთან და სამართლებრივ პრინციპებთან კონტექსტში, ხოლო მოსამართლის მიერ გაკეთებული თითოეული განმარტების სისწორე ობიექტურად შეფასებადი და გადამოწმებადია ზემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ. საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე გაითვალისწინა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკა, კერძოდ კი, მიუთითა უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2017 წლის 2 მარტის გადაწყვეტილებაზე (საქმე №ას-664-635-2016), რომლის თანახმადაც, მართოდენ გარიგების ფასი სადავო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის საფუძველზე ხელშეკრულების ბათილობის საფუძველი ვერ გახდება.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება ყველა ინსტანციის სასამართლოსათვის სავალდებულო ხასიათის მქონეა და არც ერთი ინსტანციის საერთო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, დიდი პალატისგან განსხვავებულად განმარტოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლი და მართოდენ გარიგების შეუსაბამო ფასი გამოიყენოს მისი ბათილობის საფუძველად. ამდენად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ არ არსებობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის მოსარჩელის მიერ მითითებული ნორმატიული შინაარსით გამოყენების კანონიერი შესაძლებლობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა №679 კონსტიტუციური სარჩელი.

საქართველოს მოქალაქე ოლეგ ლაცაბიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (კონსტიტუციური სარჩელი №626)

2017 წლის 17 ოქტომბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ოლეგ ლაცაბიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, რომელშიც სადავოდ იყო გამხდარი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-60 მუხლის პირველი პუნქტის (2015 წლის 6 თებერვალს მოქმედი რედაქცია) სიტყვების „და თანამდებობიდან ათავისუფლებს“ და მე-4 პუნქტის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებთან მიმართებით. მოსარჩელისთვის პრობლემური იყო სადავო ნორმებით დადგენილი წესი, რომელიც, ერთი მხრივ, გამგებელს/მერს ანიჭებდა გამგეობის/მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობიდან გათავისუფლების უფლებამოსილებას დასაბუთების ვალდებულების გარეშე, ხოლო, მეორე მხრივ, გამგეობის/მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის უფლებამოსილება ავტომატურად წყდებოდა ახალი გამგებლის/მერის არჩევის (უფლებამოსილების დაწყების) მომენტიდან.

საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ სახელმწიფო თანამდებობები განსხვავდება ერთმანეთისაგან მათი ბუნების გათვალისწინებით. შესაბამისად, განსხვავებული იქნება კონსტიტუციურისტანდარტებიც იმის მიხედვით, კონკრეტული თანამდებობა არის პოლიტიკური თუ პროფესიული ხასიათის. სასამართლომ შესაბამისი კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ გამგეობის/მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი წარმოადგენს პროფესიულ მოხელეს. იმავდროულად, პროფესიული თანამდებობისთვის უმთავრეს მოთხოვნას წარმოადგენს მოსამსახურეთა პროფესიონალიზმი, გამოცდილება, პიროვნული უნარები და სხვა. შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის ეფექტური

ფუნქციონირებისთვის აუცილებელია მისი კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და მათი შენარჩუნება. ამდენად, წესი, რომელიც შესაბამისი თანამდებობის პირის კვალიფიკაციის, გამოცდილებისა თუ სხვა უნარების შემოწმების/შეფასების გარეშე ადგენს უფლებამოსილების ავტომატურად შეწყვეტას ახალი გამგებლის/მერის მიერ უფლებამოსილების დაწყების მომენტიდან, წარმოადგენს კონსტიტუციით გარანტირებულ სახელმწიფო თანამდებობაზე საქმიანობის განხორციელების უფლების გაუმართლებელ შეზღუდვას.

საკონსტიტუციო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხე მხარის არგუმენტი კადრების ყოველი არჩევნების შემდგომ ჩანაცვლებადობის აუცილებლობასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ დემოკრატიის არსებობა, უპირველესად, ხალხის მმართველობას, ხალხის მიერ საჯარო ფუნქციების უშუალოდ ან არჩეული წარმომადგენლების საშუალებით განხორციელებას გულისხმობს. იმავდროულად, დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობა არ გულისხმობს ყოველი არჩევნების შემდგომ ყველა საჯარო მოსამსახურის ჩანაცვლებას ახალი კადრებითა და ახლად არჩეული თანამდებობის პირების პოლიტიკური გუნდის წევრებით. აღნიშნული არათუ დემოკრატიის მოთხოვნას არ წარმოადგენს, არამედ პრინციპულად ეწინააღმდეგება მას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა №626 კონსტიტუციური სარჩელი.

საქართველოს მოქალაქე ნოდარ დვალი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (კონსტიტუციური სარჩელი N550)

2017 წლის 17 ოქტომბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნოდარ დვალი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ და ნაწილობრივ დააკმაყოფილა სასარჩელო მოთხოვნა, რომელიც მოიცავდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლისა და 312-ე მუხლის მე-2 ნაწილის არაკონსტიტუციურად ცნობას საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებთან მიმართებით.

სადავო ნორმები ადგენდა საჯარო რეესტრში მესაკუთრედ არასწორად რეგისტრირებული პირის მიერ საკუთრების გასხვისებისას კეთილსინდისიერი შემძენის დამცავ წესებს. კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლის თანახმად, შემძენის ინტერესებიდან გამომდინარე, გამსხვისებელი ითვლება მესაკუთრედ, თუ იგი ასეთად არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შემძენმა იცოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე. ხოლო, სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, იმ პირის სასარგებლოდ, რომელიც რეესტრში მესაკუთრედ არასწორად რეგისტრირებული პირისაგან იძენს ქონებას, რეესტრის ჩანაწერი ითვლება სწორად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამ ჩანაწერის საწინააღმდეგოდ შეტანილია საჩივარი, ან შემძენმა იცოდა, რომ ჩანაწერი უზუსტოა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, პირველ რიგში, მოახდინა სასარჩელო მოთხოვნის იდენტიფიცირება და განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლი შეეხება მხოლოდ უძრავ ნივთებზე საკუთრების განკარგვის შემთხვევებს, ხოლო 312-ე მუხლის რეგულირების სფერო უფრო ფართოა და, ზოგადად, საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ უფლებებს მიემართება.

საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმების კონსტიტუციურობა შეაფასა თანაზომიერების პრინციპზე დაყრდნობით და მიუთითა, რომ სადავო ნორმები ემსახურება ღირებული ლეგიტიმური მიზნის მიღწევას, კერძოდ, სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის, სიმართვისა და სიიაფის უზრუნველყოფას. თუმცა სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობისა და სიმართვის საჯარო ინტერესების გარდა, მოცემულ შემთხვევაში ერთმანეთს უპირისპირდება ორი კერ-

ძო პირის ინტერესი. უძრავ ქონებაზე თავდაპირველი მესაკუთრის საკუთრების უფლებას უპირისპირდება კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესი. ამდენად, სადავო ქონებაზე სამართლებრივი პრეტენზია გააჩნია ორ კეთილსინდისიერ მხარეს. სასამართლომ შეაფასა, რამდენად იყო დაცული ბალანსი შეზღუდულ უფლებასა და შეზღუდვის შედეგად დაცულ სამართლებრივ სიკეთეს შორის.

საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ კეთილსინდისიერი შემძენის დავალდებულება, უძრავი ქონების შეძენისას გადაამოწმოს რეგისტრირებული მესაკუთრის უფლების გამომრიცხველი ყველა გარემოება, აზრს დაუკარგავდა როგორც საჯარო რეესტრის არსებობას, ასევე მნიშვნელოვან მსუსხავ ეფექტს იქონიებდა საკუთრების შეძენის პროცესზე. ამგვარი რეგულაციის არსებობის პირობებში საჭირო იქნება გარიგებების მთელი ჯაჭვისა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მოძიება და შესწავლა, რაც, დამატებით ხარჯებთან და დროსთან არის დაკავშირებული. სადავო ნორმებით დადგენილი კეთილსინდისიერი შემძენის დაცვის გარანტიების არარსებობა ასევე გაზრდიდა ხარჯებს და რამდენადმე გაართულებდა უძრავ ქონებაზე გარიგებების დადებას. ამავე დროს, კეთილსინდისიერი შემძენის სრულად დაუცველობის პირობებში ქონების პირვანდელ მესაკუთრეს ნაკლებად ექნებოდა ინტერესი, მისი საკუთრების სხვა პირზე არასწორად რეგისტრაციის შემთხვევაში მოეთხოვა ჩანაწერის შესწორება და წარედგინა სათანადო საჩივარი, რაც გაართულებდა საჯარო რეესტრში არსებული არასწორი ჩანაწერების აღმოჩენასა და აღმოფხვრას. შესაბამისად, სასამართლოს განმარტებით, რეგულაცია, რომელიც კეთილსინდისიერ შემძენს ანიჭებს უპირატესობას ნივთის მესაკუთრესთან მიმართებით, არ არღვევს სამართლიან ბალანსს კერძო და საჯარო ინტერესებს შორის.

საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ რეგულირება არ უნდა უწყობდეს ხელს შემძენის მხრიდან საჯარო რეესტრის ჩანაწერის სისწორის მიმართ გულგრილ დამოკიდებულებას. კანონმდებელმა არ უნდა შექმნას ისეთი სისტემა, რომლის ფარგლებშიც შემძენს შეუძლია, უგულებელყოს მისთვის ცნობილი ინფორმაცია რეესტრის ჩანაწერის სისწორის საეჭვოობასთან დაკავშირებით. სასამართლოს პოზიციით, იმ პირობებში, როდესაც შემძენი ინფორმირებულია საჯარო რეესტრის ჩანაწერის სისწორეზე დავის არსებობის თაობაზე, მან უნდა გადაამოწმოს გამსხვისებლის უფლების ნამდვილობის შესახებ ინფორმაცია ან ატაროს საჯარო რეესტრის ჩანაწერის უზუსტობიდან მომდინარე რისკი. სასამართლომ ასევე განმარტა, თუ რას გულისხმობს რეესტრის ჩანაწერის წინააღმდეგ წარდგენილი საჩივარი და მიუთითა, რომ ეს შეიძლება იყოს: ა) ადმინისტრაციული დავა რეესტრის ჩანაწერის არასწორად განხორციელებაზე ან ბ) სამოქალაქო დავა უძრავი ქონების საკუთრების შესახებ.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლით დადგენილი რეგულირება განსხვავდება 312-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი წესისაგან. სსკ-ის 185-ე მუხლი საკუთრების უფლების შემძენზე გადასვლის ერთადერთ დამაბრკოლებელ გარემოებადადგენს შემძენის მიერ იმის ცოდნას, რომ გამსხვისებელი არარის მესაკუთრე, აქედან გამომდინარე კი რეესტრის ჩანაწერის წინააღმდეგ საჩივრის არსებობის შესახებ ცოდნა არ აბრკოლებს შემძენის კეთილსინდისიერად მიჩნევას, შესაბამისად კი, მასზე საკუთრების უფლების გადასვლას. საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა 185-ე მუხლის დამოუკიდებლად გამოყენების შესაძლებლობა და პირის კეთილსინდისიერად მიჩნევის რისკი, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მან იცოდა, რომ რეესტრის ჩანაწერის წინააღმდეგ შეტანილი იყო საჩივარი.

სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლი იმაზე მეტ შემთხვევაში იწვევდა მესაკუთრის მიერ საკუთრების უფლების დაკარგვას, ვიდრე ეს ობიექტურად აუცილებელია ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა მისი იმ ნორმატიული შინაარსის არაკონსტიტუციურობა, რომლის თანახმადაც, „გამსხვისებელი ითვლება მესაკუთრედ, თუ იგი ასეთად არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში“, მათ შორის იმ

შემთხვევაში, როდესაც რეესტრის ჩანაწერის წინააღმდეგ შეტანილია საჩივარი და ეს ფაქტი მყიდველისათვის ცნობილია.

საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (კონსტიტუციური სარჩელი N659)

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა 2017 წლის 15 თებერვალს დააკმაყოფილა საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძის კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. სადავო ნორმა ითვალისწინებდა სააპელაციო და რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ განწესებამდე პირის მოსამართლედ განწესებას 3 წლის ვადით. მხოლოდ ამ ვადის გასვლის შემდეგ იღებდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო გადაწყვეტილებას მისი მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ გამწესების შესახებ.

საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ მოსამართლის განსაზღვრული ვადით განწესება უკავშირდება პირის იმ მნიშვნელოვანი ნიშან-თვისებების გამოკვლევას, რომელთა შესწავლაც რთული იქნება მოსამართლის პრაქტიკული საქმიანობის გაანალიზების გარეშე, თუმცა არსებობენ ისეთი მოსამართლეობის კანდიდატები, რომელთაც უკვე აქვთ მოსამართლედ საქმიანობის 3 წლიანი გამოცდილება. შესაბამისად, შესაძლებელია შეფასდეს მათი წარსულში განხორციელებული სამოსამართლო საქმიანობა და ამ გზით დადგინდეს კანდიდატის შესაბამისობა მოსამართლის თანამდებობის მაღალ სტანდარტებთან. გარდა ამისა, საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ მოსამართლეთა თანამდებობაზე უვადოდ დანიშვნის მიზნებისთვის არანაკლებ სამ წლიანი სამოსამართლო საქმიანობის გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატები და ის კანდიდატები, რომელთაც ასეთი გამოცდილება არ გააჩნიათ, არსებითად უთანასწორო პირებს წარმოადგენენ.

საკონსტიტუციო სასამართლომ არ გამოიჩინა, რომ, რიგ შემთხვევებში, თუ მოსამართლის საქმიანობის განხორციელებიდან ხანგრძლივი ვადაა გასული ან სხვა ობიექტური გარემოებები არსებობს, შეუძლებელი ან რთულად განხორციელებადი იყოს მისი წარსული საქმიანობის შეფასება. ამასთანავე, მოსამართლეობის კანდიდატის წარსული საქმიანობის შეფასების განხორციელება საჭიროებს სათანადო წესის საკანონმდებლო რეგლამენტაციას. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კანონმდებელს უნდა მიეცეს გონივრული ვადა, რათა მან შეასრულოს მისი კონსტიტუციური ვალდებულება და შეიმუშაოს ისეთი საკანონმდებლო მოწესრიგება, რომელიც უზრუნველყოფს, ერთი მხრივ, დაცული იყოს პირის კონსტიტუციური უფლებები, ხოლო, მეორე მხრივ, გამოირიცხოს იმის რისკი, რომ მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ განწესდნენ ამისთვის შეუსაბამო კანდიდატები. აღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო ნორმა ძალადაკარგულად იქნა ცნობილი 2017 წლის პირველი ივლისიდან.

ნარკოტიკულ დანაშაულებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება იყო პირველი საქმე, სადაც სასამართლოს მოუწია, ემსჯელა ნარკოტიკული დანაშაულისთვის დაწესებული სასჯელის კონსტიტუციურობის თაობაზე. აღნიშნულ საქმეზე სასამართლომ დააკმაყოფილა საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილის სარჩელი და არაკონსტიტუციურად ცნო სადავო ნორმის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებდა სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას 70 გრამამდე ნარკოტიკული საშუალება - გამომშრალი მარიხუანის პირადი მოხმარების მიზნით შეძენისა და შენახვის გამო. საყურადღებოა, რომ

აღნიშნული გადაწყვეტილებიდან დღემდე საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა კიდევ ხუთი კონსტიტუციური სარჩელი და ხუთივე მათგანი დააკმაყოფილა გადაწყვეტილებებით, რომლებიც ხასიათდება როგორც საერთო სტრუქტურით და მსჯელობით, ასევე საკუთარი სპეციფიკური მახასიათებლებით. ამ მხრივ, განსაკუთრებით საყურადღებოა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 30 ნოემბრის №1/13/732 გადაწყვეტილება, სადაც სასამართლომ სხვა საქმეებისგან განსხვავებით, იმსჯელა არა ამა თუ იმ დანაშაულებრივი ქმედებისთვის დაწესებული სასჯელის კონსტიტუციურობის თაობაზე, არამედ შეაფასა კონკრეტული ქმედების - მარიხუანის მოხმარებისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების კონსტიტუციურობა. ასევე ცალკე აღნიშვნის ღირსია №725 კონსტიტუციურ სარჩელზე მიღებული გადაწყვეტილება, სადაც სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმით გათვალისწინებული ქმედებისთვის აშკარად არაპროპორციულ სასჯელს წარმოადგენდა არა სასჯელის სახე - თავისუფლების აღკვეთა, არამედ სასჯელის ზომა - თავისუფლების აღკვეთა ვადით ექვსიდან თორმეტ წლამდე.

გარდა დასახელებული გადაწყვეტილებებისა, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო არაერთი განჩინება, რომელთა მეშვეობითაც მოხდა ნარკოტიკულ დანაშაულთან დაკავშირებული ქმედებისთვის დაწესებული იმ სასჯელების არაკონსტიტუციურად ცნობა, რომლებიც წარმოადგენდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების დამძლევ ნორმებს.

სასამართლოს განმარტებით, „საკონსტიტუციო სასამართლო ვალდებულია, შეაფასოს სას-ჯელთა პოლიტიკა იმ უკიდურეს შემთხვევაში, როდესაც მისი შედეგი ადამიანის ამა თუ იმ უფლების დარღვევაა“.³ საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ აშკარად არაპროპორციული სასჯელები ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის დანაწესს, რომლის თანახმადაც, დაუშვებელია არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი სასჯელის გამოყენება.⁴

საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილი პრაქტიკის თანახმად, სასჯელის კონსტიტუციურობის შეფასება ეფუძნება შემდეგ კრიტერიუმებს: 1) მოწმდება აშკარა არაპროპორციულობა დანაშაულის სიმძიმესა და მისთვის გათვალისწინებულ სასჯელს შორის - კანონმდებლობით ამა თუ იმ ქმედებისთვის დაკისრებული სასჯელი გონივრულ და პროპორციულ დამოკიდებულებაში უნდა იყოს კონკრეტული დანაშაულით გამოწვევად ზიანთან, რომელიც ადგება/შეიძლება მიადგეს პირებს/საზოგადოებას. სასჯელი ჩაითვლება აშკარად არაპროპორციულად და არაადამიანურ, სასტიკ სასჯელად, თუ მისი ხანგრძლივობა მკვეთრად, უხეშად დისპროპორციულია ქმედების უმართლობის ხარისხთან, გამოწვევად საფრთხეებთან. 2) კანონი უნდა იძლეოდეს შესაძლებლობას, მოსამართლემ სასჯელის დაკისრებისას გაითვალისწინოს კონკრეტული საქმის გარემოებები, ქმედებით გამოწვეული ზიანი, დამნაშავის ბრალეულობის ხარისხი და სხვა, რათა ფაქტობრივად გამოირიცხოს ყოველი ინდივიდუალურ შემთხვევაში ყველა რელევანტური ფაქტორის/გარემოების გათვალისწინებლად არაპროპორციული სასჯელის შეფარდება.⁵

ნარკოტიკული დანაშაულის ბუნების შეფასებისას საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ „უმიზნო და, შესაბამისად, გაუმართლებელია სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის დაკისრება პირისთვის ისეთი ქმედების გამო, რომელიც მხოლოდ მის ჯანმრთელობას შეიძლება აყენებდეს ზიანს“.⁶ „პიროვნების დასჯა მხოლოდ საკუთარი ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების გამო, წარმოადგენს სახელმწიფოსგან გამოვლენილი

³ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-34.

⁴ იქვე, II-25.

⁵ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-38.

⁶ იქვე, II-84.

პატერნალიზმის ისეთ ფორმას, რომელიც არ არის თავისუფალი საზოგადოებასთან⁷. საქმეში „საქართველოს მოქალაქეები ჯამბულ გვიანიძე, დავით ხომერიკი და ლაშა გაგიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელები: №701, №722, №725) სადავო იყო სისხლის სამართლის კოდექსის ნორმის ნორმატიული შინაარსი, რომელიც სასჯელის სახედ ითვალისწინებდა თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას ნარკოტიკული საშუალება - კანაფის (მცენარე) დიდი ოდენობით უკანონოდ დათესვის, მოყვანის ან კულტივირების გამო.

№701, №722 და №725 კონსტიტუციური სარჩელების თანახმად, მოსარჩელებს აღმოაჩნდათ, შესაბამისად, 150,72 გრამი, 63,73 გრამი და 265,49 გრამი კანაფი. აღნიშნულიდან გამომდინარე, დასახელებულ საქმეში სასამართლომ შეაფასა სასჯელის სახედ და ზომად თავისუფლების აღკვეთის გამოყენება დასახელებული ოდენობების კანაფის პირადი მოხმარების მიზნით დათესვის, მოყვანისა და კულტივირების გამო.

საკონსტიტუციო სასამართლომ ერთმანეთისგან გამიჯნა, ერთი მხრივ, საფრთხე, რომელიც გარკვეული ოდენობის კანაფის (მცენარე) დათესვით, მოყვანითა და კულტივირებით შეიძლება მიადგეს აღნიშნული მცენარის მფლობელს და, მეორე მხრივ, საფრთხე, რომელიც აღნიშნულმა ქმედებამ შესაძლოა შეუქმნას სხვა პირებს. მოწმეთა დასპეციალისტთა ჩვენებების საფუძველზე სასამართლომ მიიჩნია, რომ კანაფის პროდუქტის მოხმარება, პოტენციურად, ადამიანის ჯანმრთელობისთვის საფრთხის მატარებელია. სასამართლომ კიდევ ერთხელ მიუთითა მის მიერვე უკვე დადგენილ სტანდარტზე და აღნიშნა, რომ უმიზნო და, შესაბამისად, გაუმართლებელია სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის დაკისრება პირისთვის ისეთი ქმედების გამო, რომელიც მხოლოდ მის ჯანმრთელობას შეიძლება აყენებდეს საფრთხეს.

საკონსტიტუციო სასამართლომ ცალ-ცალკე შეაფასა კანაფის სადავოდ გამხდარი ოდენობებიდან მომდინარე მისი გავრცელების თავისთავადი საფრთხეები და დაადგინა, რომ 63,73 გრამი (კონსტიტუციური სარჩელი №722) და 150,72 გრამი (კონსტიტუციური სარჩელი №701) კანაფი არ შეიძლება ჩაითვალოს იმ ოდენობად, რომელიც ქმნის მისი გავრცელების თავისთავად საფრთხეს. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ სასჯელის სახედ თავისუფლების აღკვეთის გამოყენება ამ ოდენობების კანაფის დათესვის, მოყვანისა და კულტივირებისათვის წარმოადგენდა აშკარად არაპროპორციულ სასჯელს და, შესაბამისად, ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტს.

სასამართლომ მიუთითა, რომ 265,49 გრამი კანაფის დათესვა და მოყვანა აჩენს მისი გავრცელების მაღალ რისკებს. ვინაიდან აღნიშნული ოდენობის კანაფის მოყვანისათვის დაწესებული სასჯელი ემსახურება სხვა პირთა ჯანმრთელობის დაცვას, სასამართლომ კონსტიტუციურად მიიჩნია დასახელებული ქმედებისთვის სასჯელის სახედ თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობა, თუმცა, საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფრო მძიმე დანაშაულებისთვის დაწესებული სასჯელების შედარებითი ანალიზის საფუძველზე, სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ 265,49 გრამი კანაფის მოყვანისთვის დაწესებული სასჯელის კონკრეტული ზომა - თავისუფლების აღკვეთა ექვსიდან თორმეტ წლამდე იყო აშკარად არაპროპორციული სასჯელი და ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტს.

საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გივი შანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი №732) დავის საგანს წარმოადგენდა საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლთან მიმართებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლის იმ ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობა, რომელიც ითვალისწინებდა პასუხისმგებლობას ნარკოტიკული საშუალება მარიხუანის მოხმარებისთვის. აღნიშნულ საქმეზე საქართველოს

⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 30 ნოემბრის №1/13/732 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გივი შანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-50.

საკონსტიტუციო სასამართლოს შესაფასებელ მოცემულობას წარმოადგენდა, დაედგინა ისეთი ქმედების კრიმინალიზაციის კონსტიტუციურობა, როგორიცაა ნარკოტიკული საშუალება - მარიხუანის მოხმარება.

საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ცალკე აღებული მარიხუანის მოხმარების ფაქტი, აღნიშნული ქმედების ბუნებიდან გამომდინარე, საჯარო ინტერესისთვის ნაკლები საფრთხის შემცველია, რადგან ამ დროს არ არსებობს ნარკოტიკული საშუალების გავრცელების თეორიული შესაძლებლობაც კი.

საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმა ბლანკეტურად, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე აწესებდა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას მარიხუანის განმეორებით მოხმარებისთვის, განურჩევლად მოხმარების ადგილის, ვითარების, სუბიექტისა და საზოგადოებრივი წესრიგისთვის საფრთხის შექმნის რეალურობისა. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმა ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლით განმტკიცებულ პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას.

საქართველოს მოქალაქეები ნადია ხურციძე, დიმიტრი ლომიძე და ტარიელ ჩოჩიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (კონსტიტუციური სარჩელები N650, N699)

2016 წლის 27 იანვარს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ნადია ხურციძე, დიმიტრი ლომიძე და ტარიელ ჩოჩიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. მითითებულ საქმეზე დავის საგანს წარმოადგენდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის პირველი და მე-4 ნაწილების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტთან და 42-ე მუხლის პირველ და მე-3 პუნქტებთან მიმართებით.

მოსარჩელეთა მტკიცებით, რამდენადაც სადავო ნორმების მოქმედებით იზღუდება სისხლის სამართლის სასამართლო პროცესში დაცვის მხარის შესაძლებლობა, სასამართლოს მიმართოს კომპიუტერულ სისტემაში, ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში განთავსებული ინფორმაციის, ან დოკუმენტაციის გამოთხოვის შუამდგომლობით და აღნიშნული უფლება ენიჭება მხოლოდ ბრალდების მხარეს, იგი არღვევს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების მოქმედებას.

საკონსტიტუციო სასამართლომ, უპირველეს ყოვლისა, ხაზი გაუსვა დაცვის მხარის რეალური და ადეკვატური შესაძლებლობის მინიჭების აუცილებლობას, შეჯიბრებითი პროცესის ფარგლებში გააქარწყლოს ბრალდების არგუმენტაცია, რაც მოიცავს ბრალდების მხარის მტკიცებულების გამოკვლევისა და მათზე შედავების უფლებას, ასევე მტკიცებულებების მოპოვების უფლებას. კანონმდებლობა მას არ უნდა აყენებდეს მოწინააღმდეგე მხარესთან შედარებით არახელსაყრელ მდგომარეობაში და უნდა აძლევდეს საშუალებას, ეფექტურად განახორციელოს დაცვის უფლება.

სასამართლომ მიუთითა თანამედროვე ტექნოლოგიის სწრაფ განვითარებასა და ნებისმიერი ინფორმაციის (წერილობითი დოკუმენტაცია, ვიდეო ან აუდიო ჩანაწერები, საჯარო ან საიდუმლო ინფორმაცია) ელექტრონულ არქივებში შენახვის ზრდად ტენდენციამ საჯარო დაწესებულებების, იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ დაგანსაზღვრა, რომ სადავო ნორმა დაცვის მხარეს უზღუდავს წვდომას სისხლის სამართლის პროცესისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის ფართო სპექტრზე, მესამე მხარეთა და კონსტიტუციური ინტერესების მიმართ არსებული საფრთხეების გათვალისწინების გარეშე.

საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა კონსტიტუციური სარჩელები N650, N699 და არაკონსტიტუციურად ცნო სადავო ნორმების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც გამო-რიცხავდა დაცვის მხარის მიერ კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში შენახული ინფორმაციის ან დოკუმენტის გამოთხოვის განჩინების გაცემის შუამდგომლობით სასამართლოსათვის მიმართვის შესაძლებლობას საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტთან, 42-ე მუხლის პირველ და მე-3 პუნქტებთან მიმართებით.

„საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (კონსტიტუციური სარჩელი N658)“

2017 წლის 16 ნოემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძე საქარ-თველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი №658), რომელშიც სადავო იყო „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხის-მგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლთან მიმართებით.

საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ მოსამართლის თანამდებობის დაკავებისა და მისი განხორციელების პირობები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის მოთხოვნებს. აღნიშნული გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებას, თანამდებობის განხორციელების უფლების შეზღუდვისას დაიცვას არა მხოლოდ თანაზომიერების პრინციპი, არამედ ყველაის ფორმალური მოთხოვნა, რაც თავად კონსტიტუციით არის გათვალისწინებული, მათ შორის მოსამართლის გათავისუფლების პროცედურული საკითხების ორგანული კანონით დარეგულირების ფორმალურ აუცილებლობას.

სასამართლომ, სადავო აქტის რელევანტური ნორმების ანალიზის საფუძველზე დაადგინა, რომ დისციპლინური სამართალწარმოება შესაძლოა დასრულდეს ნებისმიერი შედეგით, მათ შორის, მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლებით. შესაბამისად, სადავო კანონით განსაზღვრული ნებისმიერი პროცედურა, რომელიც უკავშირდება დისციპლინურ სამართალწარმოებას, წარმოადგენს მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლებისთვის დადგენილ წესს და მათი კანონის ფორმით მოწესრიგება ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ ფორმალურ მოთხოვნას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტი-ტუციურად ცნო დისციპლინური სამართალწარმოების პროცედურების დამდგენი სადავო კანონის II, III და V თავები. სასამართლომ მიიჩნია, რომ ხსენებული ნორმები ფორმალური თვალსაზრისით არ შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლს.

საკონსტიტუციო სასამართლომ გაითვალისწინა, რომ სადავო ნორმების საკონსტიტუციო სასა-მართლოს გადაწყვეტილების გამოქვეყნებისთანავე ძალადაკარგულად ცნობის შემთხვევაში შეუძლებელი გახდებოდა მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური საქმისწარმოება, რაც არ წარმოადგენდა არც მოსარჩელის მოთხოვნას და არც საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სადავო ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობის მიზანს. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კანონმდებელს უნდა მიეცეს გონივრული ვადა, რათა მან კონსტიტუციის მოთხოვნათა შესაბამისად მოაწესრიგოს მოსამართლეთა სამსახურიდან გათავისუფლების წესი. აღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო ნორმები ძალადაკარგულად იქნა ცნობილი 2018 წლის 1 მაისიდან.

კონსტიტუციური კანონიერების განმტკიცების მნიშვნელოვანი მიმართულებები

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია, წინამდებარე დოკუმენტში გამოიკვეთოს სასამართლოს საქმიანობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი მიღწევები და გამოწვევები, რომლებიც გარკვეულწილად გავლენას ახდენს კონსტიტუციური კანონიერების დაცვაზე. მათი იდენტიფიცირება და გააზრება კონსტიტუციის უზენაესობის დაცვის ხარისხის გაუმჯობესების მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს.

საკონსტიტუციო სასამართლოსა და საერთო სასამართლოების ურთიერთთანამშრომლობა

საკონსტიტუციო სასამართლოსა და საერთო სასამართლოებს შორის ნაყოფიერი თანამშრომლობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია კონსტიტუციური ღირებულებებისა და ადამიანის ძირითადი უფლებების სათანადოდ დაცვისა და რეალიზებისათვის. საერთო სასამართლო ახორციელებს მართლმსაჯულებას და უზრუნველყოფს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტანდარტების იმპლემენტაციას ყოველ კონკრეტულ შემთხვევასთან მიმართებით. ხოლო საკონსტიტუციო სასამართლო ახდენს არაკონსტიტუციური კანონების გაუქმებას, რითაც უზრუნველყოფს კონსტიტუციის შესაბამის საკანონმდებლო სივრცეს და, შესაბამისად, საერთო სასამართლოების მიერ მართლმსაჯულების კონსტიტუციის შესაბამისად განხორციელების შესაძლებლობას.

საერთო სასამართლოები მიერ მართლმსაჯულების კონსტიტუციის შესაბამისად განხორციელების უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანეს გარანტიას ქმნის კონსტიტუციური წარდგინების ინსტიტუტი. კონსტიტუციური წარდგინების ინსტიტუტი საერთო სასამართლოს მოსამართლეს საშუალებას აძლევს, თავიდან აიცილოს სავარაუდოდ არაკონსტიტუციური ნორმატიული აქტის გამოყენება. ბოლო წლებში აშკარად გაიზარდა საერთო სასამართლოების მიერ საკონსტიტუციო სასამართლოსათვის წარდგინებებით მომართვის სიხშირე, რაც ასევე გაგრძელდა 2017 წელს.

ასევე აღსანიშნავია საერთო სასამართლოების მიერ კონკრეტული საქმის გადაწყვეტისას საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში დადგენილი სტანდარტებისა და განმარტებების გამოყენება. საერთო სასამართლოების მიერ მართლმსაჯულების პროცესში უშუალოდ ხდება კანონის ნორმების განმარტება, შესაბამისად, აუცილებელია, ამა თუ იმ ნორმის განმარტება და გამოყენება შეესაბამებოდეს საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ წესრიგს. ამ კუთხით აღსანიშნავია საქართველოს უზენაესი სასამართლოს რიგი გადაწყვეტილებები, რომლებში განვითარებული მსჯელობა და სამართლებრივი დასკვნა ეფუძნება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გაკეთებულ განმარტებებს. საქართველოს უზენაესი სასამართლო 2017 წლის 23 ივნისის №ას-475-443-2017 განჩინებაში დაეყრდნო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს №3/1/531 გადაწყვეტილებაში⁸ დადგენილ სტანდარტებს და მის საფუძველზე განმარტა სასამართლოსათვის მიმართვის უფლების რეალიზაციის დროში მოქმედების ფარგლები. მსგავსი ტენდენციის მაგალითია საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 28 აპრილის №ას-871-838-2016 განჩინება, რომლის ფარგლებშიც უზენაესმა სასამართლომ საკუთრების უფლებით სარგებლობის ფარგლების დადგენისას გამოიყენა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს №2/1/370,382,390,402,405 გადაწყვეტილებით⁹ განმარტებული საკუთრების უფლების სოციალური მნიშვნელობა და

⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის №3/1/531 გადაწყვეტილება საქმეზე „ისრაელის მოქალაქეები - თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის №2/1/370,382,390,402,405 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ზაურ ელაშვილი, სულიკო მაშია, რუსუდან გოგია და სხვები და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაში მოცემული სტანდარტების გათვალისწინებით მიიღო საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება. წინამდებარე დოკუმენტის დანიშნულებიდან გამომდინარე, განხილული მაგალითები ცხადყოფს, რომ საერთო სასამართლოები აქტიურად იყენებენ საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებებს და ცდილობენ გამოსაყენებელი ნორმები შეუსაბამონ კონსტიტუციით დადგენილ სტანდარტებს.

საკონსტიტუციო სასამართლოს ურთიერთობა საქართველოს პარლამენტთან

გასულ წელს განხილულ და გადაწყვეტილ საქმეთა უმეტესობაში მოპასუხე მხარეს წარმოადგენდა საქართველოს საკანონმდებლო ორგანო - პარლამენტი. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუცია ავალდებულებს ხელისუფლების ყველა შტოს, საკუთარი ქმედებები დაუქვემდებარონ კონსტიტუციის მოთხოვნებს, სამართალშემოქმედებითი პროცესის ბუნებიდან და მასშტაბიდან გამომდინარე ვერ გამოირიცხება კანონის მოქმედების შედეგად ძირითადი უფლებების დარღვევის რისკი. სწორედ ამ რისკის დაბალანსების ქმედით მექანიზმს წარმოადგენს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კონსტიტუციური კონტროლის განხორციელება.

კანონმდებლის მიერ ამა თუ იმ სფეროს მოწესრიგება სრულად უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნებს. კონსტიტუციის განმარტება და კონსტიტუციური სტანდარტების დადგენა ხდება სწორედ საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის საფუძველზე. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების გათვალისწინება კანონშემოქმედებით პროცესში მნიშვნელოვნად განაპირობებს კონსტიტუციის უზენაესობის დაცვას.

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც კანონმდებელი არ/ვერ ითვალისწინებს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტებს ამა თუ იმ ურთიერთობის მომწესრიგებელი კანონმდებლობის შემუშავებისას. დამძლევი ნორმების გამო დავების გამართივებული წესით გადაწყვეტის შემთხვევათა სიმრავლე გამორჩეული იყო 2017 წელს, როდესაც ექვს ასეთ საქმეზე მიიღო სასამართლომ გაჩინება. იმ შემთხვევაში, როდესაც დადგენილი კონსტიტუციური სტანდარტები ცხადად მიაწინებდა ამა თუ იმ ნორმის არაკონსტიტუციურობაზე, მიზანშეწონილია, ნორმის გასწორება კანონმდებელმა თავად მოახდინოს და არ დაელოდოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სადავო ნორმების არსებითი განხილვის გარეშე, განჩინებით გაუქმებას.

თითოეული შემთხვევა, როდესაც სასამართლომ არსებითი განხილვის გარეშე სცნო ნორმები ძალადაკარგულად უკავშირდება არა კანონმდებლის მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის მსგავსი შინაარსის მქონე რეგულირების სასამართლოს გადაწყვეტილების შემდგომ პერიოდში მიღებას, არამედ ისეთ შემთხვევებს, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის მსგავსი შინაარსის შემცველი რეგულაციები კვლავ რჩება მოქმედ კანონმდებლობაში და შესაბამისი ორგანო არ იღებს სათანადო ზომებს ამ ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

ასევე აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სტანდარტების კანონმდებლობაში ასახვის თვალსაზრისით, ვითარება მნიშვნელოვნად განსხვავდება იმ გადაწყვეტილებებთან მიმართებით, რომელთა აღსრულების გადავადებაც მოხდა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მისი გადაწყვეტილების აღსრულების გადავადება ხდება მაშინ, როდესაც სადავო ნორმის დაუყოვნებლივ ძალადაკარგულად გამოცხადებამ შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი კერძო და საჯარო ინტერესების დაზიანება. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საკუთარი გადაწყვეტილების გადავადება მიზნად ისახავს რეგულაციის გარეშე არ დარჩეს ისეთი სამართლებრივი

ურთიერთობები, რომლებიც თავისი ბუნებიდან გამომდინარე, მუდმივად საჭიროებს სამართლებრივ მოწესრიგებას და სასამართლო გარკვეულ დროს აძლევს მოპასუხე მხარეს, რათა მან ამ დროის განმავლობაში შეძლოს და საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად დაარეგულიროს სამართლებრივი ურთიერთობა.

ამ კუთხით აღსანიშნავია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს N659 კონსტიტუციურ სარჩელზე მიღებული გადაწყვეტილება, რომლითაც გადავადდა სადავო ნორმების ძალადაკარგულად ცნობა და საქართველოს პარლამენტმა გარდამავალი პერიოდის განმავლობაში შეიმუშავა ახალი რეგულაცია. N659 კონსტიტუციური სარჩელით მოსარჩელე სადავოდ ხდიდა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის იმ დებულებას, რომლის თანახმადაც, სააპელაციო და რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეები თანამდებობაზე განწესდებოდნენ სამი წლის ვადით, ხოლო ამ ვადის გასვლის შემდეგ იუსტიციის უმაღლესი საბჭო მსჯელობდა მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ გამწესების შესახებ. საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ ისეთი პირების მიმართ, რომელთაც უკვე აქვთ სამ წლიანი სამოსამართლო საქმიანობის გამოცდილება და ობიექტურად შესაძლებელია მათი საქმიანობის შესწავლა, სადავო ნორმით განსაზღვრული ვადის დამატებით დაწესება ზედმეტ, დაუსაბუთებელ ბარიერს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ სადავო ნორმა მიჩნეული იქნა არაკონსტიტუციურად, საკონსტიტუციო სასამართლომ საკუთარი გადაწყვეტილების აღსრულება გადაავადა 2017 წლის პირველ ივლისამდე. აღსანიშნავია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში 2017 წლის 16 ივნისს საქართველოს პარლამენტმა შეიტანა რიგი ცვლილებები, მათ შორის, იმ მიზნით, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში დადგენილი სტანდარტის გათვალისწინებით მოეწესრიგებინა სააპელაციო და რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში მოსამართლეთა გამწესების წესი.

გადაწყვეტილების აღსრულების გადავადების შემდეგ საქართველოს პარლამენტის მიერ საკანონმდებლო ცვლილებები წარსულშიც მრავალჯერ განხორციელდა. მათ შორის, თვისობრივად შეიცვალა ქმედუნარობის ინსტიტუტის მომწესრიგებელი კანონმდებლობა. საკანონმდებლო ორგანოს მიერ კანონმდებლობის შემუშავების პროცესში საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლებრივ აქტებში დადგენილი სტანდარტების გათვალისწინება ნამდვილად დადებითად აისახება კონსტიტუციური კანონიერების დაცვაზე და ქმნის ნაყოფიერ ნიადაგს ადამიანის ძირითადი უფლებების ეფექტურად რეალიზებისათვის. კანონმდებელი ვალდებულია, ყოველი კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობა მოაწესრიგოს კონსტიტუციის შესაბამისად, გაითვალისწინოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტები და აღასრულოს მისი გადაწყვეტილებები.

საკონსტიტუციო რეფორმა საქართველოში (2017 წ.) და საკონსტიტუციო სასამართლო

აბსტრაქტი

2017 წელს საქართველოში განხორციელებული საკონსტიტუციო რეფორმა, რომელმაც დაასრულა ქვეყნის პოლიტიკური სისტემის საპარლამენტო მმართველობის მოდელზე გარდაქმნის პროცესი, საკონსტიტუციო სასამართლოსაც შეეხო. ცვლილებები განიცადა საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური საფუძვლების განმსაზღვრელმა ნორმებმა. სტატიაში განხილულია ამ ცვლილებათა არსი, მათი მიზანშეწონილობა და მნიშვნელობა, ნაჩვენებია საზღვარგარეთის ქვეყნების შესაბამისი საკანონმდებლო რეგულირების გამოცდილება. საკონსტიტუციო ცვლილებები, რომლებიც ეხება საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირებისა და მოსამართლეთა განწესების წესს, აგრეთვე მისი ზოგიერთი უფლებამოსილების ფარგლების დაზუსტებას, ნაშრომში პოზიტიურად არის შეფასებული. თუმცა, იმ ფონზე, როდესაც კონსტიტუციის ახალი რედაქციით საგრძნობლად შემცირდა საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენცია, კერძოდ, გაუქმდა საკონსტიტუციო სასამართლოს ოთხი უფლებამოსილება, მათ შორის, ნორმათა ფორმალური კონტროლი, კიდევ უფრო შეიზღუდა სასამართლოს უფლებამოსილება არჩევნების კონსტიტუციურობის საკითხებზე და სხვა, 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმა ამ მხრივ წინგადადგმულ ნაბიჯად ვერ ჩაითვლება.

შესავალი

2017 წელს საქართველოში მორიგი საკონსტიტუციო რეფორმა განხორციელდა. მართალია, კონსტიტუციის ნაწილობრივ გადასინჯვასთან დაკავშირებული ცვლილებები, 1999 წლიდან მოყოლებული, პერმანენტულად მიმდინარეობდა, მაგრამ საკონსტიტუციო რეფორმა, რომელიც იწვევდა ძირითადი კანონის ზოგად გადასინჯვას, 2017 წლამდე მხოლოდ ორჯერ - 2004 და 2010 წლებში ჩატარდა.

სამივე საკონსტიტუციო რეფორმა (2004, 2010, 2017 წწ.) სახელმწიფო მმართველობის ახალი სისტემის შემოღებას ან არსებულის საფუძვლიან გაუმჯობესებას ისახავდა მიზნად. როგორც ჩანს, პოლიტიკური ელიტა ქვეყნის წარუმატებლობის ძირითად მიზეზს სწორედ სახელმწიფო მმართველობის არასწორად შერჩეულ მოდელში ხედავდა. არადა, დემოკრატიისა და სამართლებრივი სახელმწიფოს იდეის დამკვიდრება უსათუოდ არ არის დაკავშირებული სახელმწიფო მმართველობის ერთ რომელიმე სახეობასთან. დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა შეიძლება წარმატებით განხორციელდეს როგორც კონსტიტუციური მონარქიის, ისე საპრეზიდენტო, ნახევრადსაპრეზიდენტო და საპარლამენტო რესპუბლიკის პირობებში. ამის მაგალითები მრავლადაა თანამედროვე მსოფლიოში. მთავარია, სახელმწიფო ხელისუფლება დანაწილებული იყოს ცნობილი ტრიადის მიხედვით და ამასთანავე, არსებობდეს ხელისუფლების შტოებს შორის შეკავებისა და გაწონასწორების ეფექტიანი მექანიზმები, სათანადოდ იყოს დაცული და გარანტირებული ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები.

სახელმწიფო მმართველობის ახალი სახეობის ძიებაში, საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციით თავდაპირველად განსაზღვრული საპრეზიდენტო რესპუბლიკა, 2004 წლის საკონსტიტუციო რეფორმით, ფორმალურად, ნახევრადსაპრეზიდენტო სისტემით შეიცვალა. შემოღებულ იქნა ახალი აღმასრულებელი ორგანო – მთავრობა, მაგრამ შეკავებისა და გაწონასწორების მექანიზმები იმდაგვარად იქნა შერჩეული, რომ სინამდვილეში ე.წ. სუპერსაპრეზიდენტო მმართველობა მივიღეთ,¹ რომლის ნეგატიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური შედეგების აღმოფხვრის ღონისძიებები დღემდე გრძელდება.

2010 წლის საკონსტიტუციო რეფორმაც პოლიტიკური მიზნებით იყო ნაკარნახევი. მმართველი ძალის ხელისუფლებაში ხანგრძლივად ყოფნის სურვილს კარგად ესადაგებოდა საპარლამენტო რესპუბლიკის სისტემა, რომელიც საპარლამენტო არჩევნებში წარმატების შემთხვევაში, დროში შეუზღუდავად იძლეოდა აღმასრულებელ ხელისუფლებაში დარჩენის შესაძლებლობას. ამიტომ არჩევანიც მასზე, უფრო სწორედ, რაციონალიზებულ პარლამენტარიზმზე გაკეთდა, რომლის მთავარი მიზანი მთავრობის სტაბილურობის უზრუნველყოფაა.² თუმცა, სახელმწიფო მმართველობის ამ სისტემის ერთ-ერთი მთავარი მექანიზმი – უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმი, რომელიც პარლამენტსა და მთავრობას შორის ურთიერთმიმართებას განსაზღვრავს, იმდენად რთულად იქნა კონსტრუირებული ძირითად კანონში, რომ მისი პრაქტიკული გამოყენება თითქმის შეუძლებელი გახდა. ვერც პრეზიდენტის სტატუსი და უფლებამოსილებები იყო სრულყოფილად გააზრებული, რამაც 2010 წლის საკონსტიტუციო ცვლილებების ამოქმედებისთანავე იჩინა თავი და კონსტიტუციურ ორგანოებს შორის დაპირისპირების საფუძველი გახდა.

რადგანაც მოქმედი კონსტიტუცია ადგენდა „გაუმართავ საპარლამენტო მმართველობის სისტემას“, ამიტომ 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმის მთავარ ამოცანად განისაზღვრა, კონსტიტუციის სრული შესაბამისობის უზრუნველყოფა საპარლამენტო რესპუბლიკისათვის დამახასიათებელი კონსტიტუციური სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებთან.³ რამდენად შეძლო ამ ამოცანის შესრულება სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიამ და საქართველოს პარლამენტმა, ეს კარგად ჩანს ვენეციის კომისიის საბოლოო შეფასებაში, რომელიც 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმის თაობაზე მის მიერ გაკეთებულ დასკვნაშია მოცემული. მასში, კერძოდ, ნათქვამია: „საკონსტიტუციო რეფორმა ამთავრებს საქართველოს პოლიტიკური სისტემის საპარლამენტო სისტემად გარდაქმნის პროცესს და წარმოადგენს ქვეყნის კონსტიტუციური წყობის კონსოლიდაციისა და გაუმჯობესებისაკენ გადადგმულ პოზიტიურ ნაბიჯს, ეფუძნება დემოკრატიის პრინციპებს, კანონის უზენაესობასა და ძირითადი უფლებების დაცვას“.⁴

¹ იხ. ა. არაქელიანი და სხვა, „საკონსტიტუციო-პოლიტიკური რეფორმის პროცესი საქართველოში: პოლიტიკური ელიტა და ხალხის ხმები“, IDEA, CIPDD, თბილისი, 2005. გვ. 21.

² რაციონალიზებული პარლამენტარიზმის შესახებ იხ. ე. ტანჩევი, „რაციონალიზებული პარლამენტარიზმი“. წიგნში: ო. მელქაძე (რედაქტორი), „რესპუბლიკა: საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო“, გამომცემლობა „უფლება“, თბილისი, 1996. გვ. 38-44.

³ „საჯიროა დღევანდელი დაუხვეწავი საპარლამენტო მმართველობის სისტემის გარდაქმნა დახვეწილ საპარლამენტო მმართველობის სისტემად. ეს იყო [...] ფუნდამენტური ამოცანა, რომელიც დასახული იყო კომისიის წინაშე და სწორედ ამ [...] ფუნდამენტური ამოცანის შესაბამისად იმოქმედა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიამ“. ხელმისაწვდომია აქ:

<http://www.parliament.ge/ge/parlamentarebi/chairman/chairmannews/irakli-kobaxidze-sakonstitucio-cvllilebebis-mizania-demokratiuli-ganvitarebis-konstituciuri-garantiebis-sheqmna.page> [უკანასკნელად გადამოწმდა 2018 წლის 1 ივნისს].

⁴ CDL – AD (2017)023. European Commission for Democracy through Law (Venice Commission), “Opinion on the Draft revised Constitution as adopted by the Parliament of Georgia at the second reading on 23 June 2017”. Adopted by the Venice Commission at its 112th Plenary Session (Venice, 6-7 October 2017). Para 51.

ვენეციის კომისიამ ამ ზოგად პოზიტიურ შეფასებასთან ერთად, თავის დასკვნაში გამოთქვა კონკრეტული შენიშვნები და რეკომენდაციები, მათ შორის, არჩევნებთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების შესახებ. მათი გათვალისწინება მიზანშეწონილად ჩაითვალა მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პარლამენტს საკონსტიტუციო ცვლილებების თაობაზე კონსტიტუციური კანონის პროექტი მეორე მოსმენით უკვე მიღებული ჰქონდა, რაც ამეტაპზე გამორიცხავდა მასში არსობრივი ცვლილებების შეტანას. მათ გასათვალისწინებლად საჭირო გახდა ამ საკითხებზე საკონსტიტუციო ცვლილებების თავიდან ინიცირება სულ ახლახანს მიღებულ კონსტიტუციურ კანონში, რაც განხორციელდა კიდევ და კონსტიტუციის გადასინჯვის პროცესი 2018 წელსაც გაგრძელდა.

ეს არ იყო პირველი შემთხვევა, როდესაც საკონსტიტუციო რეფორმა საკონსტიტუციო სასამართლოს შეეხო. 1995 წლის კონსტიტუციით დამკვიდრებულ საკონსტიტუციო კონტროლის ამ სასამართლო ორგანომ უკანასკნელი 20 წლის მანძილზე მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა როგორც საკონსტიტუციო რეფორმის, ისე საკანონმდებლო ცვლილებების ფორმატში. მაგალითად, 2002 წელს საგულისხმო ცვლილებები განიცადა საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობაში.⁵ გაფართოვდა საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენცია. მის უფლებამოსილებებს დაემატა ნორმათა ფორმალური და კონკრეტული კონტროლი, ასევე გაფართოვდა საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლების მქონე სუბიექტთა წრე, საკონსტიტუციო სამართალწარმოება უფრო მოქნილი და ეფექტიანი გახდა. მაგრამ 2004 წელს, რევოლუციურ ტალღაზე მოსული ხელისუფლება ჯერ შეეცადა საკონსტიტუციო სასამართლოს გაუქმებას უზენაეს სასამართლოსთან მისი შეერთების გზით, ხოლო შემდეგ 2004 წლის 17 დეკემბერს საყოველთაო სახალხო განხილვისათვის გამოაქვეყნა საქართველოს პრეზიდენტის მიერ ინიცირებული კონსტიტუციური კანონის პროექტი, რომლის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლო აღარ განიხილებოდა როგორც სასამართლო ხელისუფლების დაწესებულება, საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოს ყველა მოსამართლეს (გარდა უზენაესი სასამართლოს ახლად არჩეული თავმჯდომარისა) ვადამდე უწყდებოდა უფლებამოსილება, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის თანამდებობიდან გადაყენება შესაძლებელი ხდებოდა იმპიჩმენტით, მცირდებოდა საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის თანამდებობის დაკავებისათვის დადგენილი ასაკობრივი ცენზი, იცვლებოდა საკონსტიტუციო სასამართლოს დაკომპლექტების წესი - ყველა მოსამართლეს პრეზიდენტის წარდგინებით ირჩევდა პარლამენტი, საკონსტიტუციო სასამართლოს აღარ ექნებოდა არჩევნების კონსტიტუციურობის შემოწმების კომპეტენცია, იზღუდებოდა იმ ნორმატიული აქტების წრე, რომლის გასაჩივრების უფლებაც ჰქონდათ მოქალაქეებს და სხვ.⁶

საქართველოს კონსტიტუციაში მოსალოდნელი ამ ცვლილებების თაობაზე მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატეს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ, რის გამოც კანონპროექტის ამ სახით მიღებას ხელისუფლება მოერიდა, თუმცა, ზოგიერთი დებულება, რომელიც, მაგალითად, ზღუდავდა საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებას, ამცირებდა საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლედ განწესების ასაკობრივ ცენზს და სხვა, მაინც იქნა მიღებული შემდგომ წლებში.⁷

⁵ იხ. მუხლი 14, საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“. 12 თებერვალი, 2002. სსმ, 4, 05.03.2002; ჯ. ხეცურიანი. „ნოვაციები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობაში“. 1, „ადამიანი და კონსტიტუცია“, 2002. გვ. 9-18.

⁶ იხ. საქართველოს პარლამენტის დადგენილება „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის გამოქვეყნებისა და მისი საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის შექმნის თაობაზე“. 9 დეკემბერი, 2004. სსმ, 148, 17.12.2004.

⁷ იხ. ჯ. ხეცურიანი, „დამოუკიდებლობიდან სამართლებრივი სახელმწიფოსაკენ“, „სეზანი“, თბილისი, 2006. გვ. 67-69.

საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების შემზღუდვას შეეცადნენ 2016 წელსაც, მაგრამ საქართველოს პრეზიდენტის მიერ ვეტოს უფლების გამოყენების შედეგად, საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საკანონმდებლო აქტებში შესატანი საექვო ცვლილებების დიდი ნაწილი თავიდან იქნა აცილებული.⁸

2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმამ მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური საფუძვლების განმსაზღვრელ ნორმებში. წინამდებარე სტატიაში განხილულია სწორედ ამ ცვლილებათა არსი, მიზანდასახულობა და შესაბამისობა საკონსტიტუციო სამართლის ძირითად პრინციპებთან.

საკონსტიტუციო სასამართლოს ადგილი ხელისუფლების დანაწილების სისტემაში

საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ადგილი ხელისუფლების დანაწილების სისტემაში არ შეცვლილა. ძირითადი კანონით იგი კვლავ სასამართლო ხელისუფლების დაწესებულებადაა აღიარებული. საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის მეექვსე თავში - „სასამართლო ხელისუფლება და პროკურატურა“, - ნათქვამია, რომ სასამართლო ხელისუფლებას ახორციელებენ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო და საერთო სასამართლოები (59-ე მუხლის პირველი პუნქტი). რაც შეეხება პროკურატურას, მართალია, ზოგიერთ ქვეყანაში ის სასამართლო ხელისუფლების ორგანოა (ბელგია, ესპანეთი, რუმინეთი, ლატვია, ხორვატია),⁹ მაგრამ საქართველოს სინამდვილეში სასამართლო ხელისუფლების დაწესებულებებთან მისი კონსტიტუციის ერთ თავში გაერთიანება უაღრესად პირობითია. კანონმდებელი კონსტიტუციის ახალ რედაქციაში პროკურატურის ადგილის განსაზღვრისას, როგორც ჩანს, ითვალისწინებდა პროკურატურის მნიშვნელოვან როლს მართლმსაჯულების განხორციელებაში, მაგრამ მაშინ, ამავე ლოგიკით, მას ადვოკატურისთვისაც უნდა მოეძებნა სათანადო ადგილი ძირითადი კანონის სასამართლო ხელისუფლების თავში.¹⁰ მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პროკურატურა სახელმწიფო ხელისუფლების ერთ-ერთი კონსტიტუციური ორგანოა, ძირითადი კანონით არ არის განსაზღვრული მისი კომპეტენცია, რაც, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანი ხარვეზია და საკანონმდებლო დონეზე იძლევა მისი უფლებამოსილებების განსაზღვრის ფართო შესაძლებლობებს კანონმდებლის მიხედულებისამებრ. თუ გავითვალისწინებთ საქართველოს პროკურატურის ფორმირების წესსა და მის ანგარიშვალდებულებას პარლამენტის წინაშე (საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის 65-ე მუხლი), ის საკანონმდებლო ხელისუფლებასთან ასოცირებულად უფრო მოიაზრება, ვიდრე სასამართლო ხელისუფლების ან თუნდაც აღმასრულებელი ხელისუფლების ნაწილად, როგორც ეს 1995 წლის კონსტიტუციის თავდაპირველ რედაქციაში იყო და 2004 წლის საკონსტიტუციო რეფორმის შემდეგ არის.¹¹

⁸ ამ საკითხზე დაწვრილებით იხ. ვ. ხეცურიანი. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება“. „ფავორიტი სტილი“, თბილისი, 2016. გვ. 278-282.

⁹ იხ. ო. მეღვინე, ბ. დვალი, „სასამართლო ხელისუფლება საზღვარგარეთის ქვეყნებში“, „მერანი-3“, თბილისი, 2000. გვ. 209-225.

¹⁰ საქართველოს კონსტიტუციის ახალ რედაქციაში ადვოკატურაზე მითითება მოცემულია ადამიანის ძირითადი უფლებების თავში (31-ე მუხლის მე-3 პუნქტი). ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა, რომ ბულგარეთის კონსტიტუციის სასამართლო ხელისუფლების თავში პროკურატურასთან ერთად ადვოკატურაც არის მოხსენიებული, საკონსტიტუციო სასამართლო კი გამოყოფილია სასამართლო ხელისუფლებისაგან და მას ცალკე თავი ეძღვნება (იხ. ვ. გონაშვილი (რედ.) „საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები“, ნაწილი IV, თბილისი, 2007. გვ. 222, 224).

¹¹ საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის თავდაპირველ რედაქციაში პროკურატურა სასამართლო ხელისუფლების დაწესებულებად იყო მიჩნეული და იქვე იყო განსაზღვრული მისი ძირითადი ფუნქციები (91-ე მუხლი), ხოლო 2004 წლის საკონსტიტუციო რეფორმის შემდეგ, პროკურატურაზე მითითება საერთოდ იქნა ამოღებული ძირითადი კანონიდან და ის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულება გახდა.

საქართველოს ამჟამად მოქმედ კონსტიტუციაში, მისი ახალი რედაქციისაგან განსხვავებით, სასამართლო ხელისუფლების თავში აღნიშნულია არა მხოლოდ სახელმწიფო ხელისუფლების ამ შტოს ინსტიტუციები, არამედ მოცემულია აგრეთვე სასამართლო ხელისუფლების განხორციელების ფორმებიც. კერძოდ, მასში ნათქვამია, რომ „სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება საკონსტიტუციო კონტროლის, მართლმსაჯულების და კანონით დადგენილი სხვა ფორმების მეშვეობით“ (82-ე მუხლის პირველი პუნქტი). „კანონით დადგენილი სხვა ფორმების მეშვეობით“ სასამართლო ხელისუფლების განხორციელების შესაძლებლობა კონსტიტუციის ახალი რედაქციიდან ამოღებულია.

სასამართლო ხელისუფლება და მართლმსაჯულება (მათ შორის, რა თქმა უნდა, საკონსტიტუციო მართლმსაჯულება) იდენტური ცნებები არ არის. სასამართლო ხელისუფლების განხორციელება უფრო ფართო ცნებაა, მოიცავს მართლმსაჯულებას, სასამართლო საკონსტიტუციო კონტროლსაც (საკონსტიტუციო მართლმსაჯულებასაც) და, ამასთანავე, ისეთ საქმიანობასაც, რომელიც ვერც მართლმსაჯულებად და ვერც საკონსტიტუციო კონტროლად ვერ იქნება მიჩნეული, თუმცა, სასამართლო ხელისუფლების განხორციელებად ჩაითვლება. მაგალითად, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილებას ვადამდე უწყვეტს თავის წევრს, იგი არ შეიძლება ჩაითვალოს საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებად, ან კიდევ, საერთო სასამართლოების სისტემის კონსტიტუციით გათვალისწინებული ორგანოს - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობა, რა თქმა უნდა, არ არის მართლმსაჯულების განხორციელება. მაგრამ როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში საქმე გვაქვს სასამართლო ხელისუფლების განხორციელებასთან ისეთი ფორმებით, რომლებიც დადგენილია კონსტიტუციით და კანონით. ამიტომ არ იყო მართებული კონსტიტუციის ზემოაღნიშნული დებულების შეცვლა ძირითადი კანონის ახალ რედაქციაში.

მართლმსაჯულების და საკონსტიტუციო სასამართლო კონტროლის (საკონსტიტუციო მართლმსაჯულების) განხორციელება სასამართლო ხელისუფლების ორი ინსტიტუციის - საერთო სასამართლოებისა და საკონსტიტუციო სასამართლოს ძირითადი, მთავარი ფუნქციებია, მათი საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია, რომელშიც ვლინდება მათი შინაგანი სპეციფიკური ბუნება და რაც გამოარჩევს მათ სახელმწიფო ხელისუფლების სხვა ორგანოებისაგან. სახელმწიფო ხელისუფლების არც ერთ სხვა ორგანოს არ შეუძლია განახორციელოს მართლმსაჯულება ან საკონსტიტუციო სასამართლო კონტროლი. მართალია, ეს ინსტიტუციები ახორციელებენ აგრეთვე სხვა, არაძირითად ფუნქციებსაც, მაგრამ მათ დამოუკიდებელი მნიშვნელობა არ გააჩნიათ და ემსახურებიან ძირითადი ფუნქციის ეფექტიან განხორციელებას. ამასთან დაკავშირებით იურიდიულ ლიტერატურაში მართებულად აღნიშნავენ: „სწორედ მართლმსაჯულება, როგორც სასამართლოს მთავარი, ძირითადი ფუნქცია, განაპირობებს სასამართლო ხელისუფლების სპეციფიკას და მის ადგილს სახელმწიფო მექანიზმის სისტემაში“.¹² ამას შეიძლება ისიც დავუმატოთ, რომ ეს ძირითადი ფუნქცია განაპირობებს აგრეთვე ამ ორი ინსტიტუციის კუთვნილებას სასამართლო ხელისუფლებისადმი.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ საკონსტიტუციო სასამართლო არის როგორც პოლიტიკის განმახორციელებელი მართლმსაჯულების ორგანო, ისე მართლმსაჯულების განმახორციელებელი პოლიტიკური ორგანო. იგი თავის თავში მოიცავს ორივე მათგანისათვის დამახასიათებელ მნიშვნელოვან ელემენტებს და ახორციელებს ე. წ. „შერეულ“ - პოლიტიკურ მართლმსაჯულებას.¹³ თავისი ამ სპეციფიკური პოლიტიკურ-სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლოს განიხილავენ როგორც დამოუკიდებელ, სასამართლო სისტემისაგან განცალკევებულ სახელმწიფო ხელისუფლების ერთ-ერთ უმაღლეს ორგანოს. მათი აზრით, სწორედ ამიტომაც, რომ ზოგიერთი

¹² ო. მელქაძე, ბ. დვალი, supra 9. გვ. 16.

¹³ იხ. დ. გეგენავა. „საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლებრივი ბუნება და მისი ადგილი ხელისუფლების დანაწილების კონცეფციაში“. წიგნში გ. კვერენჩილაძე, დ. გეგენავა (რედაქტორები). „თანამედროვე საკონსტიტუციო სამართალი“, წ. I, თბილისი, 2012. გვ. 99.

ქვეყნის კონსტიტუციაში, სავსებით დასაბუთებულად, საკონსტიტუციო სასამართლოს ეძღვნება ცალკე თავი (ავსტრია, ესპანეთი, ბულგარეთი) და არ არის აუცილებელი, ის მოქცეული იყოს კონსტიტუციის სასამართლო ხელისუფლების თავში.¹⁴

ჩვენი აზრით, საკონსტიტუციო სასამართლო არ შეიძლება იყოს პოლიტიკური ორგანო, რადგანაც ასეთი ორგანოები საკითხებს წყვეტენ საკუთარი ინიციატივით და მიზანშეწონილობით. საკონსტიტუციო სასამართლო კი, თუ მას მიმართავენ (და არა საკუთარი ინიციატივით) წყვეტს მხოლოდ სამართლებრივ საკითხებს - რამდენად შეესაბამება სამართლის ესა თუ ის ნორმა ან ქმედება კონსტიტუციას.¹⁵ ამ საკითხებს, ამასთანავე, შეიძლება დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდეს, ისევე, როგორც ზოგჯერ საერთო სასამართლოებში განსახილველ სისხლის, სამოქალაქო თუ ადმინისტრაციული სამართლის საქმეებს, მაგრამ ორივე შემთხვევაში სასამართლო წყვეტს მხოლოდ სამართლის და არა პოლიტიკურ საკითხს. იმის გამო, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებებს შეიძლება ჰქონდეთ პოლიტიკური მნიშვნელობა და, შესაბამისად, გავლენას ახდენდეს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე, იქმნება ილუზია, რომ სასამართლო ამასთანავე პოლიტიკური ორგანოა, რაც, რა თქმა უნდა, არ არის სწორი.

საკონსტიტუციო სასამართლო არის სახელმწიფო ხელისუფლების ერთ-ერთი უმაღლესი კონსტიტუციური ორგანო, რომელიც ახორციელებს სასამართლო ხელისუფლებას საკონსტიტუციო მართლმსაჯულების და კანონით გათვალისწინებული სხვა ფორმების მეშვეობით. ამიტომ მისი ადგილი სასამართლო ხელისუფლებაშია და, შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუციაში ეს საკითხი სწორად არის გადაწყვეტილი.

საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობა და ფორმირების წესი

საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობისა და ფორმირების წესის ძირითადი ასპექტები როგორც საკონსტიტუციო რეფორმამდე, ისე რეფორმის შემდეგაც საქართველოს კონსტიტუციის რეგულირების საგანს წარმოადგენს, რომელიც მოიცავს საკონსტიტუციო სასამართლოს პერსონალური შემადგენლობის რაოდენობის, მოსამართლის განწესების მეთოდისა და პროცედურის, მოსამართლეობის კანდიდატისადმი წაყენებული მოთხოვნებისა და სასამართლოს ფორმირებაში მონაწილე სუბიექტების შესახებ საკითხებს.

თავიდანვე აღვნიშნავთ, რომ 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმამდე, საქართველოს ძირითად კანონში საკონსტიტუციო სასამართლოს პერსონალური შემადგენლობის აღსანიშნავად თანაბარი მნიშვნელობით გამოიყენებოდა ორი ტერმინი: „საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე“ და „საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი“ (88-ე მუხლის მე-2 პუნქტი). საქართველოს კონსტიტუციის ახალ რედაქციაში ამ მიზნისათვის გამოიყენება მხოლოდ ერთი ტერმინი - „საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე“, რაც, ჩვენი აზრით, უფრო ზუსტად გამოხატავს ამ თანამდებობის პირთა სამართლებრივ მდგომარეობას.

საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა რაოდენობა სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია. მოსამართლეთა რაოდენობა უპირატესად განპირობებულია საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებებისა და სასამართლოს მიერ განსახილველი საქმეების რაოდენობით, აგრეთვე სხვა ფაქტორებით.¹⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ცხრა მოსამართლისაგან შედგება. საქართველოს კონსტიტუციის მიღების შემდეგ, მისი რაოდენობა არ შეცვლილა. თუმცა, იყო წინადადება მოსამართლეთა რაოდენობის გაზრდის შესახებ, ოღონდ, იმ შემთხვევაში, თუ საკონსტიტუციო სასამართლოს დაემატებოდა რეალური

¹⁴ იხ. Н.В. Витрук. „Конституционное правосудие. Судебно-конституционное право и процесс“. „Юрист“, М., 2005. с. 161.

¹⁵ იხ. გ. ხუბუა, ი. ტრაუტი, „კონსტიტუციური მართლმსაჯულება გერმანიაში“. თბილისი, 2001. გვ. 18.

¹⁶ მოსამართლეობის ყველაზე მცირე რაოდენობა ანდორის საკონსტიტუციო სასამართლოშია (ოთხი მოსამართლე), ხოლო ყველაზე მეტი - რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლოში (19 მოსამართლე).

კონტროლის განხორციელების უფლებამოსილება, რაც, რასაკვირველია, უსათუოდ გამოიწვევდა განსახილველი საქმეების რაოდენობის მკვეთრ ზრდას.¹⁷ მაგრამ რადგანაც ეს წინადადება არ იქნა გაზიარებული, საკონსტიტუციო სასამართლოს პერსონალური შემადგენლობის კონსტიტუციით განსაზღვრული რაოდენობა დღემდე უცვლელი დარჩა. სამაგიეროდ, საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად გარკვეული ცვლილებები განიცადა იმ მოთხოვნებმა, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი. საქართველოს კონსტიტუციის თავდაპირველ რედაქციაში საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლედ განწესებისათვის აუცილებელი იყო სამი პირობის არსებობა. მოსამართლეობის კანდიდატი უნდა ყოფილიყო საქართველოს მოქალაქე, 35 წლის ასაკს მიღწეული და უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე (88-ე მუხლის მე-4 პუნქტი). საქართველოს კონსტიტუციაში 2005 წელს განხორციელებული ცვლილებით,¹⁸ ასაკობრივი ცენზი 35 წლიდან 30 წლამდე შემცირდა, რაც, ჩვენი აზრით, გაუმართლებელი იყო. საქმე ისაა, რომ საზღვარგარეთის ქვეყნებთან შედარებით, საქართველოს კანონმდებლობა ისედაც მინიმალურ მოთხოვნებს ადგენდა საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატისათვის და მათი კიდევ უფრო შემცირება უარყოფითად აისახებოდა მოსამართლეთა შემადგენლობის კვალიფიკაციის დონეზე, მით უმეტეს იმ პირობებში, როდესაც მოსამართლეობის კანდიდატისათვის სპეციალობით მუშაობის რაიმე გამოცდილების ცენზს ძირითადი კანონი არ ითვალისწინებდა.¹⁹ საკონსტიტუციო სასამართლოს პერსონალური შემადგენლობის პროფესიონალიზმისა და გამოცდილების მაღალ დონეს საზღვარგარეთის ქვეყნებში ძირითადად აღწევნ სწორედ მოსამართლეობის პრეტენდენტებისათვის მაღალი ასაკობრივი და სპეციალობით ხანგრძლივი მუშაობის ცენზის დაწესებით. მაგალითად, გერმანიასა და სლოვაკეთში საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლედ დანიშვნისათვის საჭირო მინიმალური ასაკი 40 წელია, უნგრეთში - 45, პროფესიული საქმიანობის მინიმალური სტაჟი ავსტრიაში - 10 წელია, ესპანეთში - 15 და ა. შ. იმ ქვეყნებშიც კი, სადაც არ არის დაწესებული საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლედ განწესებისათვის აუცილებელი მინიმალური ასაკი (ლიტვა, ლატვია და სხვ.), მოსამართლეობის კანდიდატს პროფესიული გამოცდილების ისეთი სტაჟი მოეთხოვება, რომ მოსამართლე შეიძლება გახდეს პირი არანაკლებ 35 წლის ასაკიდან.²⁰

იურიდიულ ლიტერატურაში საკვებით მართებულად არის გაკრიტიკებული საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა განწესებისას დადგენილი კრიტერიუმების ზემოაღნიშნული სისტემა, რომელიც არ შეესაბამება საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის მაღალ სტატუსს.²¹ საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატისადმი წაყენებული მოთხოვნები მნიშვნელოვნად გაიზარდა და შემდეგი სახით ჩამოყალიბდა: მოსამართლეობის კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე, არანაკლებ 35 წლის ასაკის, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, სპეციალობით მუშაობის სულ მცირე 10 წლის გამოცდილება და გამორჩეული პროფესიული კვალიფიკაცია (მე-60 მუხლის მე-2 პუნქტი). როგორც ვხედავთ, მინიმალური ასაკობრივი ცენზი კვლავ თავის პირვანდელ მდგომარეობას დაუბრუნდა და, ამასთანავე, რაც, რა თქმა უნდა, მისასალმებელია, დამატებულია ახალი მოთხოვნები, კერძოდ, სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 10 წლიანი გამოცდილება და გამორჩეული პროფესიული კვალიფიკაცია.

¹⁷ იხ. ჯ. ხეცურიანი. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება“. „ფავორიტი სტილი“, თბილისი, 2016. გვ. 148-154.

¹⁸ იხ. მუხლი 2, საქართველოს 2005 წლის 27 დეკემბრის კონსტიტუციური კანონი №2496 - სსმ I, №1, 04.01.2006 წ.

¹⁹ საინტერესოა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატისაგან განსხვავებით, ძირითადი კანონი ასეთ მოთხოვნას აწესებდა საერთო სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატისათვის. სახელდობრ, საერთო სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატს სხვა ცენზებთან ერთად უნდა ჰქონოდა სპეციალობით მუშაობის სულ ცოტა 5 წლის გამოცდილება (86-ე მუხლის პირველი პუნქტი).

²⁰ იხ. В.В. Маклаков (Ред), „Конституционный контроль в зарубежных странах“, „Норма“, М., 2007. с. 42-43; Н.В. Витрук. „Конституционное правосудие. Судебно-конституционное право и процесс“. „Юрист“, М., 2005. с. 180-181.

²¹ იხ. გ. კახიანი. „საკონსტიტუციო კონტროლი საქართველოში. თეორია და კანონმდებლობის ანალიზი“. „მერიდიანი“, თბილისი, 2011. გვ. 149-150.

ეს ცენზები ერთობლიობაში, ვფიქრობთ, უზრუნველყოფს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დაკომპლექტებას გამოცდილი და მაღალკვალიფიციური იურისტებით.

არანაკლები მნიშვნელობა აქვს მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევისა და საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობაში მათი განწესების წესს, რომელიც საზღვარგარეთის ქვეყნებში ერთმნიშვნელოვნად არ არის გადაწყვეტილი. თუმცა, ყველგან ნათლად იკვეთება კანონმდებლის მისწრაფება, დაადგინოს საკონსტიტუციო სასამართლოს დაკომპლექტების ისეთი წესი, რომელიც უზრუნველყოფს საკონსტიტუციო კონტროლის ამ უმნიშვნელოვანესი ინსტიტუციის დამოუკიდებლობას ხელისუფლების ორგანოებისა და პარტიული გავლენისაგან. ეს ტენდენცია კარგად ჩანს საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირების იმ წესში, რომელიც გულისხმობს ხელისუფლების სამივე შტოს თანაბრად მონაწილეობას ამ პროცესში (ბულგარეთი, ესპანეთი, იტალია, უკრაინა და სხვ.).²² საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირების სწორედ ასეთი წესი იქნა დადგენილი საქართველოს კონსტიტუციის თავდაპირველ რედაქციაში. საქართველოს ძირითადი კანონის თანახმად (88-ე მუხლის მე-2 პუნქტი), საკონსტიტუციო სასამართლოს სამ წევრს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი (პრეზიდენტი მაშინ სახელმწიფოსა და აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური იყო), სამ წევრს ირჩევს პარლამენტი (საკანონმდებლო ხელისუფლება) და სამ წევრს ნიშნავს უზენაესი სასამართლო (სასამართლო ხელისუფლება).

იურიდიულ ლიტერატურაში ყურადღება მიაქცევს იმ გარემოებას, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს დაკომპლექტების ეს წესი, მასში მონაწილე სუბიექტების თვალსაზრისით, მართალია, შემდეგ პერიოდშიც არ შეცვლილა, მაგრამ 2004 წელს საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად, შეიცვალა ერთ-ერთი ამ სუბიექტის, კერძოდ, საქართველოს პრეზიდენტის სტატუსი. ის აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურად აღარ განიხილებოდა, რაც, მათი აზრით, გამოიწვევდა აღმასრულებელი ხელისუფლების მონაწილეობას საკონსტიტუციო სასამართლოს დაკომპლექტებაში. ამიტომ, გამოითქვა წინადადება, რომ სახელმწიფო ხელისუფლების შტოთა პარიტეტულობის პრინციპის სრული რეალიზაციის მიზნით, მიზანშეწონილი იქნებოდა, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად დასანიშნი კანდიდატურა პრეზიდენტისათვის წარედგინა მთავრობას.²³ საკითხის ასე დასმა მართებულად მიგვაჩნია, თუმცა ამის აუცილებლობა გაჩნდა არა 2004 წლის, არამედ 2010 წლის საკონსტიტუციო რეფორმის შემდეგ, როდესაც საქართველოს მთავრობამ აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს სტატუსი მიიღო, ხოლო საქართველოს პრეზიდენტს ჩამოსცილდა აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელების ძირითადი ფუნქციები. მანამდე კი, 2004 წლის საკონსტიტუციო რეფორმის შემდეგ 2013 წლამდე, საქართველოს პრეზიდენტი, მართალია, აღარ იყო აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური, მაგრამ არც საქართველოს მთავრობა განიხილებოდა აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ. საქართველოს პრეზიდენტი მთავრობასთან ერთად ინაწილებდა აღმასრულებელ ხელისუფლებას, კერძოდ, საქართველოს მთავრობა პასუხისმგებელი იყო პარლამენტისა და პრეზიდენტის წინაშე, საქართველოს პრეზიდენტს უფლება ჰქონდა საკუთარი ინიციატივით გადაეყენებინა მთავრობა, თანამდებობიდან გაეთავისუფლებინა ზოგიერთი მინისტრი, შეეჩერებინა ან გაეუქმებინა მთავრობისა და აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათა აქტები და სხვ. ამის გათვალისწინებით, საქართველოს პრეზიდენტის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის დანიშვნის უფლება ამ პერიოდში შეიძლება კვლავ განხილულიყო, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების მონაწილეობა საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირებაში.

მიუხედავად იმისა, რომ 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმამ საქართველოს პრეზიდენტი თითქმის სრულად ჩამოაცილა აღმასრულებელ ხელისუფლებას და მას მხოლოდ სახელმწიფოს

²² იხ. მუხლი 147, ბულგარეთის კონსტიტუცია. 1991 წლის 12 ივლისი. Държавен Вестник, No.56, 13.07.1991; მუხლი 159, ესპანეთის კონსტიტუცია, 1978 წლის 31 ოქტომბერი, Boletín Oficial del Estado 29.12.1978; მუხლი 135, იტალიის კონსტიტუცია, 1947 წლის 22 დეკემბერი, Gazzetta Ufficiale No. 298, 27.12.1947; მუხლი 148, უკრაინის კონსტიტუცია, 1996 წლის 28 ივნისი, Відомості Верховної Ради України (ВВР), 1996, № 30.

²³ იხ. გ. კახიანი. supra 21. გვ. 135-136.

მეთაურის სტატუსი აკმარა, როგორც ეს საპარლამენტო რესპუბლიკისთვის აადამახასიათებელი, მას მაინც დაუტოვა საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობის ერთი მესამედის ერთპიროვნულად დაკომპლექტების უფლებამოსილება. თუ კანონმდებელი ერთგული რჩება იმ პრინციპისა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირებაში სახელმწიფო ხელისუფლების სამივე შტო თანაბრად უნდა მონაწილეობდეს, მაშინ შეცვლილ კონსტიტუციურ-სამართლებრივ რეალობაში გაუგებარია, აღმასრულებელი ხელისუფლება როგორ მონაწილეობს ამ პროცესში. საკონსტიტუციო რეფორმის შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტი საერთოდ აღარ წარმოადგენს ხელისუფლების ცნობილი ტრიადიდან არც ერთ შტოს. გამომდინარე აქედან, ეს საკითხი სამომავლოდ უნდა გადაწყდეს ისე, როგორც ეს ზემოთ იყო შემოთავაზებული ან პრეზიდენტის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის დანიშვნისას პრემიერ-მინისტრის თანახელმონერის (კონტრასიგნაციის) შემოღებით.²⁴

საქართველოს კონსტიტუციის ახალ რედაქციაში შეცვლილია პარლამენტის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს არჩევის პროცედურა. ამჟამად მოქმედი ძირითადი კანონის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს 3 წევრს ირჩევს პარლამენტი სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტით, ხოლო კონსტიტუციის ახალი რედაქციით - სრული შემადგენლობის სამი მეხუთედის უმრავლესობით (მე-60 მუხლის მე-2 პუნქტი). საგულისხმოა, რომ საქართველოს კონსტიტუციის თავდაპირველი რედაქციით პარლამენტის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის არჩევისათვის საჭირო იყო პარლამენტის სიითი შემადგენლობის არანაკლებ სამი მეხუთედის მხარდაჭერა (88-ე მუხლის მე-2 პუნქტი). ახალი რედაქციით პარლამენტის „სიითი შემადგენლობა“ შეიცვალა „სრული შემადგენლობით“, ხოლო „ნახევარზე მეტი“- „სამი მეხუთედით“. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის განწესებისას საჭირო კვორუმის მნიშვნელოვნად გაზრდა, ჩვენი აზრით, ხელს შეუწყობს საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირების პროცესში საპარლამენტო უმცირესობის მოსაზრებების გათვალისწინებასა და საპარლამენტო უმრავლესობის გავლენისაგან საკონსტიტუციო სასამართლოს პერსონალური შემადგენლობის დაცვას.

რაც შეეხება საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილების ვადის საკითხს, ჩვენი აზრით, მოსამართლეთა დამოუკიდებლობის უზრუნველყოფისათვის მოსამართლე მიზანშეწონილია განწესდეს ან უვადოდ ან განსაზღვრული ვადით, ოღონდ, ხელმეორედ დანიშვნის (არჩევის) უფლების გარეშე. საქართველოს კონსტიტუციამ თავიდანვე დაადგინა საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილების 10 წლიანი ვადა და ახალი ვადით მოსამართლის განწესების დაუშვებლობის პრინციპი. არც ერთ საკონსტიტუციო რეფორმას ძირითადი კანონის ეს დებულებები არ შეუცვლია და ისინი კონსტიტუციის ახალი რედაქციითაც ძალაშია, რაც მიაწინებს კანონმდებლის სწორ დამოკიდებულებაზე ამ საკითხის მიმართ.

ამავე კონტექსტში შეიძლება იქნეს განხილული საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის არჩევის წესიც. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ასრულებს წარმომადგენლობით, ორგანიზაციულ და ზოგიერთ საპროცედურო უფლებამოსილებებს, რაც გამოარჩევს მას სხვა მოსამართლეებისაგან. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის დანიშვნის (არჩევის) ორი მეთოდია ცნობილი: თავმჯდომარეს ირჩევს თავად სასამართლოს შემადგენლობა (მაგალითად, ბელგია, იტალია, ლატვია და სხვ.) ან თავმჯდომარეს ნიშნავს (ირჩევს) სხვა სახელმწიფო ორგანო (მაგალითად, გერმანია, ავსტრია, ესპანეთი და სხვ.).²⁵

²⁴ მაგალითად, იტალიის პრეზიდენტი ნიშნავს საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ მესამედს (ხუთ მოსამართლეს) მთავრობის მიერ პრეზიდენტისათვის კანდიდატურების წარდგენის გარეშე, თუმცა, პრეზიდენტის დეკრეტი მოსამართლის დანიშვნის შესახებ საჭიროებს მთავრობის თავმჯდომარის კონტრასიგნაციას (იხ. В.В. Маклаков (Ред), „Конституционный контроль в зарубежных странах“. „Норма“, М., 2007. с. 315-316).

²⁵ იხ. მუხლი 32, ბელგიის ორგანული კანონი „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ 1989 წლის 6 იანვრის სპეციალური აქტი“, ოფიციალური ინგლისური თარგმანი ხელმისაწვდომია აქ: http://www.const-court.be/en/basic_text/Organic_legislation_SACC.pdf [უკანასკნელად გადამოწმდა 2018 წლის 1 ივნისს];

მუხლი 135, იტალიის კონსტიტუცია, 1947 წლის 22 დეკემბერი, Gazzetta Ufficiale No. 298, 27.12.1947;

მუხლი 12, ლატვიის „კანონი საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, 1996 წლის 14 ივნისი, ოფიციალური

იურიდიულ ლიტერატურაში უფრო მიზანშეწონილად მიაჩნიათ სასამართლოს თავმჯდომარის თავად მოსამართლეთა მიერ არჩევის წესი, რადგანაც იგი მნიშვნელოვნად ამცირებს არჩევნების პოლიტიზირების შესაძლებლობას და გარკვეულ გარანტიას ქმნის მოსამართლეთა თანასწორობისა და სასამართლოს დამოუკიდებლობისათვის.²⁶

საქართველოს კონსტიტუციის თავდაპირველი რედაქციის მიხედვით, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს თავისი შემადგენლობიდან ხუთი წლის ვადით ირჩევდა საკონსტიტუციო სასამართლო. ამასთანავე, თავმჯდომარედ ერთი და იგივე პირის ხელმეორედ არჩევა დაუშვებელი იყო (88-ე მუხლის მე-2 პუნქტი). საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის არჩევის ამ წესმა ყველა საკონსტიტუციო რეფორმას გაუძლო და უცვლელი დარჩა, თუმცა, შეიცვალა თავმჯდომარის ხელმეორედ არჩევის დაუშვებლობის კონსტიტუციური დებულება. სახელდობრ, 2010 წლიდან შესაძლებელი გახდა ერთი და იმავე პირის სასამართლოს თავმჯდომარედ ხელმეორედ არჩევა, რაც 2011 წელს პრაქტიკულად განხორციელდა კიდევ.²⁷ 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმამ აღადგინა ადრე არსებული მდგომარეობა და საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის მიხედვით, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარედ ერთი და იმავე პირის ხელმეორედ არჩევა კვლავ დაუშვებელია (მე-60 მუხლის მე-3 პუნქტი).

ამ საკითხთან დაკავშირებით ინტერესმოკლებული არ იქნება ერთი ფაქტის აღნიშვნაც, თუმცა ის ეხება არა ძირითადი კანონის, არამედ საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანული კანონის რეგულირების საგანს. სახელდობრ, საკითხი შეეხება საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურის წარდგენის წესს. 2016 წლამდე თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელება ხდებოდა საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის შეთანხმებული წინადადებით (ორგანული კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტი). „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში შეტანილი ცვლილების შემდეგ კი, თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელების უფლება მიეცა მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს 3 მოსამართლეს.²⁸ ამრიგად, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურას თავად მოსამართლეები დაასახელებენ და თავადვე ირჩევენ მას. ეს წესი, ვფიქრობთ, კიდევ უფრო გააძლიერებს საკონსტიტუციო კონტროლის ამ ორგანოს ავტონომიურობას.

საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება და საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის სუბიექტები

მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების საკანონმდებლო საფუძვლების კონსტიტუციურმა ნორმებმა. თუ ამჟამად მოქმედი ძირითადი კანონით საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებები განისაზღვრება კონსტიტუციით და ორგანული კანონით, კონსტიტუციური ცვლილებების შემდეგ, საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებების ერთადერთი წყარო მხოლოდ კონსტიტუციაა. კონსტიტუციის

ინგლისური თარგმანი ხელმისაწვდომია აქ: <http://www.satv.tiesa.gov.lv/en/2016/02/04/constitutional-court-law/> [უკანასკნელად გადამოწმდა 2018 წლის 1 ივნისს];

მუხლი 9, გერმანიის კანონი „ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, 1951 წლის 12 მარტი, ოფიციალური ინგლისური თარგმანი ხელმისაწვდომია აქ: http://www.bundesverfassungsgericht.de/SharedDocs/Downloads/EN/Gesetze/BVerfGG.pdf?__blob=publicationFile&v=10 [უკანასკნელად გადამოწმდა 2018 წლის 1 ივნისს];

მუხლი 147, ავსტრიის კონსტიტუცია, 1920 წლის 1 ოქტომბერი, Federal Law Gazette No. 1/1930 (StF: BGBl. Nr. 1/1930 (WV));

მუხლი 160, ესპანეთის კონსტიტუცია, 1978 წლის 31 ოქტომბერი, Boletín Oficial del Estado 29.12.1978.

²⁶ იხ. Н.В. Витрук. “Конституционное правосудие. Судебно-конституционное право и процесс”. “Юрист”, М., 2005. с. 195.

²⁷ იხ. საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი, № 3710-სსმ I, № 62, 05.11.2010 წ., მუხ. 379.

²⁸ საქართველოს 2016 წლის 3 ივნისის ორგანული კანონი - ვებგვერდი 04.06.2016 წ.

ახალი რედაქციის იმ მუხლში, რომელშიც ჩამოთვლილია საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებები, ამასთანავე აღნიშნულია, რომ საკონსტიტუციო სასამართლო „ახორციელებს კონსტიტუციით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს“ (მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი). მაშასადამე, საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებები ამომწურავად დადგენილია მხოლოდ კონსტიტუციით და სხვა საკანონმდებლო აქტით, მაგალითად, ორგანული კანონით, ამ უფლებამოსილებების რაოდენობის გაზრდა დაუშვებელია.

ძირითადი კანონის ახალი რედაქციის ზემოაღნიშნულ მუხლში ჩამოთვლილია საკონსტიტუციო სასამართლოს ცხრა უფლებამოსილება: ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვა, ნორმათა აბსტრაქტული კონტროლი, ნორმათა კონკრეტული კონტროლი, უფლებამოსილების შესახებ დავების გადაწყვეტა, საერთაშორისო ხელშეკრულებების კონსტიტუციურობის კონტროლი, პოლიტიკური პარტიების კონსტიტუციურობის კონტროლი, დეპუტატის მანდატის კონსტიტუციურობის კონტროლი, რეფერენდუმისა და არჩევნების კონსტიტუციურობის კონტროლი, ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებების დაცვა. ამ ჩამონათვალში არ არის მოხსენიებული საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, რომელიც დაკავშირებულია იმპიჩმენტის პროცედურის განხორციელებასთან. იგი მოცემული კონსტიტუციის ახალი რედაქციის 48-ე მუხლში, რომელსაც უკვე „იმპიჩმენტი“ ეწოდება. ამრიგად კონსტიტუციის ახალ რედაქციაში საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებები ათი სახეობით არის წარმოდგენილი. ამჟამად მოქმედი კონსტიტუციითა და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონით, საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებების რაოდენობა თოთხმეტია, ე.ი. ოთხით მეტი, ვიდრე ეს კონსტიტუციის ახალი რედაქციითაა გათვალისწინებული. საკონსტიტუციო რეფორმის ავტორებმა უარი თქვეს საკონსტიტუციო სასამართლოს ისეთ უფლებამოსილებაზე, როგორიცაა ნორმათა ფორმალური კონტროლი, ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის დარღვევის თაობაზე დავების გადაწყვეტა, ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების კონტროლი და სასამართლო ხელისუფლების კონსტიტუციური საფუძვლების დაცვა. როგორც ვხედავთ, საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენცია, რომელიც განისაზღვრება მისი უფლებამოსილებების ერთობლიობით, მნიშვნელოვნად არის შემცირებული. ეს რაც შეეხება უფლებამოსილებების რაოდენობრივ მხარეს. ახლა კი, არსებითად განვიხილავთ იმ უფლებამოსილებებს, რომლებიც საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად აღარ აქვს ან გარკვეული ცვლილებებით დარჩა საკონსტიტუციო სასამართლოს.

ერთ-ერთი უფლებამოსილება, რომელიც გამოაკლდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, ნორმათა ფორმალური კონტროლია. ამ უფლებამოსილების ფარგლებში საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავდა და წყვეტდა საქართველოს კონსტიტუციასთან საქართველოს საკანონმდებლო აქტებისა და საქართველოს პარლამენტის დადგენილებების მიღების/გამოცემის, ხელმოწერის, გამოქვეყნებისა და ამოქმედების შესაბამისობის საკითხებს. მაშასადამე, აქ საკონსტიტუციო კონტროლის საგანი იყო ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტების არა შინაარსი, მატერიალური მხარე, არამედ მათი ფორმალური მხარე კონსტიტუციურობის თვალსაზრისით. ფორმალური საკონსტიტუციო კონტროლი ვრცელდებოდა მხოლოდ პარლამენტის ნორმატიულ აქტებზე და მიზნად ისახავდა საკანონმდებლო ხელისუფლების სამართალშემოქმედების პროცესში კონსტიტუციით დადგენილი წესების დაცვის უზრუნველყოფას. ნორმათა ფორმალურ საკონსტიტუციო კონტროლს იმდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, რომ, მართალია, კანონმდებლობით ის საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების დამოუკიდებელ სახეობას წარმოადგენდა, მაგრამ, ამასთანავე, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონით (26-ე მუხლის მე-2 პუნქტი) გათვალისწინებული იყო აგრეთვე საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ თვითინიციატივით (რაც საგამონაკლისო შემთხვევაა ქართული საკონსტიტუციო მართლმსაჯულებისათვის) მისი განხორციელების სავალდებულობა ნორმათა კონტროლის თაობაზე სხვა უფლებამოსილებების განხორციელებისას. კანონმდებელი, როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში ითვალისწინებდა ნორმატიული აქტების ნამდვილობის ზოგად

წესს, რომლის თანახმად, ნორმატიულ აქტს იურიდიული ძალა არა აქვს არა მხოლოდ მაშინ, როცა მისი შინაარსი არ შეესაბამება კონსტიტუციას, არამედ მაშინაც, თუ დარღვეულია ნორმატიული აქტის მიღებისა და ამოქმედებისათვის კონსტიტუციით დადგენილი პროცედურა. გამომდინარე აქედან, საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის ამოქმედების შემდეგ, შეიძლება შეიქმნას სიტუაცია, როდესაც პარლამენტის რომელიმე საკანონმდებლო აქტი ან ნორმატიული დადგენილება თავისი შინაარსით კონსტიტუციას არ ეწინააღმდეგებოდეს, მაგრამ, ამასთანავე, უხეშად იყოს დარღვეული მისი მიღებისა და ამოქმედების კონსტიტუციით დადგენილი წესები. სამწუხაროდ, საკონსტიტუციო სასამართლო კონტროლის მექანიზმი ასეთი შემთხვევებისათვის აღარ იარსებებს და პარლამენტის შეკავება, რათა მან არ დაარღვიოს კონსტიტუცია, შეუძლებელი გახდება. ამიტომ მიზანშეწონილი არ იყო ამ უფლებამოსილების ჩამორთმევა საკონსტიტუციო სასამართლოსათვის.

საკონსტიტუციო სასამართლოს შემდეგი ორი უფლებამოსილება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას ეხებოდა და მიზნად ისახავდა სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალურ და რეგიონულ ორგანოებს შორის კონსტიტუციური დავების გადაწყვეტას. ამის შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილი იყო განეხილა და გადაეწყვიტა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის დარღვევის თაობაზე დავები, აგრეთვე საქართველოს ნორმატიულ აქტებთან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ნორმატიული აქტების შესაბამისობის საკითხები. ამ უფლებამოსილებების გაუქმების შემდეგ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ნორმატიულ აქტებზე საკონსტიტუციო კონტროლის ტვირთი საკონსტიტუციო სასამართლოს სხვა უფლებამოსილებებზე (მაგალითად, აბსტრაქტულ კონტროლზე, ადამიანის უფლებების დაცვაზე და სხვ.) გადავა, მაგრამ ნორმათა კონტროლი არ იქნება ისეთი ქმედითი, როგორც ეს სპეციალური უფლებამოსილების ფარგლებში იყო შესაძლებელი. საქმე ისაა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს აწ უკვე გაუქმებული უფლებამოსილების დროს, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ პარლამენტის წარდგინების არსებითად განსახილველად მიღება უპირობოდ იწვევდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი აქტის მოქმედების შეჩერებას საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. ამასთანავე, შესაძლებელი იყო სადავო ნორმატიული აქტის შემოწმება როგორც კონსტიტუციურობის, ისე კანონიერების თვალსაზრისით.²⁹ საკონსტიტუციო კონტროლის ეს შესაძლებლობები საკონსტიტუციო რეფორმის შემდეგ უკვე აღარ იქნება.

რაც შეეხება ავტონომიურ რესპუბლიკასთან დაკავშირებულ საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე უფლებამოსილებას, რადგანაც „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის დარღვევა შესაძლებელი იყო როგორც საქართველოს ცენტრალური, ისე ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოების მიერ, ამ საკითხებზე საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება ჰქონდათ ხელისუფლების ორივე დონის ორგანოებს: საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს მთავრობას, საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს.³⁰ ამჟამად, საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციით (მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს წარმომადგენლობით ან აღმასრულებელ ორგანოს უფლება აქვს მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიიჩნევს, რომ დარღვეულია საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი მისი კომპეტენცია, რაც, რასაკვირველია, საკითხთა უფრო ვიწრო წრეს მოიცავს, ვიდრე საქართველოს კონსტიტუციური კანონის რეგულირების სფერო.

²⁹ იხ. ჯ. ხეცურიანი, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება“. „ფავორიტი სტილი“, თბილისი, 2016. გვ. 253-263.

³⁰ მუხლი 41¹ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ (პარლამენტის უწყებანი, # 45, 21.11.1997 წ., გვ. 54).

საკონსტიტუციო სასამართლოს შემდეგი გაუქმებული უფლებამოსილება, რომელიც მიზნად ისახავდა სასამართლო ხელისუფლების კონსტიტუციური საფუძვლების დაცვას, ჩვენი აზრით, შესაძლებელია ჩაანაცვლოს კომპეტენციური დავების გადაწყვეტის უფლებამოსილებამ, რადგანაც საერთო სასამართლოების დამოუკიდებლობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფის ფუნქცია, ძირითადი კანონის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კომპეტენციას განეკუთვნება (64-ე მუხლის პირველი პუნქტი). ამიტომ ნორმატიული აქტი, რომელიც ეწინააღმდეგება საერთო სასამართლოების შესახებ კონსტიტუციურ ნორმებს, იუსტიციის საბჭოს კომპეტენციაში შემავალ საკითხებს ეხება და, შესაბამისად, ამ ორგანოს, იმედი, უფლება ექნება წარდგინებით მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს ასეთი ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის შემოწმების მოთხოვნით.

ცვლილება განიცადა საკონსტიტუციო სასამართლოს ნორმათა აბსტრაქტული კონტროლის უფლებამოსილებამ. საკონსტიტუციო რეფორმამდე იგი შეზღუდულ ხასიათს ატარებდა, კერძოდ, კონსტიტუციითა (89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი) და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონით (მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი) ზუსტად იყო განსაზღვრული ის ნორმატიული აქტები, რომლებიც ექვემდებარებოდნენ საკონსტიტუციო კონტროლს საკონსტიტუციო სასამართლოს ამ უფლებამოსილების ფარგლებში. საკონსტიტუციო რეფორმის შემდეგ, ნორმათა აბსტრაქტული კონტროლის უფლებამოსილებამ უნივერსალური სახე მიიღო და მისი განსჯადობის სფეროში მოექცა ნებისმიერი ნორმატიული აქტი. თავისთავად, საკონსტიტუციო სასამართლო კონტროლის არეალის გაფართოება პოზიტიურად შეიძლება შეფასდეს, თუ, რა თქმა უნდა, ის არ გამოიწვევს საკონსტიტუციო სასამართლოს გადატვირთვას. ჩვენი აზრით, საკონსტიტუციო სასამართლოს ეს უფლებამოსილება სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა ურთიერთშეკავებისა და გაწონასწორების მექანიზმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია და ამიტომ, უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა, მისი მოქმედება გავრცელებულიყო მხოლოდ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა მიერ მიღებულ ნორმატიულ აქტებზე.

შეცვლილია სახელმწიფო ორგანოებს შორის კომპეტენციური დავების გადაწყვეტის თაობაზე საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების საკანონმდებლო დეფინიცია. საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციით საკონსტიტუციო სასამართლოში კომპეტენციურ დავებში მონაწილეობის უფლება მიენიჭათ ახალ სუბიექტებს, სახელდობრ: ეროვნული ბანკის საბჭოს, გენერალურ აუდიტორს, გენერალურ პროკურორსა და ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს აღმასრულებელ ორგანოებს (მე-60 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი). ამასთანავე, მიმართვის სუბიექტებიდან ამოღებულია სასამართლოები. უნდა ვივარაუდოთ, რომ საერთო სასამართლოების კომპეტენციის დარღვევის შემთხვევაში, როგორც ეს უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლება ორგანული კანონით ექნება იუსტიციის უმაღლეს საბჭოს. საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანულ კანონში დასაზუსტებელი იქნება არა მარტო ეს საკითხი, არამედ ზოგიერთი სახელმწიფო ორგანოს (მაგალითად, საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს) უფლება, საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართონ როგორც საკუთარი, ისე სხვა სახელმწიფო ორგანოს კომპეტენციის დარღვევის თაობაზე.³¹ ყოველ შემთხვევაში, კონსტიტუციის ახალი რედაქციის ზემოაღნიშნული მუხლის დებულება იმის შესახებ, რომ საკონსტიტუციო სასამართლო „იხილავს დავას შესაბამისი ორგანოს უფლებამოსილების შესახებ“ არ იძლევა მკაფიო ორიენტირებს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი ცალკეული სუბიექტების მიმართვის ფარგლების დასადგენად და საჭიროებს ორგანულ კანონში შემდგომ დაზუსტებას.

³¹ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის თანახმად (34-ე მუხლის პირველი პუნქტი), საქართველოს პრეზიდენტს და პარლამენტს უფლება აქვთ სარჩელით მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოს არა მხოლოდ მაშინ, თუ მიაჩნიათ, რომ დარღვეულია უშუალოდ მათი კომპეტენცია, არამედ მაშინაც, თუ დარღვეულია სხვა სახელმწიფო ორგანოს კონსტიტუციური უფლებამოსილების ფარგლები.

საქართველოს კონსტიტუციის ახალ რედაქციაში ახლებურადაა ჩამოყალიბებული საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება პოლიტიკური პარტიების კონსტიტუციურობის კონტროლის თაობაზე. საკონსტიტუციო რეფორმამდე, საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი იყო მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების როგორც შექმნის, ისე მათი საქმიანობის კონსტიტუციურობის საკითხები. რეფორმის შემდეგ, საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენცია მხოლოდ პოლიტიკური პარტიების საქმიანობის კონსტიტუციურობის საკითხის შემოწმებით შემოიფარგლება. რაც შეეხება პოლიტიკური პარტიების შექმნის კონსტიტუციურობას, ის საკონსტიტუციო სასამართლოს იურისდიქციის მიღმაა დატოვებული. ამან კი შესაძლებელია წარმოშვას გაუგებრობები პოლიტიკური პარტიების მიმართ კონსტიტუციური კონტროლის განხორციელებაში. საქმე ისაა, რომ ძირითადი კანონი ადგენს პოლიტიკური პარტიების როგორც საქმიანობის, ისე მათი შექმნის სტადიაზე აკრძალვების მთელ რიგს. მაგალითად, ძირითადი კანონის ახალი რედაქციით „დაუშვებელია პოლიტიკური პარტიის შექმნა ტერიტორიული ნიშნით“ (23-ე მუხლის მე-3 პუნქტი). თუ წარმოვიდგენთ ისეთ შემთხვევას, როდესაც პოლიტიკური პარტია შეიქმნა ტერიტორიული ნიშნით, მაგრამ, ამასთანავე, მისი საქმიანობა არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციის სხვა მოთხოვნებს, მაშინ ასეთი პოლიტიკური პარტიის აკრძალვა შეუძლებელი იქნება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ. მისი აკრძალვა არც სხვა ორგანოს შეეძლება, რადგანაც ძირითადი კანონის თანახმად, პოლიტიკური პარტიის აკრძალვა მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს ექსკლუზიური უფლებამოსილებაა (23-ე მუხლის მე-4 პუნქტი).

კიდევ ერთი ცვლილება განიცადა საკონსტიტუციო სასამართლოს ამ უფლებამოსილებამ, ოღონდ ამჯერად მისი გაფართოების მიმართულებით. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლოს ენიჭება უფლებამოსილება, პოლიტიკური პარტიის აკრძალვასთან ერთად გადაწყვიტოს ამ პარტიის წარდგენით არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხიც. უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში ამ საკითხზე უკვე არსებობდა დასაბუთებული წინადადებები, საზღვარგარეთის ქვეყნებშიც იყო ანალოგიური საკანონმდებლო გამოცდილება და მისასაღმებელია, რომ საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად ეს საკითხი დადებითად გადაწყდა.³²

ახალი დებულება დაემატა არჩევნების კონსტიტუციურობის კონტროლის თაობაზე საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების განმსაზღვრელ კონსტიტუციურ ნორმას. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციით, დაუშვებელია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არჩევნების მომწესრიგებელი ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობა შესაბამისი საარჩევნო წლის განმავლობაში, თუ ეს ნორმა შესაბამისი არჩევნების თვემდე 15 თვის განმავლობაში არ არის მიღებული (მე-60 მუხლის მე-6 პუნქტი). რაც შეეხება არჩევნების კონსტიტუციურობის კონტროლის შესახებ თავად საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების ამჟამად მოქმედ კონსტიტუციურ დეფინიციას, იგი უცვლელად იქნა შენარჩუნებული და მიუხედავად კრიტიკული შენიშვნებისა, არჩევნების (რეფერენდუმის) კონსტიტუციურობის საკითხი და არჩევნების (რეფერენდუმის) მომწესრიგებელი ნორმების კონსტიტუციურობის საკითხი კვლავაც ერთობლივად უნდა განიხილოს საკონსტიტუციო სასამართლომ. ასეთი საკანონმდებლო რეგლამენტაციის ნაკლი, ჩვენი აზრით, იმაში მდგომარეობს, რომ თუ არჩევნების ან რეფერენდუმის მომწესრიგებელი ნორმების კონსტიტუციურობა ეჭვს არ იწვევს, მაგრამ არჩევნები ან რეფერენდუმი ჩატარდა ამ ნორმებისა და კონსტიტუციის მოთხოვნათა დარღვევით, მაშინ არჩევნების (რეფერენდუმის) კონსტიტუციურობის საკითხი საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი ვერ იქნება.³³

საქართველოს კონსტიტუციის ზემოაღნიშნულმა ახალმა ნორმამ კიდევ უფრო შეზღუდა საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება არჩევნების კონსტიტუციურობის საკითხის გადაწყვეტაში. საქმე ისაა, რომ თუ არჩევნების თვემდე 15 თვის განმავლობაში არავითარი

³² იხ. ჯ. ხეცურიანი, supra 8, გვ. 94-97.

³³ იხ. ჯ. ხეცურიანი, supra 8, გვ. 102-103.

ცვლილება არ მოხდება საარჩევნო კანონმდებლობაში, ე. ი. არ მიიღებენ არჩევნების მომწესრიგებელ ახალ ნორმას, მაშინ საკონსტიტუციო სასამართლო ამ არჩევნების წლის განმავლობაში ვერ განიხილავს ვერც ჩასატარებელი და ვერც ჩატარებული არჩევნების კონსტიტუციურობის საკითხს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უფლებამოსილება პარალიზებული აღმოჩნდება. ჩვენი აზრით, სახელმწიფო ხელისუფლების ლეგიტიმურობის უზრუნველყოფისა და შესაძლო პოლიტიკური კრიზისების სამართლებრივი საშუალებებით მოგვარების მიზნით, საჭიროა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა არჩევნების გზით ფორმირების პროცესში სასამართლო ხელისუფლების როლის კიდევ უფრო გაძლიერება და არა მისი დაკნინება. სამწუხაროდ, 2005 წლიდან მოყოლებული 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმის ჩათვლით, საქართველოს კანონმდებლობა სწორედ ამ იდეის საწინააღმდეგო მიმართულებით ვითარდება.

საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის სუბიექტების საკითხს ჩვენ ზემოთ ნაწილობრივ შევხებით საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებების შესახებ კონსტიტუციური ცვლილებების განხილვისას. აქ კი მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად მნიშვნელოვნად არის გაზრდილი ამ სუბიექტთა წრე. რეფორმამდე 11 სუბიექტს შეეძლო მიემართა საკონსტიტუციო სასამართლოსათვის, რეფორმის შემდეგ მათი რაოდენობა 16-მდე გაიზარდა. ამასთანავე, ახალ სუბიექტებს, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, შეუძლიათ მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოს მხოლოდ კომპეტენციური დავების გადასაწყვეტად. ნაწილობრივ შეიცვალა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების იურიდიული შედეგების შესახებ კონსტიტუციური დებულება. ამჟამად მოქმედი კონსტიტუციით, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ „არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი კარგავს იურიდიულ ძალას საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან“ (89-ე მუხლის მე-2 პუნქტი). კონსტიტუციის ახალ რედაქციაში ამ ნორმას დაემატა შემდეგი წინადადება: „თუ შესაბამისი გადაწყვეტილება არ ადგენს აქტის ან მისი ნაწილის ძალის დაკარგვის სხვა გვიანდელ ვადას [ხაზგასმა ავტორისაა]“ (მე-60 მუხლის მე-5 პუნქტი). უნდა აღინიშნოს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების იურიდიული შედეგების ასეთივე წესს ადგენს „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონი (25-ე მუხლის მე-2 პუნქტი), თუმცა, მისი პრაქტიკული გამოყენება არ ხდებოდა, რადგანაც იგი არ შეესაბამებოდა ძირითადი კანონის დებულებას, რომელიც არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის ძალის დაკარგვას იმპერატიულად უკავშირებდა საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტს და არ ითვალისწინებდა საკონსტიტუციო სასამართლოს დისკრეციულ უფლებას, თავად განესაზღვრა არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტის ძალის დაკარგვის სხვა ვადა. არადა, ამის საჭიროება აშკარა იყო საკონსტიტუციო სასამართლოს ზოგიერთი, მათ შორის უწინარეს ყოვლისა, მოქმედი საერთაშორისო ხელშეკრულებების კონსტიტუციურობის კონტროლის თაობაზე უფლებამოსილების განხორციელებისას.³⁴

ამჟამად, ეს საკითხი მოგვარებულია და საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად, ორგანული კანონის ზემოაღნიშნულმა ნორმამ კონსტიტუციური ნორმის სტატუსი შეიძინა. მისი გამოყენება საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში, ჩვენი აზრით, თავიდან აგვაცილებს შესაძლო კოლიზიებს საერთაშორისო და ნაციონალური სამართლის პრინციპებს შორის და სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი საშუალება გახდება.

³⁴ ამ საკითხზე იხ. ჯ. ხეცურიანი. supra 8, გვ. 186-188.

დასკვნა

2017 წელს საქართველოში განხორციელებულმა საკონსტიტუციო რეფორმამ დაამთავრა საქართველოს პოლიტიკური სისტემის საპარლამენტო მმართველობის მოდელზე გარდაქმნის პროცესი და აღმოფხვრა ის ხარვეზები, რომლებიც წინამორბედი საკონსტიტუციო რეფორმის (2010 წ.) დროს იყო დაშვებული.

საკონსტიტუციო რეფორმა, რომელიც ნაწილობრივ 2018 წელსაც გაგრძელდა, საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური საფუძვლების განმსაზღვრელ ნორმებსაც შეეხო, თუმცა, საკონსტიტუციო სასამართლოს ადგილი ხელისუფლების დანაწილების სისტემაში არ შეცვლილა. ძირითადი კანონის ახალი რედაქციით, იგი კვლავ სასამართლო ხელისუფლების დაწესებულებადაა აღიარებული და წარმოადგენს საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანოს.

საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატისადმი წაყენებული მოთხოვნები, აგრეთვე პარლამენტის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის განწესებისას საჭირო კვორუმი, აიკრძალა საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის ხელმეორედ არჩევის შესაძლებლობა, გაფართოვდა საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლებამოსილი სუბიექტების წრე, აგრეთვე ნორმათა აბსტრაქტული კონტროლისა და პოლიტიკური პარტიების კონსტიტუციურობის კონტროლის ფარგლები, საკონსტიტუციო სასამართლო აღიჭურვა უფლებით, თავად განსაზღვროს არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტის იურიდიული ძალის დაკარგვის ვადა.

ამ პოზიტიურ ცვლილებებთან ერთად, კონსტიტუციის ახალი რედაქციით, საგრძნობლად შემცირდა საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენცია. გაუქმდა საკონსტიტუციო სასამართლოს ოთხი უფლებამოსილება, მათ შორის, ნორმათა ფორმალური კონტროლი. კიდევ უფრო შეიზღუდა საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება არჩევნების კონსტიტუციურობის საკითხზე და სხვ. ამასთანავე, მომავალში საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების გაზრდა ან მისი დაზუსტება მხოლოდ კონსტიტუციური ცვლილებებით არის შესაძლებელი, რაც უაღრესად რთული პროცესია.

გამომდინარე აქედან, თუ ვიხელმძღვანელებთ იმ მოსაზრებით, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს, ისევე, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ნებისმიერი ორგანოს, როლი და მნიშვნელობა, უწინარეს ყოვლისა, განისაზღვრება მისი კომპეტენციური შესაძლებლობებით, ხოლო კონსტიტუციის ახალი რედაქციით, საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება არსებითად შეიზღუდა, 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმა ამ მხრივ წინგადადგმულ ნაბიჯად ვერ ჩაითვლება.

ეროვნული სამართლის ინტერნაციონალიზაციიდან საერთაშორისო სამართლის კონსტიტუციონალიზაციამდე

აბსტრაქტი

სახელმწიფოთა განვითარება თანამედროვე მსოფლიოში გლობალური პროცესების კვალდაკვალ დაიმაჯდროულად ნაციონალური იდენტობის გათვალისწინებით მიმდინარეობს. ხშირად, სახელმწიფოებისთვის რთულია განვითარების ამგვარ კალაპოტში, ბალანსის შენარჩუნებით სვლა. სწორედ სამართალი უნდა იყოს ის ინსტრუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს ორი – საერთაშორისო და ეროვნული – ღირებულებების ოპტიმალურ ურთიერთკორელაციას. ცივი ომის, მის შემდგომ პერიოდზე და დღეს მომდინარე პროცესებზე დაკვირვება ნათელს ხდის, რომ სახელმწიფოებს, თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში არ შეუძლიათ იზოლირებულად, სხვა სახელმწიფოებისაგან და ხალხებისაგან დამოუკიდებლად განვითარდნენ. მსოფლიოს წინაშე მდგარი პრობლემები, როგორიცაა, მაგალითად, გარემოს დაცვა, ტერორიზმთან ბრძოლა და სხვა საფრთხეები, მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევით არის დაძლევადი. სახელმწიფოთა სუპრანაციონალური კავშირი, პირველ რიგში, სწორედ ამგვარი გლობალური პრობლემების დაძლევის ემსახურება. სახელმწიფოები სუვერენიტეტის გარკვეული ნაწილის დათმობის ხარჯზე, ინტეგრირდებიან საერთაშორისო თანამეგობრობაში. სუვერენიტეტის ამ „ნაწილის“ დათმობა, შესაძლოა ზოგჯერ კონსტიტუციური, ეროვნული იდენტობის შეზღუდვასაც კი წარმოადგენდეს. სწორედ ეროვნული იდენტობის კონტროლი არის წყალგამყოფი ნაციონალურსა და ინტერნაციონალურს შორის. დღეს თანამედროვე სახელმწიფოს ყველაზე დიდი გამოწვევაა, იყოს საერთაშორისო თანამეგობრობის ღირსეული წევრი ისე, რომ შეინარჩუნოს თავისი კონსტიტუციის ეროვნული იდენტობა.

შესავალი

სამართალი საზოგადოებაში განვითარებული პროცესების კვალდაკვალ უნდა ვითარდებოდეს. ცოცხალი ორგანიზმის მსგავსად, იგი არ უნდა იყოს სინამდვილეს, სოციალურ მოწყვეტილი, დროულად და გონივრულად უნდა რეაგირებდეს საზოგადოებაში მიმდინარე ყველა პროცესზე. სამართლის ფუნქციაა, რომ, ერთი მხრივ, მოერგოს საზოგადოების განვითარებას, ხოლო, მეორეს მხრივ ჰქონდეს შემაკავებელი ფუნქცია ევოლუციის უარყოფითი ტენდენციებისადმი.

თანამედროვე სამართლის განვითარებაში სწორედ ისე, როგორც საერთაშორისო საზოგადოების ევოლუციაში, ორი ტენდენცია შეინიშნება: ეროვნული სამართლის გლობალიზაცია და საერთაშორისო სამართლის კონსტიტუციონალიზაცია. აღნიშნული ორი პროცესი ერთმანეთის პარალელურად, ხშირად ჰარმონიულად, თუმცა, ზოგჯერ კონფლიქტურად ვითარდება. სტატია არის მოკრძალებული მცდელობა ამ ურთიერთგაცვლისა და განვითარების პროცესის დაკვირვების, ანალიზის და შეფასებისა.

1. საერთაშორისო სამართლის პოლიტიკის სტრუქტურული ცვალებადობა

საერთაშორისო სამართალი გლობალური წესრიგის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ელემენტია. როცა მსოფლიოში საზოგადოების ფუნდამენტური ღირებულებები და წესრიგი იცვლება, საერთაშორისო სამართალიც უნდა გადაიხედოს და მისი პოლიტიკის პრიორიტეტებზეც ახალი, განსხვავებული აქცენტები უნდა გამოიკვეთოს.¹ თუ ასე არ მოხდა, სამართალი ვერ გაუმკლავდება იმ საზოგადოებრივ გამოწვევებსა და მოთხოვნებს, რომლებიც ისტორიულად მუდმივად თან ახლავს კაცობრიობის ევოლუციას. ამ სფეროს მკვლევართა ნაწილის აზრით, მსოფლიოში მომდინარე პროცესების სწორედ „დაჩქარებული წესი“ განაპირობებს საერთაშორისო სამართლის კონსტიტუციონალიზაციას.² აღნიშნულთან დაკავშირებით საინტერესოა ის ფაქტი, რომ 2004 წელს გაეროს მე-7 გენერალურმა მდივანმა, კოფი ანანმა შექმნა სპეციალური კომისია, რომელიც მიზნად ისახავდა გაეროს ქარტიის ინოვაციურ ცვლილებებს და ზოგადად გაეროს რეფორმას, ეს რეფორმა, თავის მხრივ, საერთაშორისო სამართლის კონსტიტუციონალიზაციის ელემენტების გამყარებას ემსახურებოდა.³

ფაქტია, რომ თანამედროვე ეპოქა განსაკუთრებული გლობალურობით გამოირჩევა. დღეს სახელმწიფოებმა ომები შესაძლოა ტერიტორიის დატოვების გარეშე, კიბერსაშუალებებით აწარმოონ. დიდია ტერორიზმის საფრთხე, რასაც ემატება სახელმწიფოებს შორის ტოტალური უთანასწორობის პრობლემა. საერთაშორისო სამართლის ისტორიული განვითარებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია ის მიმდინარე ტენდენცია, რომ საერთაშორისო სამართალში არამხოლოდ ადამიანის უფლებები - კოლექტიურად, როგორც სახელმწიფოს „ნაწილის“, არამედ ცალკეული ადამიანის, სუბიექტის უფლებაც საერთაშორისო დონეზე დაცვის ღირსი გახდა. ამას ადასტურებს ის, რომ ინდივიდს აქვს სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ მისი დარღვეული უფლებების ინდივიდუალურად, სახელმწიფოს შუამდგომლობის გარეშე დაცვის მექანიზმი. ასეთი კარგი მაგალითია საერთაშორისო სასამართლოებისადმი ადამიანის მიერ ინდივიდუალური საჩივრით მიმართვის ინსტიტუტი. იგი ამყარებს ადამიანის, როგორც ცალკეული სუბიექტის უფლებას საერთაშორისო ასპარეზზე.⁴ პირი აღარ აღიქმება მხოლოდ სახელმწიფოს ნაწილად, მოქალაქედ. იგი ადამიანის უფლების მატარებელია იმიტომ, რომ ის ადამიანია და არა იმიტომ, რომ ის კონკრეტული სახელმწიფოს მოქალაქეა.

იმისათვის, რომ საერთაშორისო სამართალმა შეასრულოს მისი როლი თანამედროვე მსოფლიოში და წარმატებით გადაჭრას ყველა ის პრობლემა, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობებში დგას, საჭიროა საერთაშორისო სამართლის ახლებური გააზრება. სწორედ ამიტომ, ჩვენს საუკუნეში უფრო და უფრო ინტენსიური ხდება დისკუსია საერთაშორისო სამართლის კონსტიტუციონალიზაციის შესახებ.

დასავლეთის დემოკრატიებში შეიმჩნევა განსაკუთრებით საინტერესო ტენდენციები. ერთი მხრივ - კავშირი სახელმწიფოებს შორის სუპრანაციონალური ხდება, მეორეს მხრივ - მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის ტალღის შემდეგ შესამჩნევია, რომ ერებს გაუჩნდათ თვითგადარჩენის ინსტიტუტები. დიდი ბრიტანეთის ევროკავშირიდან გამოსვლა, აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგი, ისევე, როგორც საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნებში

¹ G. Nolte, *Strukturwandel der internationalen Beziehungen und Völkerrechtspolitik*, in: Polis und Kosmopolis – Festschrift für Daniel Thürer (Giovanni Biaggini/Oliver Diggelmann/Christine Kaufmann Hg.), Baden-Baden (Nomos) 2015, 557-563, S. 557.

² J. Habermas, *Eine politische Verfassung für die pluralistische Weltgesellschaft*, KJ 2005, S. 222-247, S. 237; C. Tomuschat, *International Law: Ensuring the Survival of Mankind on the Eve of a New Century*, General Course on Public International Law, Recueil des cours 281 (1999), The Hague 2001, 163 f; A.v. Bogdandy, 3, in: Harvard International Law Review, Volume 47, Number 1, Winter 2006.

³ B. Fassbender, *UN-Reform und kollektive Sicherheit*, Heinrich Böll Stiftung, Global Issue Papers No. 17, April 2005. 2005 წლის 31 მაისს კოფი ანანმა თავის გამოსვლაში Larger Freedom: – Towards Development, Security and Freedom for All (LF) სწორედ ამ რეფორმის საჭიროებაზე ისაუბრა.

⁴ ა. ფირცხალაშვილი, *ადამიანის უფლებათა უნივერსალურობის თეორია*, #2(41)' სამეცნიერო ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი. 2014. გვ. 72.

ძლიერი მემარჯვენე კონსერვატორი ძალის გამარჯვება, გერმანიის საპარლამენტო არჩევნებში საკმაოდ სოლიდური ხმებით შესული მემარჯვენე პარტია, რომელიც გერმანიის პარლამენტში ყველაზე დიდ ოპოზიციას წარმოადგენს, პოლიტიკის ექსპერტებისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. მიმდინარე მოვლენებზე დაკვირვება ქმნის იმის თქმის საფუძველს, რომ განვითარებული დემოკრატიების პოლიტიკური ელიტები მართალია, მზად არიან კულტურული გლობალიზაციისა და ნაციონალური სამართლის ტრანსფორმაციისათვის, მაგრამ ისინი არ არიან მზად მიიღონ იმპორტირებული კულტურა, დათმონ ეროვნული იდენტობა. როგორც კი ეს უკანასკნელი საფრთხის ქვეშ დგება, თავისთავად ძლიერდება „ნაციონალიზმის იმუნიტეტი“. თავდაცვის ინსტიქტი და გლობალიზაციისადმი მისწრაფება უკუეფექტს იძლევა.

2. ეროვნულიდან გლობალურისკენ – კონსტიტუციონალიზაცია

სახელმწიფოს შექმნამდე მსოფლიო ქაოტური იყო. პირველყოფილი ადამიანები, ერთმანეთის უფლებებს არ იცნობდნენ. საარსებოს მოპოვებისათვის ისინი მუდმივად ებრძოდნენ ერთმანეთს. ჩვენი წინაპრები მალევე მიხვდნენ, რომ საზოგადოება განსაზღვრულ წესრიგს საჭიროებდა, იმგვარ წესრიგს, რომელსაც ყველა – ძლიერიც და სუსტიც – დაემორჩილებოდა. წესრიგს, რომელიც, ერთის მხრივ, დაიცავდა მათ, მაგრამ, მეორეს მხრივ, აიძულებდათ პატივი ეცათ ერთმანეთისათვის. სახელმწიფოს ჩამოყალიბების იდეას უსაფრთხოებისა და მშვიდობის დამკვიდრებისთვის სწრაფვა უდევს საფუძვლად. სახელმწიფოში განსაზღვრული წესრიგის შექმნა სავალდებულო წესებისა და პრინციპების – სამართლის ნორმების, – დადგენის გარეშე შეუძლებელია. საკუთარი სამართლისა და სახელმწიფო ხელისუფლების მოქმედების ფარგლების დადგენა და შენარჩუნება კი, კონსტიტუციონალიზმის არსებობით არის განპირობებული.

კლასიკური გაგებით, კონსტიტუციონალიზმის შინაარსში მოიაზრება ხელისუფლების ძალაუფლების განხორციელების ჩარჩო, რომელიც განსაზღვრავს, ერთი მხრივ სამთავრობო ინსტიტუტების ვალდებულებებს, ძალაუფლების ფარგლებსა და ფუნქციებს და მეორე მხრივ პიროვნების უფლებებს.⁵ კონსტიტუციონალიზმის შინაარსი ფორმალური გაგებით არის კონსტიტუციის შექმნით ან მისი რეფორმით განმტკიცებული. თანამედროვე გაგებით კი, კონსტიტუციონალიზმი აღწევს საერთაშორისო და სუბრანაციონალურ კანონმდებლობაში. ამის დასტურია, მაგალითად, მოსამართლეების მიერ კანონის უზენაესობის დაუწერელი ფუნდამენტური უფლებებისა და საფუძვლების შექმნა ევროპული თანამეგობრობისა და ევროკავშირის მართლწესრიგში და სხვა სახელმწიფოებრივი ღირებულებების ზესახელმწიფოებრივ რანგში აყვანა.⁶

ისტორიულმა განვითარებამ აჩვენა, რომ მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივი წესრიგი ვერ იქნებოდა ადამიანისათვის უსაფრთხოების გარანტი. ამისათვის მსოფლიოში მშვიდობა არის აუცილებელი. მსოფლიო მშვიდობის პოსტულატები კანტის *1795 წელს შექმნილ „მარადიულ მშვიდობაში“* იკითხება.⁷ კანტის „დემოკრატიული მშვიდობის“ თეორიის მიხედვით, დემოკრატიები ერთმანეთს არ ეომებიან. დემოკრატიული რეჟიმი, მისი აზრით, ქვეყნის მშვიდობიან საგარეო პოლიტიკას განაპირობებდა. სახელმწიფოებს შორის მშვიდობის დამყარებისა და შენარჩუნებისათვის კანტი ერებს 3 წინაპირობას უყენებდა: 1. ყველა სახელმწიფო უნდა იყოს დემოკრატიული რესპუბლიკა. კანტის მიხედვით, აბსოლუტური

⁵ ე. ჰეივუდი, *პოლიტიკური იდეოლოგიები: შესავალი კურსი*, მე-3 გამოცემა, ლოგოს პრესი, 2004, გვ. 432.

⁶ რ. არნოლდი, *კანონის უზენაესობის როლი საკონსტიტუციო სამართლის განვითარებაში, VIII საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა*, 2015, გვ. 18.

⁷ I. Kant, *Zum ewigen Frieden. Ein philosophischer Entwurf*, Königsberg, 1795; აქვე უნდა ითქვას, რომ კანტი არ ყოფილა პირველი, ვინც მშვიდობის პრობლემას შეეხო. მარადიული მშვიდობის შესახებ ჯერ კიდევ რეფორმაციის ეპოქაში ფიქრობდნენ. საინტერესოა ერაზმ როტერდამელის ნაშრომი *ვედრება მშვიდობისათვის* (1517), სებასტიან ფრანკის *მშვიდობისათვის მებრძოლი წიგნი* (1539), ამერიკელი პენის ესსე *ანშყო და მომავალი მშვიდობისათვის ევროპაში* (1693), სენ პიერის წერილი *ევროპაში მარადიული მშვიდობის შენარჩუნებისათვის* (1712) და *ევროპაში მარადიული მშვიდობის პროექტი* და რუსოს *ევროპაში მარადიული მშვიდობის პროექტი* (1782).

ფეოდალური მონარქიებისაგან განსხვავებით, დასავლური, დემოკრატიული ტიპის მმართველობას დიდი უპირატესობა აქვს. მისი აზრით, რესპუბლიკური წყობის მმართველობის დროს, ხალხი ხდება გადაწყვეტილების მიმღები და შესაბამისად, ხელისუფლება მოქმედებს ხალხის მიერ მინიჭებული მანდატით, ომები კი, ხალხთა კეთილდღეობისათვის უბედურებად განიხილება, რაც, შესაბამისად, ამცირებს მათი დაწყების სურვილს; 2. საერთაშორისო სამართალი თავისუფალი სახელმწიფოების ფედერალურ კავშირს უნდა ეფუძნებოდეს; 3. საერთაშორისო სამართალი უნდა გახდეს მსოფლიო მოქალაქეობის სამართალი და მის მიმართ ყველა ლოიალურად უნდა იყოს განწყობილი. კანტი აცალიბებს მსოფლიო სახელმწიფოს თეორიას და ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ მსოფლიო სახელმწიფო იქნება მომავალი მარადიული მშვიდობის გარანტი და იქნება ისეთი ფორმის სახელმწიფოებრივი გაერთიანება, რომელიც შეზღუდავს მის წევრ სახელმწიფოებს შორის კონფლიქტების შესაძლებლობას.⁸

სწორედ, კანტის თეორიის საფუძველზე, 80-იან წლებში აქტუალური გახადეს დემოკრატიული მშვიდობის თეორია მაიკლ დოილმა და ფრენსის ფუკუიამამ, მათი აზრით ლიბერალური დემოკრატიის მქონე ქვეყნები გამოირჩევიან მშვიდობიანობით, რადგან ასეთი ტიპის ქვეყნებში, როგორც წესი, ძალზედ მძლავრია საშუალო ფენა, რომელიც დაინტერესებულია მშვიდობით, რათა ივაჭროს, აწარმოოს და დააგროვოს კაპიტალი. შესაბამისად, თუ მოხდება მთელი მსოფლიოს დემოკრატიზაცია და ლიბერალიზაცია ამის შედეგად მივიღებთ მშვიდობიან მსოფლიოს.⁹

ამ თეორიას ბევრი კრიტიკოსი ჰყავს, რადგან იგი ძირითადად ნეორეალისტების მიერ უტოპიურად არის მიჩნეული რამდენიმე მიზეზის გამო.¹⁰ ნეორეალისტები მარადიული მშვიდობის თეორიას აკრიტიკებენ, რადგან, ერთი მხრივ, ისინი ეჭვქვეშ აყენებდნენ დემოკრატიის კანტისეულ განსაზღვრებას, მეორე მხრივ, კი ნეორეალისტებს დემოკრატიულ სახელმწიფოებს შორის მშვიდობის მიზეზთა საკუთარი ახსნა აქვთ. რეალიზმი და ნეორეალიზმი აცალიბებს მშვიდობის გაგების სხვაგვარ ვერსიებს.¹¹ ეს მოსაზრებები ეჭვქვეშ აყენებს დემოკრატიის, როგორც მშვიდობის განმსაზღვრელის ფუნქციას და აქცენტს აკეთებს სხვა ღირებულებებზე, მაგალითად დასავლურ სახელმწიფოებს შორის კულტურული ერთგვაროვნებაზე.¹² კრიტიკა ძირითადად ეყრდნობა მსოფლიოში სუპერსახელმწიფოების არსებობას, რადგან სინამდვილეში საერთაშორისო ურთიერთობებს უმეტესწილად ისინი განსაზღვრავენ, მათ ქმედებებს, განსაკუთრებით მათ ომებს ძლიერი გავლენა აქვთ საერთაშორისო სისტემაზე, განსხვავებით სხვა შედარებით სუსტი სახელმწიფოებისაგან. კანტის დემოკრატიული მშვიდობის თეორია აერთიანებს როგორც დიდ, ასევე პატარა სახელმწიფოებს. რეალისტების კრიტიკული პოზიცია კი, ამ საკითხზე ასეთია: დიდი და პატარა სახელმწიფოების ქმედებას ერთნაირი საზომით ვერ განვსაზღვრავთ, რადგან პატარა სახელმწიფოებს არჩევანი გაცილებით შეზღუდული აქვთ.¹³ ნეორეალისტების თეორიის კონტრარგუმენტად უნდა დასახელდეს დემოკრატიული მშვიდობის თეორიის ემპირიული საფუძველი, კონკრეტულად კი ის, რომ

⁸ Kant, *supra*, სქოლიო 7. გვ. 43.

⁹ მ. დოილი, *კანტი - ლიბერალური მემკვიდრეობა და საგარეო საქმეები*, წიგნში რ. არტი და რ. ჯერვისი (რედ.) *საერთაშორისო პოლიტიკა, მუდმივი ცნებები და თანამედროვე საკითხები*, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2011. გვ. 115-130. F. Fukuyama, *State-Building: Governance and World Order in the 21st Century*, Ithaca, NY: Cornell University Press, 2004.

¹⁰ J. Habermas, *supra* სქოლიო 2, გვ. 246; კანტის ყველაზე მძლავრი კრიტიკა კი აისახა ქრისტოფერ ლეინის სტატიაში: C. Layne, *Kant or Can't: The Myth of the Democratic Peace in Debating the Democratic Peace*. Cambridge & London: The MIT Press, 1994.

¹¹ იხ. რეალიზმის და ნეორეალიზმის წარმომადგენლების ჯონ მირშაიმერის, ქენეთ უოლცის *მშვიდობის თეორიების ანალიზი* - ა. რონდელი, *საერთაშორისო ურთიერთობები*, მესამე გადამუშავებული გამოცემა, თბილისი 2006; ასევე დასახელებელ ავტორთა ნაშრომებში: J.J. Mearsheimer, *The False Promise of International Institutions*, *International Security*, Vol. 19, No. 3 (Winter 1994/1995), pp. 5-49; K. Waltz, *Structural Realism After the End of the Cold War*, *International Security*, 25(1), 2000, pp. 5-41; J.J. Mearsheimer, *Back to the Future: Instability in Europe After the Cold War*, *International Security*, Vol. 15, No. 4 (Summer 1990), pp. 5-56.

¹² რედ. ე. კოდუა და სხვ., *სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი*, გამომცემლობა ლოგოს პრესი, 2004, გვ. 351.

¹³ იხ. ანალიზი, C. Layne, *supra* სქოლიო 11.

დემოკრატიულ სახელმწიფოებს შორის (კანტისეული რესპუბლიკის გაგებით) ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში, შეიარაღებული კონფლიქტი არ მომხდარა. თუ გავითვალისწინებთ, რომ გასულ საუკუნეში მიმდინარე დემოკრატიზაციის ტენდენციის შედეგად მსოფლიოში ავტოკრატიულ სახელმწიფოთა რიცხვი შემცირდა და კანტისეული „დემოკრატიული მშვიდობა“, კრიტიკის მიუხედავად, დღეს დასავლეთში საგარეო პოლიტიკური აზროვნების ერთ-ერთი საფუძველია, ეს გვაფიქრებინებს, რომ განსაზღვრულ პერიოდში მსოფლიო მშვიდობა მიღწევადია.

ზოგიერთი მეცნიერი ფიქრობს, რომ კანტის მარადიული მშვიდობის თეორია, სრულიადაც არ არის განუხორციელებელი უტოპია, არამედ ეს სწორედ ის იდეალია, რომელსაც განათლებული კაცობრიობა მუდმივად უნდა ესწრაფვოდეს.¹⁴ კანტის რეალიზმი მარადიულ მშვიდობასთან მიმართებით, იმაშიც ვლინდება, რომ იგი არ მიიჩნევს, რომ ამ იდეალის მყისიერი რეალიზაცია არის შესაძლებელი. იგი განიხილავს იმ ნაბიჯებს, რომლის გავლის შემთხვევაშიც, კაცობრიობა შეიძლება მყარად დაადგეს ამ იდეალის მიღწევის გზას.

განსაკუთრებით აქტუალურად მსოფლიო მშვიდობის საკითხი დადგა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, რადგან აღმოჩნდა, რომ მხოლოდ ეროვნულ დონეზე, სახელმწიფოს შიგნით სამართლიანობისა და ადამიანის უფლებათა დაცვა არ არის საკმარისი მსოფლიო უსაფრთხოებისათვის. დღეს სწორედ საერთაშორისო ტერორიზმის, ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევის და გლობალური უთანასწორობის ფონზე, კულტურული და ეკონომიკური გლობალიზაციის გათვალისწინებით განსაკუთრებით აქტუალური გახდა მსჯელობა „საერთაშორისო სამართლის კონსტიტუციონალიზაციაზე“.

მეოცე საუკუნის ორმა მსოფლიო ომმა სახელმწიფოები თანამეგობრობის შექმნის იდეამდე მიიყვანა. სახელმწიფოთა თანამეგობრობა – საერთაშორისო ორგანიზაციების რანგში – არის საყოველთაო მშვიდობისა და უსაფრთხოების მიღწევის მცდელობა. საერთაშორისო საზოგადოებაში დადგა საკითხი საერთაშორისო სამართლის „კონსტიტუციონალიზაციის“ შესახებ. სხვაგვარად რომ ითქვას, კონსტიტუციური სამართლის ის პრინციპები, რომლებზეც კლასიკური გაგებით სახელმწიფო უნდა ემყარებოდეს, თვით სახელმწიფოთაშორის, ან უფრო ზუსტად, ხალხთაშორის ურთიერთობათა წესრიგსაც უნდა ამყარებდეს. სწორედ ამგვარი დისკურსი გახდა დასავლეთ ევროპის მეცნიერებაში უკვე ათეული წელია, სამეცნიერო განხილვის საგანი.¹⁵

კონსტიტუციონალიზაციის პროცესები ასევე ნათლად ჩანს ტრადიციულ საერთაშორისო სამართალში. სწორედ, ასეთ პროცესს შეგვიძლია მივაკუთვნოთ *jus cogens*-ის ევოლუცია, როგორც იმპერატიული ნორმების პრინციპებისა, რომელთაც ვერანაირად ვერ აუვლის გვერდს სახელმწიფოს ძალაუფლება. ადამიანის უფლებები, სამხედრო ძალის გამოყენების აკრძალვა და საერთაშორისო საზოგადოებისთვის სხვა არსებითი მნიშვნელობის მქონე პრინციპები გვიჩვენებს საერთაშორისო სამართლის ეტაპობრივ ტრანსფორმაციას – ვერტიკალურ პრინციპებზე დაფუძნებულ სამართლებრივ ნორმებზე.¹⁶ სწორედ, მისი ამგვარი გარდაქმნა იწვევს კონსტიტუციურ-სამართლებრივი პრინციპების საერთაშორისო სამართალში გარდასახვას და მის გამყარებას. ამის კარგი მაგალითია *მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (World Trade Organisation)* ან *ევროპული კავშირი (European Union)*, როგორც *სუპრანაციონალური ორგანიზაციები*. მართალია, *ევროპული კავშირის კონსტიტუციის შექმნა ფორმალური თვალსაზრისით, 2005 წელს საფრანგეთსა და ნიდერლანდში ჩატარებული*

¹⁴ გ. თავაძე, *მარადიული მშვიდობა: განუხორციელებელი უტოპია თუ პოლიტიკური იდეალი? განაზრებანი იმანუელ კანტის ნაშრომზე „მარადიული მშვიდობისაკენ“*, გვ. 3 ხელმისაწვდომია აქ: www.academia.edu [უკანასკნელად გადამოწმდა 2018 წლის 30 მაისს].

¹⁵ იხ. სტატიები წიგნში G. Biaggini O. Diggelmann და C. Kaufmann (რედ.), *Festschrift für Daniel Thürer, Polis und Kosmopolis*, Nomos Verlag, Baden-Baden 2015, J. Habermas, *Hat die Konstitutionalisierung des Völkerrechts noch eine Chance?*, in: ders., *Der gesplante Westen*, Frankfurt/M. 2004, S. 113 ff.

¹⁶ *არნოლდი*, supra, სქოლიო 6, გვ. 18.

რეფერენდუმის საფუძველზე კრახით დასრულდა, თუმცა, მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით ევროპული სამართალი არის სწორედ, საერთაშორისო სამართლის კონსტიტუციონალიზაციის ნათელი მაგალითი. თუ სად გადის ზღვარი ეროვნულსა და გეროვნულს შორის, ევროპაში განვითარებული პოლიტიკურ-სამართლებრივი პროცესების ფონზე, ძალიან კარგად იკითხება.

საერთაშორისო სამართლის განვითარების პირველ ეტაპზე საერთაშორისო თანამეგობრობათა მიზანი, სწორედ სამართლიანობისა და დემოკრატიისათვის ბრძოლით შემოიფარგლებოდა. შეიქმნა საერთაშორისო სასამართლოები, რომლებიც მეტ-ნაკლებად წარმატებით ართმევდნ თავს ამ ღირებულებათა დაცვას სახელმწიფოს შიდა საქმიანობაში, მაგრამ ასევე სახელმწიფოთაშორის დავებში. აღნიშნული მექანიზმების ეფექტიანობა, მათი აღსრულება მართალია ხშირად სადავოა, თუმცა უდავოა, რომ ის ღირებულებები, რომლებზეც სახელმწიფოები შეთანხმდნენ – დემოკრატიისა და სამართლიანობის პრინციპები – საერთაშორისო საზოგადოების ზრუნვის საგანია. განსაკუთრებული ფუნქცია კი, საერთაშორისო სამართალში კონსტიტუციურ-სამართლებრივმა პრინციპმა, პროპორციულობის დებულებამ (Verhältnismäßigkeitsgrundsatzes) იტვირთა. იგი გერმანულ ლიტერატურაში საერთაშორისო სამართლის კონსტიტუციონალიზმის კონტექსტში ფართო განხილვის საგანია.¹⁷

აღნიშნული პრინციპების განხორციელება მსოფლიოს უსაფრთხოებასა და მშვიდობას ემსახურება. უკვე რამდენიმე ათეული წელია, კაცობრიობის განვითარების მესამე ეტაპზე, სახელმწიფომ სოციალური ფუნქცია იტვირთა. უდავოა, რომ ადამიანს შრომისუნარობის, ავადმყოფობის, ან მოხუცებულობის დროს მხარდაჭერა სჭირდება. სახელმწიფოს სოციალური მოწყობა ყველა განვითარებული სახელმწიფოს პრიორიტეტია. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მათგანი ნაკლებად, ზოგიერთი კი, უფრო მეტად ზრუნავს სოციალური სისტემის მოწყობაზე, მნიშვნელოვანია იმის აღიარება, რომ ადამიანი სოციალური ნაწილია და იგი, უმწეო მდგომარეობაში მყოფი, ხელისუფლების მხარდაჭერას საჭიროებს.

საინტერესოა, რომ იგივე ტენდენცია შეიმჩნევა სოციალური სახელმწიფოს იდეის ევოლუციაში, რაც დემოკრატიისა და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების განვითარებაში იკვეთება. სიკეთების სამართლიანი გადანაწილება გულისხმობს არამხოლოდ გადანაწილებას კონკრეტულ პირებს, ან მოქალაქეებს შორის, არამედ სახელმწიფოთა შორის. საგულისხმოა, რომ იგი გასცდა სახელმწიფოებრიობის ფარგლებს და უკვე საერთაშორისო მნიშვნელობა მოიპოვა. ამას ადასტურებს არამხოლოდ რეგიონალური საერთაშორისო ორგანიზაციების (მაგ. ევროპული კავშირის), არამედ მსოფლიო თანამეგობრობის (გაეროს) რეგულაციები. დღითიდღე ნათელი ხდება, რომ ევროპული კავშირის წევრი სახელმწიფოების თანაბარი განვითარებისა და კეთილდღეობის მიღწევა ევროკავშირის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიზანია. სახელმწიფოთა სოციალური სოლიდარობის ჭრილში, ძალიან მნიშვნელოვანია გაეროს მდგრადი განვითარების გეგმა – 2030. სწორედ მასშია დასახული მსოფლიოში არსებული სოციალური პრობლემების აღმოფხვრის მიზანი. ამ გეგმის 17 პრინციპიდან ყველაზე პრიორიტეტული სოციალური პრობლემატикаა. პირველ სამ მიზნად დასახულია გაეროს წევრ ქვეყნებში (192 ქვეყანა) სიღარიბისა და შიმშილის აღმოფხვრა და ეფექტიანი ჯანდაცვის სისტემის შექმნა.¹⁸ გეგმაში ასევე ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ პარტნიორობის ფარგლებში უზრუნველყოფილი უნდა იყოს თანასწორი განათლება, ღირსეული სამუშაო პირობები, ეკონომიკური ზრდა და უთანასწორობის შემცირება ქვეყნებში და ქვეყნებს შორის. ამ დოკუმენტს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სოციალური დატვირთვა აქვს, რადგან განვითარებული სახელმწიფოები აღიარებენ, რომ მათ აქვთ „სოციალური

¹⁷ J. Rauber, *Verhältnismäßigkeit und völkerrechtliche Systembildung, Überlegungen zur einheitsbildenden Funktion des Verhältnismäßigkeitsgrundsatzes im Völkerrecht der Konstitutionalisierung*, Max-Planck-Institut für ausländisches öffentliches Recht und Völkerrecht, ZaöRV 75 (2015), 259-298, 2015.

¹⁸ A/RES/70/1 *Transforming our world: the 2030 Agenda for Sustainable Development* ხელმისაწვდომია აქ: <https://sustainabledevelopment.un.org/content/documents/21252030%20Agenda%20for%20Sustainable%20Development%20web.pdf> [უკანასკნელად გადამოწმდა 2018 წლის 30 მაისს].

პასუხისმგებლობა“ სხვა, უფრო „ღარიბ“ სახელმწიფოთა მიმართ. ისტორიული განვითარება ნათელს ხდის, რომ კაცობრიობა თავისი განვითარების იმ ეტაპზე მივიდა, როცა არამხოლოდ სახელმწიფოთა, არამედ საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ გარკვეულ სოციალურ ვალდებულებათა აღიარება და უზრუნველყოფის მცდელობა აშკარა და შეუქცევადი გახდა.

ყველაზე უტილიტარისტული გაგებით, ადამიანს, რომელსაც ბევრი მატერიალური სიკეთე აქვს, ურჩევნია იცხოვროს ისეთი ადამიანების გარემოცვაში, რომლებიც არ არიან ძალიან ღარიბები, რადგან საცხოვრებელი მინიმუმის არ არსებობის შემთხვევაში, შესაძლოა მის საკუთრებას და უსაფრთხოებას საფრთხე დაემუქროს. ეს საფრთხე ხშირად სიღარიბისა და შიმშილის პირას მყოფი ადამიანი ხდება, უკიდურესი აუცილებლობის პირობებში, რადგან მას არ აქვს შესაძლებლობა იშრომოს და პატიოსანი გზით მოიპოვოს საცხოვრებლად საკმარისი სარჩო. გლობალიზაციის პირობებში, დიდია ე.წ. ეკონომიკურ მიგრანტების რიცხვი, რომელიც თავის გადასარჩენად მსოფლიოს მდიდარ სახელმწიფოებს აფარებენ თავს. ამიტომ მდიდარ, განვითარებულ სახელმწიფოებს, პრაგმატული თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, ურჩევნიათ წინასწარ „იზრუნონ“ სხვა სახელმწიფოების განვითარებაზე.

შესაბამისად, XXI საუკუნის მსოფლიო მივიდა განვითარების იმ ეტაპზე, როდესაც დემოკრატიულ, სამართლებრივ პრინციპებთან ერთად, სოციალური სოლიდარობაც აღიარებულია. ამ ღირებულებათა დამკვიდრებას, გლობალიზაციასთან ერთად, ნოყიერ ნიადაგს უქმნის ჩვენს საუკუნეში დამკვიდრებული უკიდურესი უთანასწორობა.¹⁹

3. გლობალიზაციის ეროვნულად – კონსტიტუციის ეროვნული იდენტობა

თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესებს ერთგვარი „შეკავების“ მექანიზმი გააჩნიათ. აღნიშნული ემსახურება იმას, რომ მსოფლიოს კულტურული გლობალიზაცია არ გახდეს ერებისათვის ნაციონალური თვითმყოფადობის განადგურების საფრთხე. ამ კუთხით ძალზე მნიშვნელოვანია ერების „კულტურულ და სახელმწიფო ნაციებად“ დაყოფის თეორია.

გერმანელი ისტორიკოსი, ფრიდრიხ მაინეკე XIX საუკუნის მიწურულის, ერების ორ კატეგორიას განასხვავებდა: კულტურულ ნაციებს და სახელმწიფო ნაციებს.²⁰ თუ სახელმწიფო ნაციების თვითშეგნება მათ სახელმწიფოებრიობაზე იყო მიბმული, კულტურული ნაციები სახელმწიფოსგან დამოუკიდებლად არსებობდნენ და მათი ეროვნული ინტეგრაციის განმსაზღვრელი არამხოლოდ საერთაშორისო სამართლის სუბიექტობა, ან ფორმალური გაგებით, კონსტიტუცია იყო, არამედ ეროვნული კულტურა, თავისი ენობრივი, რელიგიური, სულიერი და მატერიალური კულტურის ტრადიციებით. შესაბამისად კულტურულ ნაციებს გააჩნიათ თავისი სამართლებრივი იდენტობაც.²¹

ეს პროცესი არ არის ჰომოგენური, რომელიმე ერთ ეთნიკურ ჯგუფამდე და მის ტრადიციულ ყოფასა თუ რწმენა-წარმოდგენებამდე არ დაიყვანება. პირიქით, კულტურული ნაცია არა წარმომავლობით, თუ სისხლით ნათესაობის პრინციპს, არამედ კულტურულ ელემენტთა ერთობას ემყარება. ეს ელემენტები კი, სხვა კულტურებთან გაცვლითა და სინთეზით მიიღება. ასეთ დროს ხშირია სხვა კულტურებიდან კულტურული შინაარსის ინვესტიციები, ანუ ის, რაც ქმნადობის პროცესში მყოფ კულტურაში არ არის მოცემული, ან მის წიაღში წარმოშობილი, მისი უცხოეთიდან შემოტანა და გათავისება ხდება. მსგავსი მოდელის საქართველოში შემოტანა

¹⁹ იხ. დეტალურად, ა. ფირცხალაშვილი, *სოციალური სამართლიანობა, ახალი წესრიგი 21-ე საუკუნის მსოფლიოსათვის*, ხელმისაწვდომია აქ: <http://european.ge/socialuri-samartlianoba-axali-tsersigi-xxi-saukunis-msopliosatvis/> [უკანასკნელად გადამოწმდა 2018 წლის 30 მაისს].

²⁰ F. Meinecke, Werke: *Weltbürgertum und Nationalstaat Gebundene Ausgabe* – 1. Januar 1962 რედაქტორი H. Herzfeld.

²¹ F. Meinecke, supra, სქოლიო 20.

სცადეს ილია ჭავჭავაძემ და თერგდალეულებმა, რომელთა პროექტიც საქართველოსგან, სწორედ კულტურული ნაციის შექმნა იყო.²²

აქედან გამომდინარე, კულტურული იდენტობის დაკარგვის საფრთხე არ დგას, თუ ერი კულტურულ ნაციად არის ჩამოყალიბებული. მას გააჩნია შესაბამისი იმუნიტეტი, რომელიც იღებს მხოლოდ იმას, რაც მისი ეროვნული იდენტობისათვის მისაღებია. იგივე პრინციპი ვრცელდება, ეროვნულ სამართალზეც, რომელიც ჯერ კიდევ ისტორიულად, დიდი მზაობით შეინიშნება ევროპული სამართლის რეცეპციისადმი.²³ ბესარიონ ზოიძის აზრით, საქართველო არასდროს ყოფილა თავის ნაციონალ ღირებულებებში ჩაკეტილი ქვეყანა, იგი მუდამ დიდი ინტერესს იჩენდა პროგრესული კულტურების მიმართ. მისი აზრით რეცეპციის ხელოვნება არ ნიშნავს უცხო ქვეყნების სამართლის სარკისებურ თარგმნას. მეცნიერთა დაკვირვებით, უცხო სამართლის თარგმნისას, მთელი ძალისხმევა იქითკენ იყო მიპყრობილი, რომ ქართულში არ შემოპარულიყო ისეთი რამ, რაც საფრთხეს შეუქმნიდა ეროვნულ სამართალს და დაამახინჯებდა ქართულ ცნობიერებას.²⁴

ძალიან საინტერესო მაგალითს და იმავდროულად მნიშვნელოვან საქმეს, სამართლებრივი იდენტობის კონტროლის მხრივ წარმოადგენს გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს ორი გადაწყვეტილება.²⁵ აღნიშნული საქმე ცნობილია, როგორც „იდენტობის კონტროლი“ (Identitätskontrolle ან ე.წ. Solange III)²⁶ და ეხება ევროპული დაპატიმრების ბრძანებას. გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ 2015 წლის 15 დეკემბერს მიიღო 2 BvR 2735/14 გადაწყვეტილება. სასამართლოს ეს გადაწყვეტილება აზუსტებდა კავშირის ფორმას, რომელიც უნდა იყოს გერმანიის კონსტიტუციურ სამართალსა და ევროპული კავშირის სამართალს შორის. ეს ურთიერთკავშირი კი დანახულია გერმანიის ეროვნული სამართლის გადმოსახედიდან. გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციური სარჩელი განსახილველად მიიღო, რათა მეტად გამოეკვეთა მატერიალურ-სამართლებრივი და პროცესუალური კონტურები, რომელიც ევროპული კავშირის სამართლის ნორმებთან, გერმანიის კონსტიტუციასთან შეთავსებადობას ამოწმებს.

გერმანიის ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა აშშ-ს მოქალაქემ, რომელიც დიუსელდორფის მიწის უზენაესი სასამართლოს (OLG Düsseldorf) 2014 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილების კონსტიტუციურობაზე დავობდა. მიწის უზენაესი სასამართლო კი, თავის გადაწყვეტილებებში ევროპული დაპატიმრების ბრძანებას ეყრდნობოდა. მოსარჩელეს, აშშ-ს მოქალაქეს, იტალიის, ფლორენციის სასამართლოს გადაწყვეტილებით 1992 წელს კრიმინალური დაჯგუფების წევრობისათვის, რომელსაც ქვეყანაში კოკაინი შეჭქონდა და ასაღებდა მას, 30 წლიანი თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა იმის შემდეგ, რაც იგი 2014 წელს ევროპის დაპატიმრების ბრძანების საფუძველზე გერმანიაში დააკავეს, მოსარჩელე ითხოვდა იტალიაში მისი ექსტრადიციის შეჩერებას. ევროპული დაპატიმრების ბრძანება, რომელიც იტალიაში იქნა მიღებული, მაგრამ გერმანიაში უნდა აღსრულებულიყო, მოსარჩელის მოსაზრებით, ეწინააღმდეგებოდა გერმანიის კონსტიტუციით გარანტირებულ ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპს (nulla poena sine culpa). ამ უკანასკნელში კი, გერმანიის ძირითადი კანონითა და ეროვნული კანონმდებლობით მოიაზრება, რომ დაუსწრებელი დაპატიმრების

²² გ. მაისურაძე, „კულტურული ნაციიდან“ კულტურულ ნარცისიზმამდე, ინტერნეტ პლატფორმა, რადიო თავისუფლება, ხელმისაწვდომია აქ: <https://www.radiotavisupleba.ge/a/blog-giorgi-maisuradze-cultural-nation/25245883.html> [უკანასკნელად გადამოწმდა 2018 წლის 30 მაისს].

²³ ბ. ზოიძე, *ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში*. თბილისი 2005, გვ. 19- 23.

²⁴ იქვე. გვერდი 23.

²⁵ BVerfG, 7.2.2014 - 2 BvR 2728-2731/13, 2 BvE 13/13 ე.წ. „OMT-Beschlusses“ და BVerfG 2 BvR 2735/14 vom 15.12.2015 ე.წ. „Identitätskontrolle“.

²⁶ Beschlusses 2 BvR 2735/14 des BVerfG vom 15.12.2015 („Solange III“/„Europäischer Haftbefehl II“), გადაწყვეტილების ანალიზიხ. D. Burchardt, ZaöRV 76(2016), გვ. 527-551 *Die Ausübung der Identitätskontrolle durch das Bundesverfassungsgericht - Zugleich Besprechung des Beschlusses 2 BvR 2735/14 des BVerfG vom 15.12.2015 („Solange III“/„Europäischer Haftbefehl II“)*.

ბრძანება, ეწინააღმდეგება ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპს (გარდა რამდენიმე გამონაკლისისა, რომლითაც განსაზღვრული შემთხვევა არ ხასიათდებოდა). გერმანიის ძირითადი კანონის 79 მუხლის მე-3 პუნქტი ადგენს თვით ძირითადი კანონის „მუდმივობის დებულებას“, რომლის მიხედვითაც: *„დაუშვებელია ამ ძირითადი კანონის შეცვლა იმ საკითხთან მიმართებით, რომელიც ეხება ფედერაციის მიწებად დაყოფას, კანონმდებლობაში მიწების მონაწილეობის პრინციპებს ან პრინციპებს, რომლებიც დადგენილია პირველ და მე-20 მუხლებში“*. აღნიშნული ნორმა ადგენს გერმანიის ძირითადი კანონისათვის დამახასიათებელ პრინციპებს, რომლის გარეშეც ინსტიტუცია დაკარგავდა საკუთარ იდენტობას. ამიტომაც იგი ამ დებულებებს უცვლელად აცხადებს მანამ, სანამ არსებობს ძირითადი კანონი. გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ დიუსელდორფის მიწის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება კონსტიტუციასთან შეუსაბამოდ მიიჩნია. მან მიიჩნია, რომ ეს კონკრეტულ შემთხვევაში იმდენად ზღუდავდა ბრალის პრინციპს, რომ ადამიანის ღირსება, რომელიც კონსტიტუციის პირველი მუხლით არის გარანტირებული და 79 -ე მუხლის მე-3 პუნქტით უცვლელად გამოცხადებული, არ იყო სახელმწიფოს ხელისუფლების მიერ საკმარისად დაცული. ადამიანის ღირსება წარმოადგენს გერმანიის კონსტიტუციის ყველაზე მაღალ, უცვლელ ღირებულებას, რომელიც თავის მხრივ არის გერმანიის ძირითადი კანონისათვის დამახასიათებელი.

საინტერესოა ამ გადაწყვეტილების დასაბუთება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ.²⁷ უპირველესად, სასამართლოს არგუმენტი იდენტობის კონტროლის შესახებ ეყრდნობა იმას, რომ, აღნიშნული ქმედება არ ეწინააღმდეგება ევროპული კავშირის ხელშეკრულების მე-4 მუხლის მე-3 აბზაცს, რომელიც ქვეყნებს შორის ლოიალურ თანამშრომლობას გულისხმობს. იგი აქცენტს აკეთებს იმაზე, რომ სახელმწიფოს მიერ იდენტობის კონტროლი არ წარმოადგენს არსობრივ საფრთხეს ევროპული კავშირის ერთიანი სამართლის სისტემისათვის ორი მიზეზის გამო. პირველი – რადგან იდენტობის კონტროლი მხოლოდ იშვიათია, და მეორე – კონტროლი ყოველთვის თავშეკავებული და ევროპული კავშირის სისტემისადმი კეთილგანწყობილი უნდა იყოს.

ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო არგუმენტაციისას ეყრდნობა ძირითადი კანონის 23-ე მუხლის პირველ პუნქტს, რომლის მიხედვითაც: *„გაერთიანებული ევროპის იდეის განსახორციელებლად, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა მონაწილეობს ევროპული კავშირის განვითარებაში, რომლის ვალდებულებებშიც შედის დემოკრატიული, სამართლებრივი, სოციალური და ფედერაციული სახელმწიფოს პრინციპების დაცვის გარანტირება, ასევე, სუბსიდიარობის პრინციპის დაცვა, რომელიც უზრუნველყოფს ძირითადი უფლებების დაცვას, რომლებიც არსებითად ემთხვევა ძირითად კანონში ასახულ ძირითად უფლებებს. აღნიშნული მიზნების განსახორციელებლად ფედერაციას შეუძლია, ბუნდესრატის თანხმობით, კანონის მეშვეობით, საკუთარი სუვერენული უფლებების გადაცემა. ევროპული კავშირის დაარსებისათვის, ასევე, მისი სახელშეკრულებო საფუძვლების შეცვლისათვის და ანალოგიური რეგულირებებისათვის, რომლებიც ცვლიან, ან ავსებენ ამ ძირითად კანონს, ან შესაძლებელს ხდიან ასეთ ცვლილებებს, ან დამატებებს, გამოიყენება 79-ე მუხლის მე-2 და მე-3 აბზაცები“*.

Nulla poena sine culpa პრინციპის მიხედვით არ არსებობს სასჯელი ბრალის გარეშე. იგი სისხლის სამართლის არამხოლოდ ფუნდამენტურ პრინციპს წარმოადგენს, არამედ ამ პრინციპიდან გამომდინარე, ბრალის დადასტურება სამართლიანობის კონსტიტუციური პრინციპის ელემენტარული მოთხოვნაა. მისი დარღვევა კი, გერმანიის ძირითადი კანონით გარანტირებული ფუნდამენტური ღირებულების, ადამიანის ღირსების გარანტიის მინიმალური სტანდარტების დარღვევას იწვევს.²⁸ სწორედ, ადამიანის ღირსების გარანტიის მინიმალური სტანდარტის შემოწმება არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კრიტერიუმი იდენტობის

²⁷ BVerfG, Beschluss 2 BvR 2735/14 vom 15.12.2015, Rn. 36.

²⁸ BVerfG, Beschluss 2 BvR 2735/14 vom 15.12.2015, Rn. 39.

კონტროლის ტექსტისა.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში საუბრობს ევროპული კავშირის ადამიანის უფლებათა ქარტიამე. იგი მიუთითებს ქარტიის 47-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 48-ე მუხლებზე და ასკვნის, რომ გერმანული ეროვნული სამართლის თვალთახედვით, გერმანიის (OLG დიუსელდორფის მიწის უმაღლესი) სასამართლოს გადაწყვეტილება, არ პასუხობს თვით ქარტიის 47-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 48-ე მუხლის მოთხოვნებს.

საყურადღებოა, რომ გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო, თავის გადაწყვეტილებაში იდენტობის კონტროლის განსაკუთრებულ მოთხოვნად აყალიბებს მოთხოვნას, თავისივე სამომავლო პრაქტიკისათვის - იდენტობის კონტროლი უნდა იყოს ევროპული კავშირის სამართლისადმი პოზიტიურად განწყობილი (Europarechtsfreundlichkeit).²⁹ სასამართლოს აზრით, კონსტიტუციური ნორმები უშუალოდ მოქმედი სამართალია ხელისუფლებისათვის, რომელიც ვალდებულია, ევროპული კანონმდებლობით და მის გარეშეც დაიცვას ადამიანის ღირსება.³⁰

სასამართლოს მიერ იდენტობის კონტროლის ტექსტის წინარე პირობებს წარმოადგენდა, ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს „მანგოლდის გადაწყვეტილება“.³¹ მასზე პასუხი გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ თავის 2010 წლის 6 ივლისის, ე.წ. Honeywell გადაწყვეტილებაში გასცა.³² სასამართლომ ამ გადაწყვეტილებაში ჩამოაყალიბა ე.წ. ultra-vires-Kontrolle შემოწმების კრიტერიუმები. რაც გულისხმობს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ევროპული კავშირის სამართლის შემოწმებას იმ კუთხით, თუ რამდენად ჰქონდა უფლებამოსილება ევროპული კავშირის შესაბამის ორგანოებს მიეღოთ შესაბამისი სამართლებრივი აქტი, ხომ არ იჭრებოდა იგი ფორმალურ სამართლებრივად გერმანიის ხელისუფლების უფლებამოსილებში სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელების კუთხით. გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ მის ე.წ. Honeywell-ის გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ გერმანიაში საკმაოდ სადავო Mangold-ის გადაწყვეტილება ევროპული კავშირის სამართლის ფარგლებში, ფორმალურ სამართლებრივი კუთხით სწორად იყო მიღებული და იგი გადიოდა ultra-vires-Kontrolle. განსხვავებით Identitätskontrolle-ის, ე.წ. Solange III გადაწყვეტილებისა,³³ ამ შემთხვევაში ფედერალურმა სასამართლომ სადავო საქმის, კონკრეტულ შემთხვევაში, ევროპული დაპატიმრების ბრძანების მატერიალური შესაბამისობა შეამოწმა იმ ნორმებთან მიმართებით, რომელიც გერმანიის ძირითადი კანონის უცვლელ და მუდმივ საფუძველს წარმოადგენდნენ.

²⁹ აღნიშნული მიდგომა გაკრიტიკებულია გერმანელი მკვლევარების მიერ იმ არგუმენტით, რომ ევროპული კავშირის სამართლისადმი პოზიტიურად განწყობა მხოლოდ მოჩვენებითია და სასამართლო ამ მიდგომას მხოლოდ დეკლარაციულად აცხადებს: ob. Burchardt, supra სქოლიო 25, გვერდები 527-551.

³⁰ BVerfG, Beschluss 2 BvR 2735/14 vom 15.12.2015, Rn. 41 ff, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ, გერმანიის ფედერაციული საკონსტიტუციო სასამართლოს მითითებული გადაწყვეტილებიდან მიღებიდან მალევე, 2016 წლის 5 აპრილის C 404/15 გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ ევროპული კავშირის ქარტიით დაცული ადამიანის ღირსების გარანტია, უდევს ზოგადად ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვას მასშტაბად/საზომად. თუმცა სასამართლოს არ გაუკეთებია პირდაპირი მინიშნება, რომ აღნიშნული ტექსტი შეიძლება გამოყენებული იქნეს ეროვნული სასამართლოს მიერ იდენტობის კონტროლის შემოწმების ინსტრუმენტად.

³¹ ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს 2005 წლის 22 ნოემბრის C-144/04 *Mangold-Urteil* ე.წ. „მანგოლდის გადაწყვეტილება“.

³² Honeywell-Entscheidung 2 BvR 2661/06, 6. 07.2010.

³³ BVerfGG supra, სქოლიო 25

დასკვნა

დღეს მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესი აუცილებელია მსოფლიო უსაფრთხოებისა და მუდმივი მშვიდობიანი თანაცხოვრებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ტენდენცია ჩვენი საუკუნის დასაწყისში სამართლებრივი, კულტურული და ღირებულებითი გლობალიზაციის განვითარებას აჩვენებს, იგი სრულიად არ არის შეუქცევადი პროცესი. ასევე გვაქვს ცალსახა გლობალური და ეროვნულისკენ მიმავალი გზები. სწორედ ეს პროცესია სამართლის მეცნიერების გამოწვევა, ერთი მხრივ - საერთაშორისო სამართლებრივი პრინციპების და დასავლეთისთვის შეთანხმებული ღირებულებების რეცეპცია, ხოლო მეორეს მხრივ - მათი დიდი სიფრთხილით შემოწმება, ეროვნულთან შედარება და შეფასება.

გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოთ გაანალიზებული პრაქტიკის შეფასება იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ ეროვნულმა საკონსტიტუციო სასამართლომ დაიტოვა ორი „უკან გასასვლელი კარი“. ერთი, რომლითაც იგი სუპრანაციონალური კავშირის სამართლიდან გადის იმის გამო, რომ სახელმწიფო ხელისუფლების კომპეტენციების მიკუთვნება ვერ მოახდინოს, თუნდაც, შესახელმწიფოებრივმა ევროპულმა კავშირის სამართალმა, ხოლო მეორე კარი კი ემსახურება ეროვნული კონსტიტუციის და სამართლებრივი სისტემის შინაარსის ფუნდამენტური და მუდმივი დებულებების დაცვას.

აღნიშნულ შემთხვევაში საინტერესოა ის საკითხი, თუ რა ჰარმონიულად არის შესაძლებელი ეროვნულის და გლობალურის თანაარსებობა. სწორედ, ეროვნული ფუნდამენტის შენარჩუნებით არის შესაძლებელი გლობალური სამართლის სისტემაში დარჩენა. საფიქრებელია ისიც, რომ თუ სასამართლო ამ შემთხვევაში არ შეითავსებს გამაწონასწორებელი რგოლის როლს, საფრთხე დაემუქრება სამართლის გლობალიზაციას. ამის კარგი მაგალითი შეიძლება იყოს ბრიტანეთის სამეფოს გამოსვლა ევროპული კავშირიდან.

კანონზომიერია, რომ ყველაფერ „უცხოს“, რაც არ უნდა დადებითი და მიმზიდველი იყოს იგი, ზედმეტი დოზებით მიწოდება ყოველთვის იწვევს უკან, „საკუთარისკენ“ შებრუნებას. სწორედ დოზირება უნდა შეარჩიოს ამ შემთხვევაში სახელმწიფომ, მიუხედავად იმისა, რომელი ხელისუფლების შტოს მიერ იქნება იგი წარმოდგენილი - შესაბამისი ოდენობით უნდა მიიღოს საერთო ღირებულებები, კულტურა, რომელიც სამართალში აისახება. წინააღმდეგ შემთხვევაში, გლობალიზაცია, რომელსაც თავის მხრივ, მუდმივი მშვიდობის მიღწევის პერსპექტივა აქვს და, რომელსაც დღეს მსოფლიოში ალტერნატივა არ გააჩნია, იქნება წარუმატებელი პროექტი მსოფლიოსათვის.

სასამართლოს საქმიანობის სტატისტიკური მიმოხილვა


საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის, საკონსტიტუციო სამართალ-წარმოების ძირითად მახასიათებლებისა და ქვეყანაში კონსტიტუციური კანონიერების თაობაზე მნიშვნელოვან მონაცემებს იძლევა სტატისტიკური ინფორმაცია. ქვემოთ გრაფიკული ფორმით არის წარმოდგენილი საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის სტატისტიკის შემაჯამებელი მონაცემები, რომლებიც ასახავს სასამართლოს მიერ 2017 წელს გაწეული საქმიანობის ძირითად მიმართულებებს. ამასთან, მონაცემების აღქმადობის სიმარტივისა და მეტი სიცხადისთვის გვსურს, გავაკეთოთ რამდენიმე განმარტება.

„საქმე“ და „სარჩელი“ - სტატისტიკის გარკვეული ნაწილი შეეხება დასრულებულ სარჩელებს და დასრულებულ საქმეებს. საკონსტიტუციო სამართალწარმოებისას სხვადასხვა კონსტიტუციური სარჩელი შეიძლება გაერთიანდეს ერთ საქმედ. სხვაგვარად, „საქმე“ შეიძლება შედგებოდეს რამდენიმე კონსტიტუციური სარჩელისგან. მაგალითად: 2017 წლის 27 იანვარის N1/1/650,699 გადაწყვეტილებით სასამართლო წარმოება დასრულა ორ კონსტიტუციურ სარჩელზე, 2017 წლის 14 ივლისის N1/9/701,722,725 გადაწყვეტილებით წარმოება დასრულდა სამ კონსტიტუციურ სარჩელზე და ა.შ.


კომპეტენციები - N5 გრაფიკული გამოსახულება ასახავს მონაცემებს დასრულებული საქმეების შესახებ კომპეტენციების მიხედვით. სასამართლოს კომპეტენციებს განსაზღვრავს საქართველოს კონსტიტუცია და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის მომწესრიგებელი კანონმდებლობა. გრაფიკულ გამოსახულებაზე კომპეტენციის იდენტიფიცირების ფორმად გამოყენებულია „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლი. მაგალითად, გრაფიკულ გამოსახულებაზე მითითებული კომპეტენცია 19.1.ე. გულისხმობს დასახელებული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ კომპეტენციას.

დამძლევი - N6 გრაფიკულ გამოსახულებაზე ცალკე არის გამოყოფილი „დამძლევი“ ნორმები. ეს გულისხმობს „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის 4¹ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევას. კერძოდ, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლომ განმწესრიგებელ სხდომაზე დაადგინა, რომ სადავო ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი შეიცავდა იმავე შინაარსის ნორმებს, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლომ უკვე ცნო არაკონსტიტუციურად და გამოიტანა განჩინება საქმის არსებითად განსახილველად მიუღებლობისა და სადავო აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.


1. რეგისტრირებული კონსტიტუციური სარჩელებისა და წარდგინებების რაოდენობა 2017 წელს




2. რეგისტრირებული კონსტიტუციური სარჩელებისა და წარდგინებების რაოდენობა 2016 წელს




3. კონსტიტუციური სარჩელებისა და წარდგინებების რაოდენობა წლების მიხედვით



4. სარჩელები, რომლებზეც სამართალწარმოება დასრულდა 2017 წელს




5. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2017 წელს დასრულებული საქმეები კომპეტენციების მიხედვით




* „19.1.ე“ კომპეტენცია გულისხმობს „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ კომპეტენციას.

** „19.2“ გულისხმობს ამავე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ უფლებამოსილებას.


6. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2017 წელს დასრულებულ საქმეთა შემაჯამებელი აქტები




7. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2017 წელს საქმეთა დასრულების საფუძველი



8. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები შედეგების მიხედვით



9. სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგები საქმის განმხილველი კოლეგიის/
პლენუმის მიხედვით



10. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2017 წელს მიღებული საოქმო ჩანაწერების
რაოდენობა

